ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

პარასკევი, 12 აპრილი, 2013 №86 (6087) ფასი: 30 თეთრი

11 აპრილიდან!
„ახალ თაობასთან“
ერთად
„რჩეული ქართული ზღაპრების“
პირველი ტომი
3 ლარად




# ჯონდი ბაღათურია: „ნაციონალები აუცილებლად დაისჯებიან!“



გვ.2

## სააკაშვილი პარლამენტის წინაშე აღარ წარდგება?

გვ.3





გვ.3

## ბიბი კალანდაძემ ირაკლი ალასანიას კულინარობა გაუხსენა

## 11 წლის გოგოს საკუთარმა დედამ პორნობიზნესში ჩართვა აიძულა

გვ.2



## რის ხარჯზე მოახერხებს განათლების სამინისტრო მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას?

გვ.4



გვ.3

## სერგეი ლავროვი: „ჩვენ ცხინვალის აღიარება არ გვსურდა



გვ.4

## მანანა კობახიძე: „საპრეზიდენტო კანდიდატის თაობაზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს“

## სახელმძღვანელოები: სოციალური ზრუნვა თუ პოპულიზმი?!

გვ.5



## ალექსი პეტრიაშვილი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს შეხვდა

გვ.6




## საპატრულო პოლიციამ აქციაში — „გაიღეს ისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე,“ მიიღო მონაწილეობა

გვ.7

## პატიმრის რეზინის ხელკეტით გაუპატიურების ფაქტზე ციხის ყოფილი თანამშრომლები დააკავეს

მსჯავრდებულისთვის არაადამიანური მოპყრობისა და წამების ბრალდებით გუშინ სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №15 დაწესებულების ყოფილი თანამშრომლები დააკავეს.

ინფორმაციას ამის შესახებ მთავარი პროკურატურა ავრცელებს.

პატიმრის წამების ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურატურაში აღიძრა.

„გამოძიებით დადგინდა, რომ დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსმა ლევან ლეჟავამ, ამავე დაწესებულების დირექტორმა შოთა თოლორდავამ, უსაფრთხოების განყოფილების უფროსმა გიორგი ფარჯანაძემ და პატიმრობის განყოფილების უფროსმა დიმიტრი ჩხეიძემ 2012 წლის 24 თებერვალს, დაახლოებით 22.00 საათზე, მსჯავრდებულ პ.ო-ს ამავე დაწესებულების ადმინისტრაციული შენობის სავარჯიშოდ განკუთვნილ ოთახში ხელ-ფეხი შეუკრეს და სასტიკად სცემეს. ცემა ხორციელდებოდა რეზინის ხელკეტითაც. პატიმრის მიმართ არაერთხელ გამოიყენეს ელექტროშოკიც, რის შემდეგაც მას წყლით სავსე ჭურჭელში რამდენჯერმე ჩააყოფინეს თავი და რეზინის ხელჯოხით გააუპატიურეს“, — ნათქვამია განცხადებაში.

სასამართლო განჩინების საფუძველზე, ლევან ლეჟავა და გიორგი ფარჯანაძე უკვე დაკავებული არიან. რაც შეეხება დიმიტრი ჩხეიძესა და შოთა თოლორდავას, მათი ადგილსამყოფელის დადგენა-დაკავების მიზნით შესაბამისი ღონისძიებები ტარდება.

ნიუსპრესი

2 აპრილიდან!
„ახალი თაობა“
+
ილია II
ოქროს ხანა
სამტომეულის მესამე ტომი
8 ლარი




ISSN 1987-9385

5 თამარ ცინცაბაძე: „ქვეყანაში პოლიტიკური ძალების გასააქტიურებლად მხოლოდ სურვილი არ კმარა“

6 ქეთი ციხელაშვილი: „კანონი ოკუპაციის შესახებ არ უქმდება“

5 „ნაციონალურ მოძრაობას“ უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე ტელევიზიებმა უარი განუცხადეს

6 ნინო ბურჯანაძე: „პარტიის გაძლიერებაზე მითითება არ გვჭირდება“

# ჯონდი ბაღათურია: „ნაციონალები აუცილებლად დაისჯებიან!“

ნონა ცაბაძე

## ინტერვიუ „ქართული დასის“ ლიდერ ჯონდი ბაღათურიასთან

*– ბატონო ჯონდი, როგორ ფიქრობთ, რატომ ეშინიათ ასე ძალიან ნაციონალებს აგვისტოს ომის გამოძიების? წინა ხელისუფლება ხომ თავიდანვე აცხადებდა, რომ ამაში რუსული მხარეა დამნაშავე? რამე ახალი შეიძლება გამოაშკარავდეს?*

– აგვისტოს ომზე ხმამაღლა საუბრისა და მისი საჯაროდ გარჩევის მომხრე არა ვარ, რადგან არის იქ ისეთი ნიუანსები, რომელიც არ არის სავალდებულო, რომ ასე საქვეყნოდ ვისაუბროთ. რაც შეეხება ნაციონალურ მოძრაობას, მათ ნამდვილად აქვთ შიშის საფუძველი, არა მარტო აგვისტოს ომთან დაკავშირებით, არამედ ბევრ სხვა რამესთან დაკავშირებით. მე რაც დაზუსტებით შემიძლია გითხრათ, აგვისტოს ომის დროს მათ ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, იმიტომ რომ მიატოვეს ხალხი განსაცდელში და გაიქცნენ საკუთარი ტყავის და ქონების გადასარჩენად წითელ ხიდზე. ეს არის დანაშაული, ეს უბრალო სილაჩრე არ არის. დანაშაულია, როცა უმაღლესმა სარდლობამ გაწირა მოხუცები, ქალები, ბავშვები და მიატოვა ისინი ფრონტის ხაზზე და არ უზრუნველყო მათი ევაკუაცია. გენერალი როცა ხარ, ხელში ავტომატი გიკავია და ტანკი გყავს, შენ სიცოცხლეზე უნდა იზრუნო მეორე რიგში, პირველ რიგში კი, თუ უკან იხევ, ჯერ მშვიდობიანი მოსახლეობა უნდა გაუშვა, კორიდორი უნდა გაუკეთო, უნდა გაიყვანო და მერე შეგიძლია, შენ დაიხიო უკან. ამისთვის არსებობს ჯარისკაცი და ამიტომ გქვია კაცი, რომ ქალი არ გააუპატიურებინო და ბავშვები და მოხუცები არ ამოახოცვინო. ეს კი მათ არ გააკეთეს და ეს დანაშაულია. არსებობს სიები, ვინც გადაკვეთა საზღვარი, არსებობს კადრები, სამარცხვინო კადრები, რომ ლამის ტელევიზორი და მაცივარი გაჰქონდათ. ხელისუფლება ფიქრობდა არა ხალხის და სახელმწიფოს გადარჩენაზე, არამედ ფიქრობდა საკუთარი ტყავის და ქონების გადარჩენაზე. ეს დანაშაულია. ეს არაფერი არ იყო, ეს იყო ერთდღიანი ომობანას თამაში და მერე გაქუსვლა, გაქცევა წითელ ხიდზე, რომ თვითონ გადარჩენილიყვნენ.

*– როგორ ფიქრობთ, პროვოცირება ქართული მხრიდან მოდიოდა?*

– სწორედ ჩემი პრინციპული პოზიციაა, რომ ამ საკითხებზე საჯაროდ და გაზეთის ფურცლებზე საუბარი საჭირო არ არის. ფაქტია, რომ რუსეთმა ეს ომი ჩვენც, ოსებსაც და აფხაზებსაც თავს მოგვახვია და ეს არ არის ქართველებსა და ოსებს შორის ომი და არც ქართველებსა და აფხაზებს შორის ომი. ეს არის გეოპოლიტიკური ინტერესების გამო, ხელოვნურად შექმნილი კონფლიქტი. ეს არის ერთმნიშვნელოვანი, რაც ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ. ახლა, რა უფრო ადრე იყო კვერცხი თუ ქათამი, ამის გარკვევა სრულიად უპერსპექტივო საქმეა. ეს საქართველოს ტერიტორია, სადაც ხელოვნურად არის შექმნილი კრიმინალური ანკლავები, ხელოვნურად არის შექმნილი დაპირისპირება და აქ უნდა აღდგეს საქართველოს იურისდიქცია. როგორ აღდგება ეს იურისდიქცია, ეს არის დროის და მოცემულობის ამბავი. როგორი მოცემულობაც გვექნება, ისეთი მოცემულობით უნდა აღვადგინოთ. რა თქმა უნდა, ეს უნდა მოხდეს ისე, რომ არ უნდა დაიხოცოს არც ერთი მხრიდან მშვიდობიანი მოსახლეობა. სამაჩაბლოსა და აფხაზეთში დღეს არის კრიმინალური ანკლავები და ისინი არ დაუშვებენ იქ სამართალდამცავების შესვლას და რეალურად იურისდიქციის აღდგენას. ეს კრიმინალები არც იქაურ მარიონეტულ რეჟიმებს არ დაემორჩილებიან, იმიტომ რომ ეს არის კრიმინალური ანკლავი, სადაც მიდის ნარკოტიკებით ვაჭრობა, იარაღით



ვაჭრობა, ადამიანებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და ყველაფერი უბედურება. მე ვფიქრობ, რომ შესაძლოა საჭირო გახდეს საერთაშორისო პოლიციური ძალების ჩართვა. სააკაშვილს რომ არც ჭკუა აქვს და არც თავისი სამშობლოს სიყვარული, ეს ვინმემ ახლა გაიგო? ან ამას რა გამოძიება უნდა?

***– მიხეილ სააკაშვილს რაც შეეხება, საუბარია იმის შესახებ, რომ შესაძლოა ის დაიკითხოს, რამაც ძალიან გაანერვიულა ნაციონალები და აცხადებენ, რომ მას არავის დავაკითხვინებთო. თქვენ რამდენად შესაძლებლად მიგაჩნიათ სააკაშვილის დაკითხვა?***

– ნაციონალებმა უნდა გაიგონ და შეეჩვიონ იმას, რომ ეს გამოძიებები იქნება. იქნება არა მარტო პრეზიდენტზე, არამედ იმ ადამიანებზე, რომლებიც ახლა, ვითომ სხვის დასაცავად ისტერიკაში არიან, ეშინიათ, რადგან იციან, რომ ძალიან ბევრი დანაშაული აქვთ ჩადენილი. ყველამ იმდენი დანაშაული ჩაიდინა, რამდენიც შეძლეს. სააკაშვილი პრეზიდენტი იყო, მეტი შეეძლო დაეშავებინა და დააშავა კიდეც. ძალიან ბევრმა დააშავა და ყველას საქმე იქნება გამოძიებული. ილოცონ, რომ ეს საქმეები გამოიძიოს პროკურატურამ, არ დარჩეს გამოუძიებელი და არ დარჩეს ხალხის გასარჩევი ეგ საქმეები. ეს ხუმრობა არ არის. მათ ხალხს წაართვეს ცხოვრება, ოჯახები დაუნგრიეს, გათელეს მათი ღირსება. ამას არავინ არ აპატიებს. ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ ეს საქმეები მოექცეს გამოძიების არეალში და ეს პირველ რიგში მათ ინტერესებში უნდა შედიოდეს. ეს ერთგვარი დაცულობაა მათთვის, რომ ისინი არ გახდნენ პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლნი.

***– თუმცა ჯერჯერობით ყველანაირად ცდილობენ, რომ სასამართლო არ დათმონ.***

– სასამართლო კი არა, გაუფრთხილდნენ საკუთარ ჯანმრთელობას. მე ამას ვურჩევ და იცოდნენ, რომ ძალიან ბევრი რამე უკვე დაკარგული აქვთ. ამიტომ ჭკუით იყვნენ, ასე ჯობია და ითანამშრომლონ ძიებასთან. არ სჭირდება ამას ისტერიკის შექმნა. საქმეები უნდა იქნეს გამოძიებული, ეს შედის სახელმწიფოს ინტერესებში. ამიტომ მაგათი ინტერესის გამო ჩვენ ვერ დავთმობთ სახელმწიფო ინტერესებს. ქათამზე ცოტა უფრო მეტი ჭკუა თუ აქვს ვინმეს, ისიც უნდა ესმოდეთ, რომ ძიება და სამართლიანი სასამართლო ასევე მათ ინტერესებში შედის.

***– ბატონო ჯონდი, მოდით, საპრეზიდენტო არჩევნების საკითხსაც შევეხოთ. საუბარია, რომ ოცნების შიგნით მიდის დიდი მსჯელობა იმაზე, თუ ვინ იქნება კოალიციის კანდიდატი. სხვადასხვა გვარი სახელდება. თქვენი აზრით, ვინ შეიძლება იყოს მმართველი გუნდის კანდიდატი?***

– ოცნების კანდიდატი ვინ შეიძლება იყოს, ეს ოცნებამ უნდა გაარკვიოს. მე ახლა იმით ვარ დაკავებული, ვიცოდე, ვინ იქნება ჩვენი კანდიდატი, რომელიც იქნება კონკურენტუნარიანი და რომელიც გაიმარჯვებს. სწორედ არჩევნებზე მოხდება პრეზენტაცია მესამე ძალის, უფრო ზუსტად, ხელისუფლების ალტერნატივის. ეს უნდა იყოს ძალა, ეს უნდა იყოს კანდიდატი, რომელიც ხალხს, ქართველ საზოგადოებას, პოლიტიკურ სპექტრს შესთავაზებს უფრო სამართლიან, უფრო ეროვნულ და, რა თქმა უნდა, უფრო რაციონალურ გზას სახელმწიფოს განვითარების.

***– ბატონო ჯონდი, ჩაგეკითხებით. თქვენ მესამე ძალა ახსენეთ. გარეთ დარჩენილი ოპოზიციური ძალები ერთიანდებით და ერთიანი კანდიდატი გეყოლებათ საპრეზიდენტო არჩევნებზე?***

– როგორც კი რაიმეს ახსენებ, ჟურნალისტები იმ წუთას ცდილობთ, რომ ყველა დეტალი გაარკვიოთ. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ ამ საკითხებზე, ჯერ ძალიან ადრეა კონკრეტულ დეტალებზე საუბარი. მთავარი არის ის, რომ საზოგადოებაში არის მკვეთრი უკმაყოფილება ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომების. ქართული ოცნების საპარლამენტო ფრთამ ვერ გაამართლა ხალხის იმედები და მათ მიერ დაშვებულმა, მე ვიტყოდი, კასკადმა შეცდომებისა, გააჩინა მოლოდინი და მოთხოვნილება ახალ, ალტერნატიულ ძალაზე, მე ასე დავარქმევდი ამასს – მესამე გზაზე, რომელიც იქნება განსხვავებული ივანიშვილის და სააკაშვილის მიერ შეთავაზებული გზებისაგან. მთავარი განსხვავება ის არის, რომ იქნება უფრო სამართლიანი გზა. ჩვენი პრიორიტეტი იქნება სწორედ სოციალური სამართლიანობა და ასევე პრიორიტეტი იქნება უფრო მეტი ეროვნულობა, უფრო მეტი პატრიოტიზმი და მეტი სახელმწიფოებრივი ინტერესები, რაც ხელს შეუწყობდა ქვეყნის ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

***– ვრცელდება ინფორმაციები, რომ ნინო ბურჯანაძე აპირებს, კენჭი იყაროს საპრეზიდენტო არჩევნებში. მის გარშემო ხომ არ შეიკრიბება გარეთ დარჩენილი ოპოზიცია? ის ხომ არ იქნება ამ მესამე ძალის კანდიდატი?***

– ერთმნიშვნელოვნად მინდა გითხრათ, რომ ოპოზიცია არავის გარშემო არ შეიკრიბება. თუ შეიკრიბება, ერთიანად შეიკრიბება. არავის გარშემო შეკრებები არ იქნება.

***– კი მაგრამ, თუკი ჩამოყალიბდება მესამე ძალა, ხომ უნდა გყავდეთ ერთიანი კანდიდატი.***

– კი მაგრამ, ოპოზიციის შეკრებასა და გარშემო შეკრებას შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ გვინდა შეკრება და არა ვინმეს გარშემო შეკრება.

***– ბატონო ჯონდი, თქვენ მაინც არ მიპასუხეთ, იქნება თუ არა გაერთიანებული ოპოზიციის კანდიდატი ნინო ბურჯანაძე?***

– ჩემთვის ცნობილი არ არის ნინო ბურჯანაძის გეგმები, იმიტომ რომ დიდი ხანია არ მინახავს. როგორ გითხრათ, ჩვენ ერთმანეთის მიმართ არა გვაქვს ნეგატიური განწყობა და თანამშრომლობა სხვადასხვა საკითხზე ნამდვილად არ არის გამორიცხული, ხოლო საპრეზიდენტო კანდიდატებთან დაკავშირებით ბურჯანაძის გეგმები ჩემთვის ცნობილი არ არის. ამიტომ ვერანაირად ვერ გეტყვით მეტს ვერაფერს.

***– სავარაუდო კანდიდატი თუ გყავთ? თუ არა ნინო ბურჯანაძე, ვინ არის ის, ვის კანდიდატურასაც გაერთიანებული ოპოზიცია წამოაყენებს საპრეზიდენტო არჩევნებზე?***

– ჩვენ ვმუშაობთ პრინციპულად და ვცდილობთ, ვიყოთ შედეგზე ორიენტირებული ანუ გამოვკვეთოთ გამარჯვებაზე ორიენტირებული კანდიდატი, თუ ვინ იქნება კონკურენტუნარიანი. რომელიც საშუალებას მოგვცემს ჩვენ და საშუალებას მისცემს სახელმწიფოს და ხალხს, რომ გამოიკვეთოს ამ არჩევნებში ახალი ალტერნატივა, ამ ხელისუფლების ალტერნატივა. დავაზუსტებ, მესამე ძალა, როგორც ახლაა მოდაში.

***– ე.ი. იქმნება მესამე ძალა?***

– დიახ, შეიქმნება მესამე ძალა, რომელიც საზოგადოებას შესთავაზებს იმ მესამე გზას, რომელზეც მე ზემოთ ვისაუბრე. ამაზე მეტს ახლა, თუ ვინ შეიძლება იყოს ამ გაერთიანებაში და ასე შემდეგ, დეტალებზე საუბრისგან თავს შევიკავებ. მიმდინარეობს კონსულტაციები, ხდება მოსაზრებების გაცვლა-გამოცვლა, მიმდინარეობს მსჯელობა. მოხდება ჩვენი პარტიის, ქართული დასის მოდერნიზება. ჩვენ დაწყებული გვაქვს რეორგანიზაცია. ასევე არიან ადამიანები, რომლებიც ახალი პოლიტიკური პარტიის შექმნას აპირებენ და შემდგომში ჩვენ ყველანი ვითანამშრომლებთ. ჯერჯერობით ეს ყველაფერი არის მსჯელობის საგანი და ალბათ უფრო სიღრმისეულ დეტალებზე საუბარი სასურველი არ არის. ამით ამ პროცესს ხელი შეეშლება. ერთი შემიძლია გითხრათ, რომ ძალიან სერიოზული ხალხი იკრიბება ამ მსჯელობის დროს. ესენია არ არიან მხოლოდ პოლიტიკური თვალსაზრისით ცნობილი ადამიანები. მე ასე ვიტყოდი, არიან საქმიანი ადამიანები. ჩვენ დღეს გვჭირდება პოლიტიკური ნიჭის, უნარის და სამეურნეო საქმის ნიჭის და უნარის სინთეზი, რაც სახელმწიფოს მისცემს გარანტიას და საშუალებას, რომ გაძლიერდეს ეკონომიკურად, შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები, გატარდეს სამართლიანი სოციალური პოლიტიკა და არა ისე, რომ მთელი სოციალური სიკეთეები მიეცეთ ერთ მუჭა ადამიანებს, რომლებმაც ხალხის ხარჯზე მოიპოვეს თანამდებობები, პარლამენტის წევრები გახდნენ, მერე გამორთეს და გამოცვალეს ტელეფონის ნომრები და ახლა დაკავებული არიან ძირითადად საკუთარი ოჯახის წევრების, ბებია-ბაბუის და ბიძაშვილ-მამიდაშვილების დასაქმებით, არა ხალხის დასაქმებით და არა დასაქმების პროგრამებზე მუშაობით, ხალხისთვის სამუშაო ადგილების შექმნით. რისთვის მისცა ხალხმა მათ ხმა, ეს რატომ დაავიწყდათ?!

## მიხეილ სააკაშვილი პოლონეთში გაემგზავრა

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი სამუშაო ვიზიტით გუშინ პოლონეთს ეწვია.

პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინფორმაციით, სააკაშვილი ვარშავაში პოლონეთის პრეზიდენტის რეზიდენციაში, ბრონისლავ კომოროვსკის შეხვდება.

ორდღიანი ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილი ორმხრივი შეხვედრების გარდა, საქართველოს პრეზიდენტი ევროპის კოლეჯის სტუდენტებსაც შეხვდება. დაგეგმილია ასევე მიხეილ სააკაშვილის სიტყვით გამოსვლაც.

მოგვიანებით კი, სააკაშვილი, ევროპის კოლეჯში საქართველოს ეროვნული დღის საპატივცემულოდ გამართულ მიღებას დაესწრება.

**ნიუსპრესი**

## 11 წლის გოგოს საკუთარმა დედამ პორნობიზნესში ჩართვა აიძულა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსის ნინო გიორგობიანის ინფორმაციით, 2013 წლის თებერვლიდან, შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, საქართველოში ინტერპოლის ეროვნული ცენტრალური ბიუროსგან მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, მიმდინარეობდა გამოძიება არასრულწლოვანის გამოსახულების შემცველი პორნოგრაფიული ხასიათის სურათებისა და ვიდეოჩანაწერების უკანონო დამზადების, გავრცელებისა და გასაღების ფაქტზე.

გამოძიება პარალელურად ამერიკის შეერთებული შტატების, ისრაელისა და ავსტრალიის სპეცსამსახურების მიერაც მიმდინარეობდა. ინფორმაციული უზრუნველყოფის მხრივ კი, გამოძიებას აშშ-ს საელჩო საქართველოში და ინტერპოლის გენერალური სამდივნო ეხმარებოდა.

სამთვიანი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების და ქვეყნებს შორის კოორდინირებული მუშაობის შედეგად, სამართალდამცავი ორგანოებისთვის ცნობილი გახდა მსხვერპლისა და ბრალდებულების ვინაობა.

გამოძიებამ დაადგინა, რომ მსხვერპლი არის საქართველოს მოქალაქე, 11 წლის მცირეწლოვანი გოგონა, რომელსაც 2 წლის განმავლობაში, საკუთარი დედა აიძულებდა მონაწილეობა მიეღო პორნოგრაფიული სურათების და ვიდეოფირების გადაღებაში. მცირეწლოვნის პორნოგრაფიულ მასალას დედამისი მატერიალური გამორჩენის მიზნით, გარკვეული თანხის სანაცვლოდ ქართული წარმოშობის ისრაელის მოქალაქე მამაკაცზე ყიდდა. აღნიშნული პიროვნება არაერთხელ იმყოფებოდა საქართველოში და თანამზრახველ დედასთან ერთად ფოტომასალის დამზადებაში მონაწილეობდა. თავის მხრივ, ის ისრაელში დაფიქსირებული მისამართიდან, აღნიშნულ ფოტო და ვიდეომასალას სხვადასხვა ინტერნეტ-საიტებზე ტვირთავდა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში გარკვეული თანხის სანაცვლოდ, მათ რეალიზაციას ახდენდა.

„სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით შეგროვდა უამრავი მტკიცებულება, რამაც უტყუარი გახადა დედისა და მისი თანამონაწილის ბრალეულობა. დანაშაულის სენსიტიურობიდან გამომდინარე, და იმისათვის, რათა არ მომხდარიყო მტკიცებულებების განადგურება, დაუყოვნებლივ იქნა მიღებული ზომები, როგორც შსს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის, ასევე ისრაელის სამართალდამცავი ორგანოების მიერ და ორივე ქვეყანაში დაიგეგმა ბრალდებულების დაკავების ერთდროული ოპერაცია.

მიმდინარე წლის 8 აპრილს საქართველოში დააკავეს მსხვერპლის დედა, 45 წლის, საქართველოს მოქალაქე, ხოლო ისრაელში – წარსულში ყაჩაღობისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გაქცევისათვის ნასამართლევი, 42 წლის ისრაელის მოქალაქე მამაკაცი.

არასრულწლოვნის დაკავებული დედა მოთავსებულია თბილისისა და მცხეთა-მთიანეთის წინასწარი დაკავების იზოლატორში და მის მიმართ გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1432-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს არასრულწლოვნით ვაჭრობას (ტრეფიკინგი). აღნიშნული დანაშაული 8-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება.

დაზარალებული 11 წლის გოგონა კი, გადაყვანილია ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის თავშესაფარში. ამჟამად, მისი რე-სოციალიზაციის მიზნით, გამოცდილი ფსიქოლოგების მიერ მას სარეაბილიტაციო კურსი უტარდება“ – განაცხადა ნინო გიორგობიანმა .

**ნიუსპრესი**

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ზაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეჟავაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
დაკაბადონება – ინგა ფეიქრიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სერგეი ლავროვი: „ჩვენ ცხინვალის აღიარება არ გვსურდა

შორენა მარსაგიშვილი

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა კვლავ შეგვახსენა თავი. რუსული დიპლომატიის მამამ საქართველოსთან დაკავშირებით პოლიტიკური განცხადებები გააკეთა და ქართველი პოლიტიკოსები ააფორიაქა.

რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის განცხადებით, რუსეთის ხელისუფლება საქართველოს ახლანდელი მთავრობის პრაგმატიზმით აღფრთოვანებულია.

მისი თქმით, მოსკოვი მზადაა, თბილისთან აღადგინოს ძველი კონტაქტები, როგორც ვაჭრობის, ისე კულტურისა და სპორტის სფეროში.

— ჩვენ აღფრთოვანებული ვართ პრაგმატიზმით, რომლითაც ბიძინა ივანიშვილის მთავრობა ურთიერთობებს უდგება, — აცხადებს ლავროვი.

მინისტრის თქმით, რუსი პოლიტოლოგები, მეცნიერები, მათ შორის საერთაშორისო ურთიერთობათა მოსკოვის სახელმწიფო ინსტიტუტიდან და დიპლომატიური აკადემიიდან, საქართველოში სხვადასხვა კონფერენციაზე ჩამოდიან. გარდა ამისა, ქართველი მსახიობებიც რუსეთში თეატრალურ ფესტივალებში მონაწილეობენ.

— მხოლოდ მივესალმები ამას, რადგან ხალხს უნდა ახსოვდეს, როგორც ცხოვრობდნენ ისინი ერთად და მეგობრობდნენ. ვფიქრობ, ეს მეგობრობა არსად გამქრალა, თუმცა ახლა ძალიან სერიოზულ გამოცდას გადის, — აღნიშნა ლავროვმა.

სერგეი ლავროვი აცხადებს, რომ მოსკოვში კმაყოფილი არიან იმით, რომ საქართველოს ახალ მთავრობას სურს პრაგმატულად გადაწყვიტოს ის საკითხები, რომელიც რუსეთთან ურთიერთობაში არსებობს.

— სხვათა შორის, ჩვენი თანამშრომლობა ენერგეტიკის სფეროში არასოდეს შეწყვეტილა. მხედველობაში მაქვს ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია, რუსული კაპიტალი, რუსული კომპანიები, — შენიშნავს ლავროვი.

მისი თქმით, რუსეთს საქართველოსთან მეგობრობა და თანამშრომლობა ყოველთვის უნდოდა, უნდოდა დახმარებოდა მას პრობლემების გადაწყვეტაში.

— რომ არა 2008 წლის აგვისტოს ავანტიურა, ვფიქრობ, შეგვეძლო საკმაოდ სერიოზულად წავსულიყავით ამ მიმართულებით. ურთიერთობები ყოველთვის იძაბებოდა მიხეილ სააკაშვილის მიერ. ვფიქრობ, მან დამანგრეველი წილი შეიტანა ბევრი ახალგაზრდა ქართველის სულში და გონებაში, — აცხადებს ლავროვი.

ლავროვის განცხადებით, რუსეთის მიზანს 2008 წლის აგვისტოში, სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარება არ წარმოადგენდა. ამის შესახებ ლავროვმა ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა.

— დამოუკიდებლობის აღიარების მიზანი არ გვქონია. არავის ამაზე არც კი უფიქრია. მე ამ მოვლენების მოწმე ვიყავი, თუ როგორ განიხილებოდა ყველაფერი მოსკოვში. მიზანი იყო ერთი — სისხლის ღვრის შეჩერება, მაგრამ შემდეგ თბილისიდან წამოვიდა რევანშისტული სიგნალები. მიხეილ სააკაშვილმა უარი თქვა წინადადებაზე, რომელიც მას რუსეთის ფედერაციისა და საფრანგეთის პრეზიდენტებმა შესთავაზეს. კონკრეტულად მომხდარიყო შეთანხმება და მთავარი — დაწყებულიყო საერთაშორისო დისკუსია სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის შესახებ. სააკაშვილმა თქვა: „არანაირი განხილვა. საქართველოს პრეზიდენტის რევანშისტულმა განცხადებებმა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობა მიიყვანა იქამდე, რომ სხვა გზა, გარდა დამოუკიდებლობის აღიარებისა, უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აღარ იყო.

არ ვფიქრობ, რომ უახლოეს მომავალში საქართველოში გამოჩნდება პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის — მოდით, დავივიწყოთ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი. თუმცა, ისიც უნდა გავიგოთ, რომ არც რუსეთში გამოჩნდება პოლიტიკოსი, რომელიც იტყვის — ჩვენ ამაში შევცდით. როდესაც ამერიკელები და ევროპელები გვთავაზობენ, ხელი მოვაწეროთ შეთანხმებას 2008 წლის აგვისტომდე არსებული საზღვრების პატივისცემის შესახებ, ჩვენ ვპასუხობთ, რომ ეს შეუძლებელია, რადგან ეს არის რუსეთის პრეზიდენტისა და ხელისუფლების გადაწყვეტილება, — აღნიშნა სერგეი ლავროვმა.



როგორც მოსალოდნელი იყო მის განცხადებებს დიდი ფორიაქი მოჰყვა. ნაციონალები ყველაფერს ბიძინა ივანიშვილს აბრალებენ. დეპუტატ ნუგზარ წიკლაურის განცხადებით, 10 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოფიციალურად დაადასტურა, რომ საქართველო იყო აგრესორი, ხოლო რუსეთი — მსხვერპლი. მისი თქმით, აღნიშნული განცხადება ქვეყნის ინტერესების ღალატია.

— საუბარი იმაზე, რომ საქართველოს ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებამ რუსეთის საპასუხო რეაქცია გამოიწვია, აქამდე ეს რუსეთის პოზიცია იყო, ახლა ასეთ ქვეყანათა რიცხვი გახდა ორი და ამ პოზიციას შეუერთდა საქართველო და მისი პრემიერი-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი. ქართველი ამომრჩეველი პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიურად უნდა ჩაერთოს. 19 აპრილს აქციაზე ხალხი მივა არა მხოლოდ იმის სათქმელად, რომ მათი არჩევანი ევროპულია, არამედ იმიტომაც, რომ ქართველი ხალხი ეროვნული ინტერესების შელახვას და საქართველოს აგრესორ ქვეყნად გამოცხადებას არ დაუშვებს, — აღნიშნა წიკლაურმა.

დეპუტატმა სერგეი ლავროვის განცხადებაც შეაფასა. ამბობს, რომ რუსული დიპლომატიის მამისგან კარგს არაფერს უნდა ველოდოთ.

— ლავროვი თავისი სახელმწიფოს სახელით საუბრობს, თუ რა საპასუხო შედეგებს უნდა ელოდოს საქართველო პრემიერის ამ განცხადების შემდეგ. ლავროვი ამბობს, რომ კულტურული და სავაჭრო ურთიერთობები უნდა განვავითაროთ, მაგრამ აღიარებული ტერიტორიების უკან წაღებაზე საუბარი არ იქნება, ჩვენ მივიღეთ ვითარება, როდესაც პრემიერი აგრესიაში თავის საკუთარ ქვეყანას ადანაშაულებს და მეორეს მხრივ, ლავროვმა თქვა, რომ ამ მოღალატეობრივი ნაბიჯის საპასუხოდ, თქვენ შეგიძლიათ შემოიტანოთ ნიახური, მწვანილი, ღვინო, გამოგზავნეთ თქვენი ანსამბლები, სამაგიეროდ ჩვენ გამოგიგზავნით ნატაშა კარალიოვას, აგუტინს და რუსული ესტრადის სხვა წარმომადგენლებს. აი, სწორედ ეს არის საქართველოს ხელისუფლების გადაწყვეტილების ფასი, — განაცხადა წიკლაურმა.

დეპუტატ დავით დარჩიაშვილის თქმით, საქართველოს პოლიტიკურ მტერს — სერგეი ლავროვს, როდესაც, ხელისუფლების ქმედებები მოსწონს, ეს მინიმუმ დასაფიქრებელია. ამის შესახებ „ივერონს" უმცირესობის ერთ-ერთმა ლიდერმა, დავით დარჩიაშვილმა განუცხადა.

მისი თქმით, ლავროვი საქართველოს პოლიტიკური მტერია და ამაში ეჭვი არავის ეპარება.

— ვისაც ამაში ეჭვი ეპარება, მასთან საუბარს აზრი არ აქვს. საქართველომ იმ უბედურების ჟამს, როცა თბილისს ჯარი იყო მომდგარი, მოახერხა, რომ ჩვენი ოკუპირებული ტერიტორიების სამართლებრივი საფუძველი შენარჩუნებული გვქონდა. თავის დროზე, ბალტიისპირეთმა ასეთი სამართლებრივი სტატუსის შენარჩუნებით, პრობლემა სულ მოხსნა და ახლა ევროკავშირისა და ნატოს წევრია, მაშინ, როდესაც, 50 წელი ოკუპირებული იყო. სამართლებლივი სტატუსის შენარჩუნების მიზნით, საქართველოს ხელისუფლება რუსეთს სოხუმისა და ცხინვალის სტატუსზე მსჯელობას არ დათანხმდა და თუკი ხელისუფლება ამას თმობს და რუსეთს სამართლებრივ საფუძველს მისცემს, რომ რაღაცნაირად საერთაშორისო დონეზე ეს ოკუპაცია ლეგიტიმური გახადოს, მაშინ ეს არის საქართველოსთვის სამართლებრივი ბერკეტების წართმევა, — აცხადებს დეპუტატი.

# სააკაშვილი პარლამენტის წინაშე აღარ წარდგება?

შორენა მარსაგიშვილი

ქვეყნის პირველი პირი მიხეილ სააკაშვილი პარლამენტის წინაშე მოხსენებით გამოსვლას აღარ ჩქარობს. არადა, იყო დრო, მთელი ნაცმოძი გვაძალებდა, გინდა თუ არა, მოუსმინეთ უფროსსაო.

უფროსისთვის, წესით და რიგით, თებერვლის თვეში უნდა მოგვესმინა. დადგენილია, რომ პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე საგაზაფხულო სესიის გახსნის შემდეგ უნდა წარდგეს.

საგაზაფხულო სესია თებერვლის თვეში გაიხსნა. მიღწეული შეთანხმებით პრეზიდენტი დეპუტატების წინაშე 6 თებერვალს უნდა გამოსულიყო. მეოცნებე დეპუტატები ამბობდნენ, მიშას ისეთ კითხვებს დავუსვამთ, სხდომიდან გავაქცევთო.



მთელი ერი სანახაობის მოლოდინში გაინაბა, მაგრამ ვინ გაღირსა. მეოცნებეებმა სააკაშვილს შეუთვალეს, შენი და კოჰაბიტაციის დიდი ხათრი კი გვაქვს, მაგრამ ამ ეტაპზე შენი მოსმენა არ გვეამებაო.

საპარლამენტო უმრავლესობამ პრეზიდენტის მოსმენის სანაცვლოდ საკონსტიტუციო ცვლილებების მიღება დაასახელა. ამ ცვლილებებით პრეზიდენტის უფლებები შეიზღუდა. ამ მიზანს ოცნებამ მარტის მიწურულს მიაღწია. განაცხადეს, ახლა მზადა ვართ სააკაშვილის მოსასმენადო. წინასწარი შეთანხმებით პრეზიდენტი საკანონმდებლო ორგანოში მარტის ბოლო რიცხვებში უნდა გამოსულიყო. ისე დასრულდა მარტი და ისე მოგვადგა კარს 12 აპრილი, ეს თემა კაციშვილს აღარ უხსენებია.

საპარლამენტო კულუარებში გავრცელებული ინფორმაციით სააკაშვილი წლიური მოხსენებით პარლამენტში, სავარაუდოდ, აღარ წარდგება.

უმრავლესობის ლიდერების განცხადებით, პრეზიდენტის საკანონმდებლო ორგანოში სტუმრობასთან დაკავშირებით, უმცირესობასთან არანაირი კონსულტაცია არ გამართულა.

უმცირესობის შეფასებით, პრეზიდენტი პარლამენტში არ უნდა წარდგეს, რადგან ცოტა ხნის წინ, მას ამის საშუალება თავად უმრავლესობამ არ მისცა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პირველი პირი საკანონმდებლო ორგანოს წინაშე 6 თებერვალს უნდა გამოსულიყო მოხსენებით. „ქართულმა ოცნებამ" მას უარი უთხრა. სააკაშვილმა გადაწყვიტა, მოხსენება 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკაში გაეკეთებინა.

რა ამბები დატრიალდა იმ დღეს საჯარო ბიბლიოთეკაში, ყველას გემახსოვრებათ. 8 თებერვლის ამბებით ნაცმოძი დღესაც აპელირებს.

ახლა წინ 19 აპრილია. ნაციონალები ამ დღეზე დიდ იმედებს ამყარებენ და არაა გამორიცხული, სააკაშვილი სწორედ ამ ღონისძიების შემდეგ წარდგეს პარლამენტის წინაშე.

ეს ალბათ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ ჩაივლის 19 აპრილი. მეოცნებეები ამბობენ, რომ ამ დღეს ნაცმოძი დასამარდება. ვანო მერაბიშვილის მტკიცებით კი ამ დღის შემდეგ საქართველოში პოლიტიკური ვითარება რადიკალურად შეიცვლება.

შორენა მარსაგიშვილი

# გიგი კალანდაძემ ირაკლი ალასანიას კულინარობა გაუხსენა

ნაციონალების ერთ-ერთი მთავარი სამიზნე ირაკლი ღარიბაშვილთან ერთად ირაკლი ალასანიაც გახდა. ალასანიას წინააღმდეგ ყოფილმა მმართველმა გუნდმა ბაჩო ახალაიას განცხადების შემდეგ გაილაშქრა. ახალაიამ სასამართლო პროცესზე განაცხადა, რომ გენერალ გიგი კალნდაძეს მის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას ირაკლი ალასანია აიძულებდა.



ეს ინფორმაცია რამდენიმე დღის შემდეგ თავად კალანდაძემაც დაადასტურა. ალასანიამ კი ახალაიას ბრალდებებს ბოდვა უწოდა. ერთი შეხედვით კალანდაძე-ალასანიას დაპირისპირება ჩაცხრა. თუმცა 2 დღის წინ დაპირისპირება ახალი ძალით განახლდა.

საზოგადოებრივი მაუწყებლის გადაცემა „დიალოგში" სტუმრობისას გაერთიანებული შტაბის ყოფილმა უფროსმა გიგი კალანდაძემ ირაკლი ალასანიას მისი ახალგაზრდობა გაახსენა და აღნიშნა, რომ ის „კულინარიელების საძმოს" წევრი იყო.

— მე მაშინ ვსწავლობდი სამხედრო აკადემიაში და კადეტთა კორპუსში. თავისი ახალგაზრდობა და ის წლები გაიხსენოს, როცა ის იყო 29 წლის ასაკში უშიშროების მინისტრის პირველი მოადგილე. საერთოდ არ არის პრეცედენტი, 29 წლის ბიჭი უშიშროების მინისტრის მოადგილე ყოფილიყო და მე 32 წლის გავხდი ბრიგადის გენერალი, ალბათ, დამსახურების გამო. აქ რომ მოვდიოდი, მომაწოდეს თოხმაიდისა და რეხვიაშვილის საქმე, როცა 14 წლის ბიჭები გარდაიცვალნენ და გარკვეულწილად არის თავდაცვის ახლანდელი მინისტრი მოხსენიებული. ალბათ, ამ საქმეების გამო, დღეს 04:00 საათზე თავდაცვის მინისტრს თავის კაბინეტში არ დააკავებენ, — განაცხადა კალანდაძემ.

თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ალასანიას შეფასებით, გაერთიანებული შტაბის ყოფილი უფროსი, გენერალი გიგი კალანდაძე „რეალ ტვ"-ის გროტესკულ პერსონაჟს დაემსგავსა.

— ძალიან ვწუხვარ, რომ ბატონი კალანდაძე მართლა „რეალ ტვ"-ის გროტესკულ პერსონაჟს დაამსგავსეს. გახსოვთ, „რეალ ტვ" როგორ მოქმედებდა, როგორც მუშაობდა წარსულში, არ ვიცი, ახლაც არის თუ არა ეს ტელევიზია, მაგრამ აშკარად სამწუხაროა, რომ ასე მიეხმარა ნაციონალური მოძრაობის ზოგიერთი დეპუტატი მას, გადაქცეულიყო „რეალ ტვ"-ის გროტესკულ პერსონაჟად, — განაცხადა ალასანიამ.

ეს პირველი შემთხვევა არ არისმ როცა ალასანიას „კულინარობას" აბრალებენ. მისი მისამართით პირველად ასეთი ბრალდებები 2008 წლის ბოლოს გაისმა. ეს მაშინ მოხდამ როცა ალასანიამ გაეროში საქართველოს დესპანის პოსტი დატოვა და ოპოზიციაში წავიდა.

ისემ თქვე დალოცვილებომ თუ იცოდითმ რომ ალასანია კულინარი იყო, გაეროში ელჩად რას უშვებდით.

ალასანიას მიმართ ნაციონალური ბრალდებები მომავალშიც უხვად დაიფრქვევა. თავდაცვის მინისტრი აქტიურად ითხოვს აგვისტოს ომის შესწავლას. ალასანიას განცხადებით, 2008 წლის მოვლენების შესწავლა საჭიროა იმისთვის, რომ მომავალში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იგივე შეცდომები არ დაუშვან.

— არავინ არ აყენებს კითხვის ნიშნის ქვეშ, რომ ეს იყო აგრესიული ომი საქართველოს წინააღმდეგ და ჩვენი ტერიტორიები ოკუპირებულია, მე არ ვიცი, ღია კარებს რატომ ამტვრევენ, მე უბრალოდ ვხვდები, რომ ზოგიერთი შეშფოთებულია, ალბათ, იმით, რომ საქართველო ვერ დაიცვეს. რვა მილიარდი რომ იყო ჩვენს თავდაცვაში დახარჯული და სამწუხაროდ არ იყო გამართული არც კომუნიკაცია, არც ევაკუაციის გეგმა, არც რეზერვი არ იყო მზად, ალბათ, ამაზე პასუხის გაცემისგან თავის დაძვრენა უნდათ, ვერ დაიძვრენენ თავს. ეს ჩვენ გვჭირდება იმიტომ, რომ მომავალში საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა იგივე შეცდომები არ დაუშვან. ამ შემთხვევაში რუსეთის აზრი საერთოდ არ მაინტერესებს, მე მაინტერესებს ის, რომ საქართველოში სიმართლე გაირკვევა, მე მაინტერესებს ის, რომ მომავალში ჩვენს სამხედროებს ექნებათ შესაძლებლობა, სწორად იხელმძღვანელონ, სწორად დაგეგმონ ჩვენი ქვეყნის თავდაცვა. მსოფლიო საქართველოსთან ერთად კითხვის ნიშნის ქვეშ არც აყენებდა და არც დააყენებს ოკუპაციას, არ დააყენებს იმას, რომ ეს იყო სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ წარმოებული აგრესიული ომი რუსეთის ფედერაციის მხრიდან და ამაზე ზედმეტი საუბარი მე აღარ მიმაჩნია საჭიროდ, ჩვენ დავიწყეთ შესწავლა მთელი იმ დოკუმენტაციისა, იმ გადაწყვეტილებების მთელი ჯაჭვის, რასაც რუსეთის აგრესიული ომის პირობებში ქართული მხარე აწარმოებდა, დაველოდოთ შედეგებს, ამას დრო დასჭირდება, — განაცხადა მინისტრმა.

აგვისტოს ომის შესწავლას დეპუტატი გიორგი კანდელაკი „ფეისბუქზე" ეხმაურება.

— როცა რუსეთის შეიარაღებულმა ძალებმა გადმოკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ასობით ჯავშანტექნიკით, მათ უკვე ჩაიდინეს სამხედრო აგრესიის ფაქტი, სულ რომ ბალალაიკის დასაკრავად ყოფილიყვნენ შემოსული (მათი მიზანი კი ეს არ იყო, ცხადია). ეს თუ ივანიშვილს არ ესმის, მაშინ მას, საუკეთესო შემთხვევაში, არ ესმის რა არის სახელწიფო. თავი რომც დავანებოთ იმას, რომ: რუსები წლების განმავლობაში აიარაღებდნენ მარიონეტულ რეჟიმებს და წვრთნიდნენ მათ; ყველა მნიშვნელოვანი სამხედრო და უშიშროების ოფიცერი ცხინვალში იყო რუსეთიდან მოვლენილი ეთნიკური რუსი და რუსეთის სტრუქტურების (მაშასადამე სამხედრო იერარქიის წევრი) თანამშრომელი; რუსებს რომ დიდი ხნით ადრე არ გაეხსნათ სერიოზული სამხედრო ბაზა ჯავაში, თავისი ვერტმფრენების მოედნებით;

ფართომასშტაბიანი წვრთნები „კავკაზ 2008"-ს დასრულების შემდეგ რომ ადგილზე არ დაეტოვებინათ ათობით ათასი კბილებამდე შეიარაღებული ვანია; რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალების შტაბის სახურავიდან რომ არ მომხდარიყო ქართული სოფლების მისამართით საარტილერიო ცეცხლის კორექტირება, რის შედეგადაც იღუპებოდნენ ჩვენი მოქალაქეები; რუსებს რომ არ შემოეყვანათ აფხაზეთში სარკინიგზო ჯარები, რომლებმაც შეაკეთეს რკინიგზა, რითაც შემოვიდა რუსული ჯავშანტექნიკა ომამდე კვირებით ადრე; რუსებს რომ არ მოეხდინათ ომამდე კვირებით ადრე ე.წ. სამშვიდობოების რაოდენობის გაორმაგება და გაძლიერება საჰაერო-სადესანტო დანაყოფებით; რომ ომამდე კვირებით ადრე არ მოეხდინათ შავი ზღვის ფლოტის მობილიზება სევასტოპოლში და შემდეგ ორი დღით ადრე ზღვაში გასვლა (საქართველომდე ზღვით ჩამოსვლას ორი დღე უნდა) საქართველოს საჰაერო სივრცის მასობრივ დარღვევებს რუსული სამხედრო თვითმფრინავების მიერ და ასე უსასრულოდ, — წერს „ფეისბუქზე" გიორგი კანდელაკი.

# მანანა კობახიძე: „საპრეზიდენტო კანდიდატის თაობაზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს“

ნათია ხურცილავა

საქართველოში ვიზიტით ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფი იმყოფება. ევროსაბჭოს წარმომადგენლებმა უკვე გამართეს შეხვედრები უმრავლესობის წევრებთან. იუსტიციის სახლში გამართულ შეხვედრაზე ვენეციის კომისიის დასკვნა, მიმდინარე პოლიტიკური საკითხები იყო განხილვის მთავარი თემა.

როგორც იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განაცხადა, საერთო სასამართლოების შესახებ ორგანულ კანონში შესატან ცვლილებათა პაკეტი ხელმოსაწერად პრეზიდენტს უკვე გადაეგზავნა.

პრეზიდენტს კანონპროექტზე ხელმოსაწერად 10-დღიანი ვადა აქვს, თუმცა, სავარაუდოდ, მას ვეტოს დაადებს.

საერთო სასამართლოების შესახებ კანონპროექტი იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დაკომპლექტების წესს ეხება.

ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტი დაინტერესდა, რატომ არ გაითვალისწინა საქართველომ ვენეციის კომისიის რეკომენდაცია, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს უფლებამოსილება ვადამდე არ შეწყვეტოდათ.

აღნიშნული კითხვა რომ ჰქონდათ ქართველ დეპუტატებთან საპარლამენტო ასამბლეის წარმომადგენლებს ამის შესახებ, ბორის სილევიჩთან და მაიკლ იენსენთან შეხვედრის შემდეგ პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ვახტანგ ხმალაძემ განუცხადა.

— ჩვენ გვქონდა საუბარი ორ საკითხზე. პირველი, ის რეფორმა, რომელიც განხორციელდა სასამართლო სისტემაში და მეორე თემა სასამართლოებში ხარვეზების დამდგენი კომისიის თაობაზე კანონპროექტი, რომელიც მზადდება. იყო მათი მხრიდან დასმული კითხვა და ითქვა, რომ ქართულმა მხარემ გაითვალისწინა ვენეციის კომისიის რეკომენდაციები, გარდა ერთისა და რატომ არ მოხდა ამის გათვალისწინება. ეს რეკომენდაცია ეხებოდა იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრების უფლებამოსილებას, რომ დავაცადოთ მათ უფლებამოსილების განხორციელება ვადის ამოწურვამდე, პასუხი იყო მარტივი, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები არჩეულნი არიან არადემოკრატიული წესით. ეს აღნიშნულია ვენეციის კომისიის დასკვნაშიც. ჩვენ ვცვლით სისტემას არჩევის უფრო დემოკრატიული სისტემით და მაშინ რატომ უნდა ვითმინოთ კიდევ ორი-სამი წელი. ჩვენ კი მოვითმენთ, მაგრამ მოითმენს ამას ჩვენი საზოგადოება?! — განაცხადა ვახტანგ ხმალაძემ.

რაც შეეხება იმას, თუ რამდენად მისაღები აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის ეს განმარტება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტისთვის, ხმალაძის თქმით, ეს უკვე მათ ანგარიშში გამოჩნდება.

შეხვედრა გამართა პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ ეკა ბესელიამაც. როგორც ჟურნალისტებს ბესელიამ განუცხადა, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შექმნის საკითხზე, შესაძლოა, ვენეციის კომისიამ იმუშაოს.

— მონიტორინგის კომიტეტის წევრებთან შეხვედრა ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საუბრის დიდი ნაწილი დაეთმო კომიტეტში შემოსულ საჩივრებს. მე მათ ვუთხარი, რომ ხუთი ათასს გადააჭარბა საჩივართა რაოდენობამ. ვისაუბრეთ კანონიერ ძალაში შესული განაჩენების გადახედვის ახალ სამართლებრივ მექანიზმზე, რომელიც მზადდება. მონიტორინგის კომიტეტის წევრები არიან ამ საკითხით დაინტერესებული და გამოთქვეს მოსაზრება, ხომ არ იქნება კარგი, რომ ვენეციის კომისიას ამ საკითხზე ემუშავა, რაც, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენს მოქალაქეებს ეჩქარებათ და თვლიან, რომ ეს განაჩენები უსამართლოდ არის გამოტანილი, საჭიროა, კარგად ჩამოვყალიბდეთ და შევთანხმდეთ სწორ მექანიზმზე. საუბარია ძირითადად იმაზე, თუ ვინ უნდა იყვნენ კომისიაში, სასამართლოს რომელმა ინსტანციამ უნდა განიხილოს ეს საქმეები და ა.შ., — აღნიშნა ბესელიამ.

ეკა ბესელიას განცხადებით, კომიტეტის წევრები დაინტერესდნენ, რატომ უნდა განიხილოს კომისიამ მაინცდამაინც ბოლო 9 წლის მანძილზე არსებული საქმეები.

ბესელიას თქმით, შეიძლება, ეს ვადა კანონპროექტიდან მოიხსნეს.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მანანა კობახიძემ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის კომიტეტის წევრები პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის პერსპექტივით დაინტერესდნენ.



— კითხვები იყო საკონსტიტუციო ცვლილებების საჯარო განხილვების შესახებ. ისინი დაინტერესდნენ, უმცირესობის წევრებმა რატომ დატოვეს კომისია ბოლო პერიოდში. ვუთხარით, საკონსტიტუციო რეფორმის თვალსაზრისით რა ხედვები გვაქვს. გარდა ამისა, დაინტერესდნენ საკრებულოებში არსებული ვითარებით და თვითმმართველობის რეფორმით, ასევე შუალედური არჩევნების საკითხით. საუბარი იყო პარლამენტის ქუთაისიდან თბილისში გადმოტანის პერსპექტივებზე. ვისაუბრეთ, რა სირთულეებს იწვევს პარლამენტსა და მთავრობას შორის არსებული დისტანცია. რაიმე კონკრეტული რეკომენდაცია მათი მხრიდან არ გამოთქმულა. ეს, ალბათ, საქართველოს შესახებ მომზადებულ ანგარიშში აისახება, — განაცხადა კობახიძემ.

პარლამენტის ვიცე-სპიკერს ჟურნალისტებმა „ქართული ოცნების“ საპრეზიდენტო კანდიდატზე დაუსვეს კითხვა. მანანა კობახიძის მტკიცებით, კოალიციაში საპრეზიდენტო კანდიდატის თაობაზე არანაირი კონსულტაციები არ მიმდინარეობს.

პრესაში გავრცელებულ საპრეზიდენტო კანდიდატთა სიას მომღერალი პაატა ბურჭულაძეც დაემატა.

— ბიძინა ივანიშვილმა გააკეთა განცხადება საპრეზიდენტო კანდიდატის თაობაზე. არანაირი განხილვები კოალიციაში ოფიციალურად არ მიმდინარეობს. მოვა დრო და ეს იქნება მალე, როდესაც ჩვენ შიგნით შევთანხმდებით საპრეზიდენტო კანდიდატზე და მის ვინაობას ბიძინა ივანიშვილი გაახმაურებს, — ასე პასუხობს მანანა კობახიძე დასმულ კითხვას.

კიდევ ერთი საკითხი, რაზეც მანანა კობახიძემ კომენტარი გააკეთა, რუსეთის საკითხი იყო. კობახიძის აზრით, პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილის განცხადება არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ რუსეთი მართალია და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვის ინტერპრეტაცია მეორეხარისხოვანია.

— ლავროვს, რა თქმა უნდა, უფლება აქვს, თავისი აზრი ჰქონდეს სააკაშვილზე, ახალ ხელისუფლებაზე, მაგრამ ჩვენ ორიენტირებული ვართ არა იმაზე, თუ ლავროვი რა განცხადებებს გააკეთებს, არამედ საქართველოს ინტერესებზე. ამ შემთხვევაში სააკაშვილის ქმედებას როგორ აფასებს ლავროვი, მეორეხარისხოვანია, მთავარია, ჩვენი საზოგადოება როგორ შეაფასებს. არ ვიცი, აღიარებაში ლავროვი რას გულისხმობს. ბატონმა ბიძინამ თქვა, რომ 2008 წლის ომის შესახებ კითხვები არსებობს. ეს ეხება იმას, ხელისუფლების მოქმედებები რამდენად ადეკვატური იყო როგორც აგვისტოში, ისე წინა პერიოდში. შესაბამისად, ეს არ ნიშნავს იმის აღიარებას, რომ რუსეთი მართალია. ის, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიაზე აგრესია განახორციელა და მისი ოკუპაცია მოახდინა, უაპელაციოა, ამ საკითხზე არავინ დავობს. საუბარია იმაზე, რომ საკუთარი ხელისუფლების მიმართ როგორც საზოგადოებას, ასევე მოქმედ მთავრობას შეიძლება კითხვები გააჩნდეს. მეორეხარისხოვანია, ამას ლავროვი რა ინტერპრეტაციას მისცემს, — განაცხადა მანანა კობახიძემ.

# რის ხარჯზე მოახერხებს განათლების სამინისტრო მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას?

ნათია ხურცილავა

**გიორგი მარგველაშვილის იდეას, რომ სკოლის მოსწავლეებმა სახელმძღვანელოები უფასოდ მიიღონ, გარკვეული ნაწილის დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. არგუმენტები კი ასე გამოიყურება: კერძო ბიზნესში ჩარევა, დადებული ხელშეკრულების დარღვევა. თუმცა, მარგველაშვილი აცხადებს, რომ გამომცემლებთან მოლაპარაკება არ დასრულებულა და მათთვის კარი არავის დაუხურავს.**



განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებით, სახელმძღვანელოების პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ დაიწყო და გამომცემლებთან მოლაპარაკებები გაგრძელდება.

ეს განცხადება მარგველაშვილმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა.

— მე შევხვდი ავტორებს და შოკირებული ვიყავი იმ გროშებით, რამდენსაც თურმე ავტორები ხშირ შემთხვევაში გამომცემლებისგან იღებენ. ეს პოლიტიკა შეიცვლება და სამუშაოს, რომელსაც განათლების და მეცნიერების სამინისტრო შეუკვეთს ავტორებს, ექნება ბევრად უფრო ღირსეული ანაზღაურება და ეს იმ პოლიტიკის ნაწილია, რომელსაც ჩვენ ყველა მიმართულებით ვახორციელებთ. გამომცემლებთან მიმართებითაც ასეთი ვითარებაა — არიან გამომცემლები, რომლებიც იაზრებენ ამ ვითარებას, იაზრებენ იმას, რომ, ფაქტობრივად, ჩვეულებრივი მოსახლეობის მუდმივი გაღატაკების და გადუხჭირების პოლიტიკა საქართველოში დასრულდა და ჩვენ გადავდივართ თანამშრომლობის რეჟიმში. ბუნებრივია, ამ გამომცემლებთან არა მარტო დაიწყება დიალოგი, არამედ დიალოგი მიმდინარეობდა ბოლო ხუთი თვის განმავლობაში. მე ამას მინდა, ხაზი გავუსვა, რომ ჩვენი ხელისუფლებამ მოსვლის პირველი წუთიდან ღია განცხადება გავაკეთე იმასთან დაკავშირებით, რომ სახელმძღვანელოების ფასები უნდა იყოს დაკლებული. ეს არაა დამალული პოლიტიკა. შეგიძლიათ ნახოთ პირველივე ჩემი განცხადებები, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

განათლების მინისტრი აცხადებს, რომ სექტემბერი, სწავლის დაწყების პროცესი, მშობლებისთვის კატასტროფა იყო და ეს უნდა დასრულდეს.

— არაფერს ვამბობ იმაზე, რომ სექტემბერი გახდა მშობლებისთვის კატასტროფის დღე და ეს უნდა დასრულდეს და აგვისტო იყო კიდევ წამების თვე, რადგან წიგნების რიგებში ბოლო კაპიკების გადახდა პრობლემური იყო, — ამბობს მარგველაშვილი. განათლებისა და მეცნიერების მინისტრი ადასტურებს, რომ სამინისტრო გამომცემლებთან მოლაპარაკებას გააგრძელებს.

— ჩვენ გავაგრძელებთ მოლაპარაკებებს გამომცემლებთან იმ პრობლემების თაობაზე, რაც მათ აქვთ და პრობლემები გააჩნიათ ნაშთებთან დაკავშირებით, ასევე, მომავალი თანამშრომლობის თვალსაზრისით, იმიტომ რომ, სახელმძღვანელოების პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ დაიწყო. ჩვენ უნდა ვიცოდეთ იმის თაობაზე, რომ სახელმძღვანელოების დახვეწა ყოველთვის შეიძლება და ამ დახვეწაში მონაწილეობს არა მხოლოდ ავტორი, არამედ — დამკაბადონებელი, მხატვარი, კორექტორი და ა.შ. ყველა ამ ადამიანის შრომა ადეკვატურად დაფასდება, მაგრამ ეს დაფასება არ მოხდება ადამიანების წამების და მათი ეკონომიკური გაღატაკების ფონზე, — აღნიშნა მინისტრმა.

მარგველაშვილმა ყურადღება საკითხის სამართლებრივ მხარეზეც გაამახვილა.

— განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მოქმედებს მთლიანად იმ კონტრაქტის შესაბამისად, რომელიც ჩვენ დაგვხვდა. არც ერთი ვოლუნტარისტული ნაბიჯი ამ მიმართულებით არ გადადგმულა. ეს არის სიტყვასიტყვით იმ კონტრაქტის ნაწილი, რომელიც დაგხვდა. ჩვენ სამართლებრივ სახელმწიფოში ვცხოვრობთ და სამართალი ჩვენთვის მთავარი ამოსავალია თუნდაც ასეთი მტკივნეული პოლიტიკური პრობლემების მოგვარების კონტექსტში. შესაბამისად, არსებობს სამართლებრივი მხარე, რომელშიც ბოლომდე ვიცავთ კონტრაქტის პუნქტებს. სხვათა შორის, მინდა აღვნიშნო, რომ იმედი მაქვს, გამომცემლები, რომელთაც ანგარიშზე დაუჯდებათ ახლა მილიონი, ისე, რომ ისინი კაპიკს არ დახარჯავენ, ისე არ მოექცევიან ავტორებს, რაც მე გუშინ გავიგე. გუშინ მე ავტორებთან შეხვედრისას გავიგე, რომ თურმე მათ გამომცემელი არაფერს არ მისცემს. ეს არის მოვალეობის ისევე პირნათლად შესრულება ავტორებთან, როგორც ჩვენ პირნათლად ვასრულებთ ბოლო კაპიკამდე იმ ვალდებულებას, რაც კონტრაქტით დაგხვდა. დანარჩენი კი, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, სამართლებრივი საკითხია, — განაცხადა მარგველაშვილმა.

განათლებისა და მეცნიერების მინისტრი გიორგი მარგველაშვილი გამორიცხავს, რომ შესაძლოა სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემამ ბეჭდვის ხარისხი გააუარესოს.

აღნიშნული მოსაზრება უკვე გამოითქვა.

— რაც შეეხება ხარისხის დაცემას, თვითონ სახელმძღვანელოების ბეჭდვის ხარისხი ამ ეტაპზე ამაღლდება, რადგან ბევრი სტანდარტის დაკმაყოფილება მოუწევთ გამომცემლებს, თუნდაც უვნებლობასთან დაკავშირებით. ამასთან, გუშინდელ შეხვედრაზე ჩვენ ვსაუბრობდით იმის თაობაზე, რომ ვაგრძელებთ თანამშრომლობას სპეციფიკურად ამ ავტორებთან. ნახეთ, რაშია საქმე — სახელმძღვანელოს და, ზოგადად, ნებისმიერი ნაშრომის მიმართ არსებობს კრიტიკა. ის შეიძლება მშობელს და მასწავლებელს არ მოსწონდეს. ერთია, ხელაღებით თქვა, რომ სახელმძღვანელო არ ვარგა და მეორეა, რომ გავაგრძელოთ მუშაობა მის დახვეწაზე და გავაგრძელოთ ისევ იმ ავტორთან, მაგრამ არა რაღაც უცნაურ კონგლომერატში გააერთიანო ყველა, არამედ ამ ავტორს სპეციფიკურად მისცე ინფორმაცია, რომ ეს მიდგომა, ჩვენი აზრით, არასწორია. სხვათა შორის, რამდენიმე ავტორმა თქვა, ჩვენ გვინდა, სახელმძღვანელოებში ახლავე ჩავასწოროთ რაღაცებიო და ამაზეც დავიწყეთ მუშაობა, მაგრამ, გარდა ამისა, თვითონ სკოლებიდან ისმის გარკვეული დეტალების კრიტიკა და ამას შევუკვეთთ ჩვენ ჩვენს ავტორებს და ავუნაზღაურებთ მათ პირდაპირ და არა უცნაური სქემებით. გუშინ ასევე მოულოდნელი იყო ჩემთვის ის ინფორმაცია, რომ თვითონ ხუთწლიანი კონტრაქტები აქვთ დადებული, ავტორებს კი მხოლოდ ერთწლიანი იმ ნამუშევარში, რომელიც მათ შეასრულეს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ეს კონტრაქტები ჩვენთვის არ იყო ცნობილი, რადგან ეს ავტორებსა და გამომცემლებს შორის დადებული კომერციული ხელშეკრულება იყო, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

— რის ხარჯზე მოახერხებს განათლების სამინისტრო მოსწავლეებისთვის სახელმძღვანელოების უფასოდ გადაცემას? ამ კითხვაზე მინისტრი ასე პასუხობს: — ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად.

— შარშანდელ ბიუჯეტში სოციალურად დაუცველებისთვის უფასო სახელმძღვანელოებისთვის 10 მილიონი ლარი იყო გათვალისწინებული.

ჩვენ თითქმის იმავე თანხაში, 12 მილიონ ლარში ვახერხებთ, რომ საჯარო სკოლების აბსოლუტურად ყველა მოსწავლეს მივცეთ სახელმძღვანელოები. ამ თანხის ნაწილი ბიუჯეტში უკვე ჩადებული იყო სოციალურად დაუცველებისთვის, ნაწილის მობილიზება კი ხარჯების ოპტიმიზაციის შედეგად შევძელით, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ვიცე-პრემიერმა გიორგი მარგველაშვილმა ჟურნალისტების კიდევ ერთ კითხვას უპასუხა. კითხვა საპრეზიდენტო კანდიდატს შეეხებოდა.

მარგველაშვილს სჯერა, რომ პოლიტიკური გუნდი სწორ საპრეზიდენტო კანდიდატზე ჩამოყალიბდება.

— საპრეზიდენტო კანდიდატის საკითხი სისტემურად განხილული არ ყოფილა. მეც ბევრად უფრო სხვა საკითხებით ვარ მოსული და ნაკლებად ვფიქრობ, რომელი კანდიდატი ჯობია. თავიდან ბოლომდე ვენდობი პოლიტიკურ გუნდს და პრემიერ-მინისტრს, რომელიც ამას, ალბათ, დროულად გამოავლენს. ჩემი პირადი განწყობა თუ გაინტერესებთ, მე, როგორც შიდა პოლიტიკური დებატების მონაწილე, რომელიც ხდება კოალიციაში, იმდენად ჯანმრთელ, კონკურენტულ და უკეთესობაზე ორიენტირებულ გარემოს ვხედავ ხოლმე, მჯერა, როდესაც მოხდება ამ თემის განხილვა, კონსტრუქციულ რეჟიმში სწორ კანდიდატურაზე ჩამოვყალიბდებით, — განაცხადა მარგველაშვილმა.

ჟურნალისტის შეკითხვაზე, თუ რომელი კანდიდატია მისთვის უფრო მისაღები — ირაკლი ალასანია, პაატა ბურჭულაძე თუ არმაზ ახვლედიანი, მარგველაშვილი პასუხობს, რომ მისთვის სამივე მისაღებია.

— ამ სამს შორის არჩევანი რომ იყოს, მე ვიტყვი, რომ სამივეზე თანახმა ვარ, თუმცა, ბუნებრივია, ეს გუნდის გადასაწყვეტია, — ამბობს მარგველაშვილი.

გიორგი მარგველაშვილმა ასევე განმარტა პრეზიდენტის მოვალეობა ახალი კონსტიტუციის ფარგლებში. როგორც ვიცე-პრემიერი ამბობს, პრეზიდენტს პოლიტიკური გარემოს დაბალანსება და დასტაბილურება ევალება, შესაბამისად, ვიცე-პრემიერი მიიჩნევს, რომ ეს უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ბალანსის უნარი და სახელმწიფოებრივი ხედვა გააჩნია.

# სახელმძღვანელოები: სოციალური ზრუნვა თუ პოპულიზმი?!

როლანდ ხოჯანაშვილი

არცერთ სფეროს იმდენი რეფორმისტული შეტევა არ მიუღია, რამდენიც განათლების მიმართ განახორციელეს ბოლო წლების განმავლობაში. მართალი გითხრათ, რეფორმა ტარდებოდა თუ ექსპერიმენტი მთლიანად სისტემაში, ვერ დავადგინე, მიუხედავად იმისა, რომ სიცოცხლის 37 წლიდან 30 წელი სკოლასთან მაქვს დაკავშირებული. კომუნისტურ ეპოქაში გვქონდა წიგნები, რომლებიც, ჩემი აზრით, ბევრად უფრო უკეთესი ხარისხის იყო პოლიგრაფიის თვალსაზრისითაც და მდგრადობითაც–წიგნი მორალურად, შინაარსობრივად და ფიზიკური მდგომარეობით უფრო დიდხანს ძლებდა. იმედია, ვინმე ბოლშევიზმის მეხოტბეობას არ დამწამებს, მაგრამ სახელმძღვანელოების საკითხი კომუნისტების პერიოდში არავის პრობლემად არ მიაჩნდა. არ არსებობდა ალტერნატიული სახელმძღვანელოს პრეცედენტი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო საგნებს ვსწავლობდით მთლიანად სსრკ-ს მასშტაბით ერთი და იმავე ავტორის დაწერილს. სხვათაშორის, ვერ დავიწუნებდი სახელმძღვანელოების თარგმნის ხარისხსაც. ზოგიერთ ახლანდელ სახელმძღვანელოს, ქართველი ავტორისას, ბევრად უფრო ძნელად აღიქვამენ მოსწავლეები, ვიდრე კორჩაგინას მაშინდელ ,,ბოტანიკას". მაშინდელი სახელმძღვანელოების ამ დროში გადმოტანა მორალურ-შინაარსობრივი ცვეთის გამოც დაუშვებელია, მეთოდიკას თავი რომ დავანებოთ, მაგრამ წიგნის ზომა-წონასა და საღებავების ხარისხზე ვინმე ატარებდა მონიტორინგს? იქნებ ვინმე დაკვირვებია ჩემ გარდა და უნახავს, რამდენად ალერგიულია ახალი გამოცემები?!

თითქმის ყოველწლიურად სახელმძღვანელოების ცვლა არა მარტო მოსწავლეთა ოჯახებს, არამედ მასწავლებლებსაც თავსატეხს უჩენდა. მოსწავლეთა ოჯახს მძიმე ფინანსურ ტვირთად აწვა ახალი სახელმძღვანელოთა შეძენა ყოველ სექტემბერში. როცა საშუალოდ საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე დღიურად იხარჯებოდა დაახლოებით 2 ევრო, სასკოლო წიგნების ფასი კატასტროფულად მოჩანდა. მართალია, განათლებაში ინვესტირება ნამდვილად ღირს, მაგრამ თუ ამის შესაძლებლობა არ არის, მაშინ რა უნდა ვქნათ?! ერთ-ერთ მშობელს, რომლის თვიური ხელფასი 190 ლარი ჰქონდა, სექტემბერში მხოლოდ სახელმძღვანელოებისათვის 300 ლარზე მეტი დასჭირდა. რამდენად კანონზომიერია ეს ფაქტი?

ბოლო დღეებში განათლებისა და მეცნიერების მინისტრის განცხადებამ, რომ სახელმძღვანელო მოსწავლეებს უფასოდ გადაეცემოდა, დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. გამომცემლები და სახელმძღვანელოთა ავტორები აპროტესტებენ იმას, რომ სახელმწიფო თავის თავზე იღებს სკოლების წიგნებით მომარაგებას და მათი მოგება მინიმუმადე ჩამოვა, რაც ბიზნესის დაკარგვის ტოლფასია.

5 ათასამდე ადამიანი რჩება შემოსავლების გარეშე თუ სახელმწიფომ აიღო თავის თავზე ეს ვალდებულება, სანაცვლოდ 650 ათასი მოსწავლის ოჯახს არ ექნება თავსატეხი სექტემბერში. ბიზნესის დეგრადაცია და 5 ათასი ადამიანის შემოსავლის გარეშე დარჩენა უმჯობესია თუ მშობლების გათავისუფლება სასექტემბრო სახდელისაგან? თუ ციფრებს დავაკვირდებით, მაშინ მოსწავლეების მხარდაჭერა უფრო უპრიანია, თუმცა ყველას აქვს თავისი წილი სიმართლე და მის მტკიცებას კიდეც ცდილობენ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი თ. ხიდაშელი სოციალური ქსელით აქვეყნებს შემდეგს: ,,მინდა ვინმემ აგრესიის გარეშე მოგვიყვეს, რატომ არის ცუდი და დასაგმობი:

– ის, რომ ბავშვები სახელმძღვანელოებს უფასოდ მიიღებენ.

– ის, რომ დაახლოებით 45 მილიონი რომელსაც ჩვენი თანამოქალაქეები წიგნებში იხდნენ ოჯახებს დარჩება.

– რატომ არის აღშფოთებული ვინმე იმით, რომ ხელისუფლება საკუთარ წინასაარჩევნო დაპირებას ასრულებს, რასაც მანამდე ხმა მისცეს;

– მართლა ვერ გავიგე, რატომ არის შეშფოთებული ვინმე როდესაც განათლების მინისტრი ამბობს რომ მკაცრი კონტროლი იქნება ხარისხის მაგრამ წიგნები საქართველოში დაიბეჭდებაო;

შეიძლება მე რამე ფუნდამენტურად მეშლება და ეს სრუალიად შესაძლებელია, მაგრამ ვერ გავიგე ვერაფერი ამ აგრესიის, რომელიც მარგველაშვილის წინააღმდეგ დავინახე. მაგალითად ბოლშევიზმიო.

მგონი არ იცის ჩვენი საზოგადოების ერთმა ნაწილმა რომ სკოლებში ბავშვები იმიტომაც არ მიყავდათ მშობლებს რომ წიგნებს ვერ ყიდულობდნენ, კიდევ ფეხსაცმელს ვერ ყიდულობენ მშობლები, განსაკუთრებით ზამთარში.

მე კი მგონია რომ რაც შეიძლება მეტი ფული უნდა დახარჯოს სახელმწიფომ განათლებში, მეტი და მეტი ფული, ბაღიდან უმაღლესის ჩათვლით. და კიდევ ძალიან მინდა მომიყვეთ ბოლშევიზმი რატომ არის ბიუჯეტით სახელმძღვანელოების ყიდვა, და ძალიან მძიმე სიტყვა უნდა გამოვიყენო ეხლა, ყაჩღობა რატომ არ იყო ის რომ 2 ათეულ ლარს ვიხდიდით სახელმძღვანელოში, რომელიც არაადეკვატური წონის არის, და რომელიც გამოყენებიდან დაახლოებით 2 კვირის შემდეგ ფურცელფურცელ იშლება?! აღარაფერს ვამბობ ზოგიერთი წიგნის შინაარსზე, ამ ტიპის დავაში არ მინდა შევიდე ვინმესთან, ამაზე ჩემზე კომპეტენტური ხალხი ისაუბრებს ალბათ."

ახლა მოვუსმინოთ ერთ-ერთ გამომცემელს, მაკო ჯანჯიბუხაშვილს: ,,ხელისუფლების მხრიდან წამოწყებული სამარცხვინო კამპანია, რომელსაც ბავშვებისათვის წიგნების უფასოდ გადაცემა ჰქვია, არის პოპულისტური ნაბიჯი, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ჰუმანიზმთან და განათლების სიყვარულთან.

საავტორო უფლებები უზენაესი უფლებებია და მისი დაცვა დასავლური ღირებულებებისადმი პატივისცემიდან მომდინარეობს."

განათლების ყოფილი მინისტრი ხატია დეკანოიძე განათლების სამინისტროს ინიციატივას უფასო სახელმძღვანელობის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ უფასო სახელმძღვანელოები ცუდი არ არის, თუმცა ამან მძიმე მდგომარეობაში არ უნდა ჩააგდოს გამომცემლები.

„სამინისტროს ეს ინიციატივა პოპულისტური ნაბიჯია და ის იმოქმედებს წიგნის ხარისხზე. უფასო წიგნების შეტანა სკოლებში სახელმწიფოს ბიუჯეტს მომავალ წლებში საკმაოდ ძვირი დაუჯდება. განათლების სამინისტრო სახელმძღვანელოების დაბეჭდვას ოთხ სტამბას ავალებს და, საინტერესოა, როგორ მოხდება ამ სტამბების შერჩევა, იქნება თუ არა გამჭვირვალე შერჩევის პროცესი?"-განაცხადა დეკანოიძემ.

ისე, ძალიან საინტერესოა, რამდენად გამჭირვალე იყო ადრინდელი მიდგომა ამავე საკითხზე? ალბათ მკითხველს ირონიული ღიმილი გადაუვლის სახეზე ამ კითხვის გაგონებისას, თუმცა წრეზე სიარული შედეგიანი არ იქნება. სტამბების შერჩევა უნდა მოხდეს მართლაც სამართლიანად და გამჭვირვალედ.

სახელმძღვანელოების შექმნის პროცესი ადვილი არ არის. მასზე ზოგჯერ ავტორთა ჯგუფს უწევს შრომა რამდენიმე თვე და გამომცემლები მასში დებენ შრომასა და თანხებს. ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით სახელმძღვანელოები ხუთი წლის განმავლობაში არ უნდა შეცვლილიყო, ახლა კი აპირებენ. ეს უკვე ნიშნავს, რომ ხუთ წელზე გათვლილი ბიზნესგეგმა უნდა ჩაიშალოს. ის მინიმალური მოგება, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან არის მოსალოდნელი, გამომცემლობები ადვილად ვერ დათანხმდებიან. პედაგოგთა მოსაზრება ამ საკითხზე თითქმის ცალსახაა: მათთვის მნიშვნელოვანია, რომ მოსწავლეებს დროულად ჰქონდეთ სახელმძღვანელო, რომელიც ძირითად საგანმანათლებო რესურსს წარმოადგენს. საჯარო სკოლების მოსწავლეთა ოჯახების აბსოლუტური უმრავლესობა არ არის განებივრებული დიდი შემოსავლებით. მათთვის მისაღებია უფასოდ წიგნების გადაცემა (წინა ხელისუფლების პერიოდში დამკვიდრდა ტრადიცია, გადასცემოდა სოციალურად დაუცველებს წიგნები სარგებლობაში უფასოდ და ამას არცერთი გამომცემელი არ აპროტესტებდა).

12 მილიონი, რომლითაც წიგნების მიწოდებას უზრუნველყოფს განათლების და მეცნიერების სამინისტრო, არ არის ისეთი თანხა, რომელიც მოხიბლავს ამ ბაზარზე მოთამაშე მსხვილ გამომცემლობებს. კატასტროფულად შემოსავლის შემცირების გარდა აქ საუბარია კიდევ საავტორო უფლებების წართმევაზე, თუ გამომცემლობა არ დასთანხმდება შეთავაზებას, მაშინ მისი ჩამნაცვლებლის პოვნა არ გაჭირდება და ახალი მოთამაშეებისათვის ეს თანხა ძალიან კარგ შეთავაზებად ჩაითვლება.

სავარაუდოდ, გამომცემლობებს მოუწევთ სახელმწიფოსთან კომპრომისზე წასვლა ან ბიზნესის დახურვა.



# PayPal-ზე თიბისი ბანკის ბარათების მიბმა დღეიდან უკვე შესაძლებელია!

**PayPal-ი თიბისი ბანკის ბარათების მფლობელებისათვის უკვე გააქტიურებულია!**

დღეიდან თიბისი ბანკის ყველა ტიპის პლასტიკური ბარათი უკვე შეგიძლიათ მიაბათ PayPal-ის სისტემას, რაც მოგცემთ საშუალებას, აიხდინოთ ოცნება და შეიძინოთ თქვენთვის სასურველი ნივთი ისეთი ვებმაღაზიიდან, რომელზეც მანამდე ხელი არ მიგიწვდებოდათ.




www.paypal.com არის გადახდის საშუამავლო სისტემა, რომელიც იძლევა შესაძლებლობას, მოახდინოთ ონლაინ შეძენა მეტად უსაფრთხოდ ან უბრალოდ იყიდოთ ისეთი ვებ მაღაზიიდან, რომელზეც საქართველოში დამზადებული პლასტიკური ბარათები არ მიიღება და ფუნქციონირებს მხოლოდ PayPal გადახდის სისტემით.

დღემდე paypal-ის ვებ გვერდზე, ქვეყნების ჩამონათვალში საქართველო არ შედიოდა. ამიერიდან, შესაძლებელია შეხვიდეთ www.paypal.com-ზე, აირჩიოთ საქართველო, დარეგისტრირდეთ და უშუალოდ საიტიდან მიაბათ თიბისი ბანკის ნებისმიერი ბარათი paypal-ის სისტემას. ეს თქვენ მოგცემთ საშუალებას, გააკეთოთ შენაძენი ისეთი საერთაშორისო პოპულარული ვებ მაღაზიებიდან, როგორებიცაა eBay, Walmart, overstock.com და ა.შ.

paypal-ის გადახდის სისტემა ფუნქციონირებს როგორც შუამავალი თქვენს ბარათსა და ვებ მაღაზიას შორის. paypal-ზე ბარათის მიბმის შემთხვევაში, ვებ მაღაზია, რომლიდანაც აკეთებთ შენაძენს მიმართავს paypal-ს, ხოლო paypal-ი მას აწვდის იმ ბარათის მონაცემებს, რომელიც მიბმულია მის სისტემაზე.

შესაბამისად, paypal-ით გადახდა თქვენ გაძლევთ უნიკალურ შანსს, განახორციელოთ ონლაინ შოპინგი ნებისმიერი ვებ-მაღაზიიდან, რომელიც იღებს paypal-ის გადახდებს, ნებისმიერ დროს, მაქსიმალურად უსაფრთხოდ და დაცულად. ამისათვის, თქვენ გჭირდებათ თიბისი ბანკის ნებისმიერი ტიპის პლასტიკური ბარათი, paypal-ის საიტზე რეგისტრაცია და სასურველი ნივთი თქვენს ხელშია!

**სასიამოვნო ინტერნეტ შოპინგს გისურვებთ!**

## „ნიკორას" სოსისი კოლიბაქტერიებით დაბინძურებული აღმოჩნდა

სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, მოსკოვის გამზირზე მდებაზე „ნიკორას" საფირმო მაღაზიაში, კოლიბაქტერიებით დაბინძურებული სოსისი აღმოაჩინა. მიმდინარე წლის იანვარში უცნობმა მომხმარებელმა ვებ გვერდს „მომხმარებელი.ჯი"-ს „ნიკორას" სოსისის შემოწმების თხოვნით ანონიმურად მიწერა, რის შემდეგაც პროდუქციის შემოწმება მოხდა.

„ 2013 წლის 04 თებერვალს, მოსკოვის გამზირზე მდებარე ნიკორას საფირმო მაღაზიაში შევიძინეთ ასაწონი სოსისი -„რძიანი". სოსისი მაღაზიის შეფუთვიანად მოთავდა სტერილურ პოლიეთილენის პარკში და ჩაბარდა ლაბორატორიას შესამოწმებლად. ლაბორატორიიდან მიღებული პასუხის მიხედვით სოსისი დაბინძურებულია კოლიბაქტერიებით" – აღნიშნულია „მომხმარებელი.ჯი"– ვებ-გვერდზე.

ლაბორატორიიდან მიღებული პასუხი სურსათის ეროვნულ სააგენტოში გადაიგზავნა, რის შემდგომაც აღნიშნული პროდუქტი სურსათის ეროვნულმა სააგენტომაც შეამოწმა.

შემოწმების შედეგად დაგინდა , რომ სოსისის ნიმუში სანიტარული მაჩვენებლების მიხედვით არ შეესაბამება – „ჰიგიენური მოთხოვნები სასურსათო ნედლეულისა და საკვები პროდუქტების ხარისხისა და უსაფრთხოებისადმი," სანიტარული წესებისა და ნორმების მოთხოვნებს. კერძოდ მეზოფილურ აერობული და ფაკულტატურ ანაერობულ მიკროორგანიზმების რაოდენობამ შეადგინა 2500კწე/გ , ნაცვლად 1000კწე/გ-ში.

**ნიუსპრესი**

## „ნაციონალურ მოძრაობას" უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე ტელევიზიებმა უარი განუცხადეს

„ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენელთა განცხადებით, მათ პარტიას, ტელეკომპანიებმა, უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე უარი უთხრეს. ამის შესახებ პარტიის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

„ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ", როგორც კვალიფიციურმა საარჩევნო სუბიექტმა მიმართა ყველა ცენტრალურ ტელეკომპანიას, 2013 წლის შუალედურ არჩევნებში უფასო პოლიტიკური რეკლამის გამოყოფის მოთხოვნით, კანონით დადგენილი წესის მიხედვით. თუმცა, უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსებაზე რამდენიმე ტელევიზიამ უარი განაცხადა" – ნათქვამია განცხადებაში.

„ნაციონალურმა მოძრაობამ," საკითხის განხილვის მოთხოვნით, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიას და აგრეთვე უწყებათაშორის კომისიას მიმართა.

კომუნიკაციების ეროვნული კომისია, შუალედურ არჩევნებში მაუწყებლების მიერ უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ვალდებულებების საკითხს, დღეს განიხილავს.

**ნიუსპრესი**

## შინაგან საქმეთა მინისტრი ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

შინაგან საქმეთა მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი, გუშინ, ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს დეიმონ ვილსონს შეხვდა. ატლანტიკური საბჭო ხელს უწყობს ტრანსატლანტიკურ თანამშრომლობას და საერთაშორისო უსაფრთხოებას, იკვლევს ტრანსატლანტიკური და გლობალური უსაფრთხოების საკითხებს, ნატოს ტრანსფორმაციასა და რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის საკითხებს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრაზე შინაგან საქმეთა სამინისტროში განხორცილებული სტრუქტურული ცვლილებები განიხილეს. მინისტრმა ატლანტიკური საბჭოს აღმასრულებელ ვიცე-პრეზიდენტს, სამინისტროს განვითარების 2013 წლის სტრატეგია და უწყებაში მიმდინარე რეფორმები გააცნო. ამასთანავე, საუბარი შეეხო ევროატლანტიკურ ინტეგრაციასა და სამომავლო თანამშრომლობას.

**ნიუსპრესი**

## თამარ ცინცაბაძე: „ქვეყანაში პოლიტიკური ძალების გასააქტიურებლად მხოლოდ სურვილი არ კმარა"

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბიძინა ივანიშვილის განცხადება, რომ საქართველოში პოლიტიკური ძალები უნდა გააქტურდეს, მართებული და მისასალმებელია. ამის შესახებ „ნიუსპრესს „დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს წევრმა თამარ ცინცაბაძემ განუცხადა. როგორც ცინცაბაძე „ნიუსპრესთან" საუბრისას აღნიშნავს, ამისათვის მხოლოდ სურვილი არ კმარა და საჭიროა შესაბამისი გარემოც არსებობდეს.

„პრემიერ-მინისტრის განცხადება იმის თაობაზე, რომ ქვეყანაში პოლიტიკური პარტიები უნდა გაძლიერდნენ, მართებულია და ჩვენ ამას მივესალმებით, თუმცა ვთვლი, რომ ამისათვის საჭიროა არსებობდეს შესაბამისი გარემო. უნდა არსებობდეს სამართლიანი საარჩევნო კოდექსი, უნდა შეიცვალოს კანონი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების შესახებ" და პოლიტიკური პარტიებისათვის მედიასივრცე გახსნილი უნდა იყოს"– განაცხადა ცინცაბაძემ.

როგორც „დემოკრატიული მოძრაობის" მთავარი საბჭოს წევრი აცხადებს, ამ ყოველივეს მოსაგვარებლად რეალური ნაბიჯების გადადგმა დღევანდელ ხელისუფლებას უკვე დაწყებული უნდა ჰქონდეს.

„ერთ-ერთი პირველი რაც დღევანდელ ხელისუფლებას უნდა დაეწყო, სწორედ ამ კანონებში ცვლილების შეტანა უნდა ყოფილიყო. ვიმედოვნებ, რომ ხელისუფლება ამ პრობლემას დროულად მიხედავს. ხოლო რაც შეეხება „დემოკრატიულ მოძრაობას," ჩვენ ურთულეს პირობებში, არნახული ზეწოლის ქვეშ მოგვიწია მუშაობა და მოღვაწეობა და ასეთ პირობებშიც კი, შევძელით, საზოგადოებისთვის გვეჩვენებინა ჩვენი ძალა და დაგვემტკიცებინა რომ ჩვენ ჩვენი პრინციპების ერთგულები ვართ ,,– განაცხადა ცინცაბაძემ.

შეგახსენებთ, რომ პრემიერ-მინისტრმა მედიის წარმომადგენლებთან შეხვედრისას განაცხადა, რომ ქვეყანაში პოლიტიკური ძალების გააქტიურება მნიშვნელოვანია.

**ნიუსპრესი**

# ალექსი პეტრიაშვილი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს შეხვდა




ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი ალექსი პეტრიაშვილი საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საკითხებზე საზოგადოებრივ მრჩეველთა საბჭოს შეხვდა.

შეხვედრაზე განსახილველი მთავარი თემა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმებასთან დაკავშირებული მოლაპარაკებების დინამიკა იყო.

შეხვედრას საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე დავით ზალკალიანიც ესწრებოდა, რომელმაც აღნიშნა, რომ ასოცირების შეთანხმების შესახებ მოლაპარაკება, პრაქტიკულად, დასრულებულია და ამჟამად მხარეები ტექნიკურ დეტალებზე მუშაობენ.

აღინიშნა, რომ ახალ მთავრობას მოსალაპარაკებლად ასოცირების შეთანხმების ყველაზე უფრო რთული ნაწილები ხვდა წილად. ასოცირების შეთანხმების ტექსტში საქართველოს ევროპული პერსპექტივისა და უსაფრთხოების შესახებ საკითხები სათანადოდაა ასახული.

„გვინდა, რომ სამოქალაქო საზოგადოება იყოს ინფორმირებული, თუ როგორ წარიმართა მოლაპარაკების პროცესი. ცოტა ხნის წინ შედგა ბოლო რაუნდი ასოცირების შეთანხმებასთან დაკავშირებით. დღეს გვაქვს ყველა საფუძველი იმისთვის, რომ განვაცხადოთ – ასოცირების შეთანხმების პარაფირება შესაძლებელი იქნება ვილნიუსის სამიტზე, შემოდგომაზე“, – განაცხადა ალექსი პეტრიაშვილმა.

სახელმწიფო მინისტრის ინფორმაციით, დოკუმენტი შეთანხმებულია, მასზე მუშაობა დასრულებულია, ტექნიკური დეტალების საბოლოო შეთანხმების შემდეგ კი დაიწყება ასოცირების შეთანხმების ტექსტის სამართლებრივი და ტექნიკური გამართვა, რაც გარკვეულ დროს მოითხოვს.

„საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების პარაფირებით ევროკავშირისთვისაც და საზოგადოებისთვის ცნობილი იქნება, რომ ეს მოლაპარაკებები დასრულდა და მიღწეულია შეთანხმება პოლიტიკურ ასოცირებაზე“, – აღნიშნა სახელმწიფო მინისტრმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ მიხეილ ჯანელიძემ სახელმწიფო მინისტრის მრჩეველთა საბჭოს წევრებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ მოლაპარაკებების მიდინარეობის პროცესის შესახებ ინფორმაცია გააცნო. შეხვედრა აქტიური დისკუსიის რეჟიმში წარიმართა და კითხვები, ძირითადად, ასოცირების შეთანხმების ძალაში შესვლის პროცედურებსა და ვადებს შეეხებოდა.

ასევე, შეხვედრის მონაწილეები დაინტერესდნენ ცალკეულ სფეროებში (კონკურენცია, ენერგეტიკა, გარემოსდაცვა, არასატარიფობარიერები) ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცედურებით. ასევე, ხაზგასმით აღინიშნა საზოგადოების ინფორმირებულობის გაზრდისა და ამ პროცესში არასამთავრობო სექტორის მაქსიმალურად ჩართულობის საკითხი.

**პირველი**

# შეიცვლება თუ არა უშიშროების საბჭოს სტრუქტურა

თამარ ნინიძე

**კარგა ხანია ექსპერტები, პოლიტოლოგები და ანალიტიკოსები შეთანხმდნენ იმაზე, რომ ყველაზე რეზონანსული და სერიოზული საქმე, რომლის გამოც მიხეილ სააკაშვილმა პასუხი უნდა აგოს, 2008 წლის აგვისტოს ომია, ომი თუ სააკაშვილის ავანტიურა, რომელსაც შესანიშნავი ქართველი ვაჟკაცები შეეწირნენ.**

ახალი ხელისუფლება აპირებს აგვისტოს ომის გამოძიებას და, როგორც არჩილ კბილაშვილი აცხადებს, მას ამის თაობაზე რეკომენდაცია აქვს მიღებული ჰააგის სასამართლოს საერთაშორისო სისხლის სამართლის პროკურატურის ოფისის წარმომადგენლებისგან. საყურადღებოა ის, რომ ამ სქელტანიანი და უმნიშვნელოვანესი საქმის ძიების დროს უნდა გამოიკვეთოს, ბოლოს და ბოლოს, მოხდა თუ არა გენოციდი და ვისი გენოციდი მოხდა, ქართველების თუ ოსების.

საინტერესოა ისიც, რომ ნაციონალები და მათი სატელიტი პარტიები განგაშის ზარებს რეკავენ ამ გამოძიებასთან დაკავშირებით, ძირითადად კი აინტერესებთ პასუხები კითხვებზე, ხომ არ სურს ახალ ხელისუფლებას, სააკაშვილის ხელისუფლების დადანაშაულების შემთხვევაში რუსეთისთვის ოკუპანტის სტატუსი მოიხსნას და მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ სააკაშვილსა და მის გუნდს დაეკისროს. ფაქტი ის არის, რომ ტალიავინის კომისიამ პასუხისმგებლობა ომის დაწყებაზე თანაბრად დააკისრა როგორც რუსეთს, ისე საქართველოს თავიანთი დოზებითა და კონკრეტული ბრალეულობებით. ამიტომ დღეს თითის გაშვერა მმართველი კოალიციისკენ, რომ მას მხოლოდ სააკაშვილის ციხეში ხილვა სურს, გაუმართლებელია. საერთაშორისო სამართლის სპეციალისტები და ქართველი იურისტები ერთობლივად უნდა იძიებდნენ ამ საქმეს, თუმცა, რა შედეგიც უნდა დაიდოს, სამართლებრივ პასუხისმგებლობას რომ გაექცეს სააკაშვილი, მორალურ პასუხისმგებლობას მაინც ვერსად წაუვა. შეიძლებოდა აგვისტოს ომის თავიდან აცილება, მაგრამ ერთგან სააკაშვილმა აღიარა, რომ მას რუსმა სამშვიდობოებმა ჩაურევლობის პირობა მისცეს, სააკაშვილმაც არ დააყოვნა და საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ცეცხლი გახსნა. დიახ, ოსებიც საქართველოს მოქალაქეები არიან და ეს საკითხი დავას არ იწვევს.

უნდა გავიხსენოთ ის პროცესებიც, რომლებიც წინ უძღოდა აგვისტოს ომს, მაისში როკის გვირაბთან რუსული ჯარის მობილიზების შესახებ ინფორმაციები ქართული მედიით ვრცელდებოდა, რუსეთი მსხვილი ოკუპაციისთვის ემზადებოდა, სააკაშვილს კი არ ეყო გონიერება, რომ პროვოკაციას არ წამოეგებოდა. რუსეთს ბევრჯერ ჰქონდა იმის მცდელობა, რომ საქართველო პროვოკაციაზე წამოეგო და ამას წარმატებით ახორციელებდა შევარდნაძის ხელისუფლებაში ყოფნის დროს. ამიტომ ეს გაკვეთილი საქართველოს მომდევნო ხელისუფალს კარგად უნდა შეესწავლა. გარდა ამისა, თუ იმ დროს შევარდნაძეს ჯერ კიდევ არ ჰქონდა მნიშვნელოვანი მხარდაჭერა დასავლეთისგან, ეს მხარდაჭერა სააკაშვილს გააჩნდა, რომ საკუთარი ხალხი სასაკლაოზე არ გაეშვა. ომი რუსეთთან აბსურდია, მით უმეტეს, გამარჯვება თუნდაც იმის ფონზე, რომ ნატოს სტანდარტების შესაბამისი ჯარი გყავს, რუსებს მაინც რიცხობრივად გაცილებით დიდი უპირატესობა აქვთ. ომი საერთოდ მიზანშეუწონელია, როცა არსებობს დიპლომატიური რესურსები კონფლიქტის დასარეგულირებლად.

სააკაშვილს და მისი გუნდის ლიდერებს ბოკერიას, უგულავას, ადეიშვილს, მერაბიშვილს ექსპერიმენტის ჩატარება სურდათ, რათა საკუთარი თვალით ენახათ ქართული ჯარის მომზადების დონე. უტყუარი ფაქტია, რომ ქართველმა ჯარისკაცებმა იმ ომში თავი მართლაც გამოიჩინეს და გმირები არიან, მაგრამ შეიძლებოდა მათი გადარჩენა.

დღეს უშიშროების საბჭოს მდივანი გიგა ბოკერია აცხადებს, რომ სააკაშვილის დაკითხვა შეუძლებელია და იუსტიციის მინისტრის ამ მოსაზრებას ბოდვას უწოდებს. თუ ევროპელი ლიდერების დაკითხვა და პასუხისგებაში მიცემა შესაძლებელია, რა გახდა ერთი სააკაშვილი. პრეზიდენტის რანგში თუ საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როცა სააკაშვილი ქვეყნის რიგითი წევრი გახდება, მას მაინც დაკითხავენ. მთავარია, მანამდე არ მოახერხოს ქვეყნის დატოვება.

საინფორმაციო სააგენტო „პირველმა“ გაავრცელა ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ თორნიკე შურღულაიას ანალიტიკური წერილი, რომელშიც ის საინტერესო ინიციატივებზე საუბრობს ეროვნული უშიშროების საბჭოს რეორგანიზაციის შესახებ.

თორნიკე შურღულაია მიიჩნევს, რომ უშიშროების საბჭომ ფუნქცია დაკარგა. მის ნაცვლად კი უნდა შეიქმნას სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი, რომელიც 21-ე საუკუნის გამოწვევებთან ეფექტურად მებრძოლი სტრუქტურა იქნება. მისი თქმით, უშიშროების საბჭო ახლანდელი მდგომარეობით სუსტი რგოლია და უფუნქციო უწყებაა.

სპეციალურ გაერთიანებულ კომიტეტს ეყოლება დირექტორი, რომლის აპარატში შევა შეფასებების სამმართველო. სპეციალური გაერთიანებული კომიტეტი მთავრობის შემადგენლობაში შევა. მას უნდა აკონტროლებდეს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი. შეფასებების სამმართველო უნდა დაკომპლექტდეს კვალიფიციური ანალიტიკოსებით, რომლებიც სპეციალური გაერთიანებული კომიტეტის მიერ დასმულ საკითხებზე კვლევებს ჩაატარებენ. განსაკუთრებულ შემთხვევებში საგანგებო შტაბი უნდა შეიქმნას, რომელშიც შევლენ ძალოვანი სამინისტროების პირველი პირები, სპეცსამსახურების ხელმძღვანელები, საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები, უსაფრთხოების საკითხებში პრემიერის მრჩევლები.

აშკარად გაჩნდა იმის საჭიროება, რომ უფუნქციო და სიმბოლური უშიშროების საბჭოს ნაცვლად უფრო ეფექტური ორგანო შეიქმნას, რომელიც განსაკუთრებულ ფინანსებს არ მოითხოვს, ძველი პრაქტიკით, დიდძალი ფინანსები უშიშროების საბჭოში ხმარდებოდა ოპოზიციის წინააღმდეგ ბრძოლას ქვეყნის საზღვრებს გარეთ.

# ნინო ბურჯანაძე: „პარტიის გაძლიერებაზე მითითება არ გვჭირდება“



„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პოზიტიურად აფასებს იმ ფაქტს, რომ ახალ ხელისუფლებას აქვს იმის სურვილი, რომ მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა არ იყოს წარმოდგენილი და კონკურენტულად განვითარდეს პოლიტიკური სპექტრი. ამის შესახებ ნინო ბურჯანაძემ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტში სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა, სადაც მათ შეკითხვებს პასუხობდა.

ნინო ბურჯანაძეს უცნაურად ეჩვენება ტერმინი მესამე პოლიტიკური ძალა, რადგან მიაჩნია, რომ ნაციონალური მოძრაობა არ არის და ვერ დარჩება მეორე პოლიტიკურ ძალად, ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ ნაციონალური მოძრაობა ყველა შეკითხვაზე არ გასცემს პასუხს და სამართლიანობა არ აღდგება.

„სხვა პოლიტიკური ძალების გაძლიერების სურვილი საკმარისი არ არის და ხელისუფლებაში მოსულ ძალას აქვს იმის შესაძლებლობა, რომ შექმნას ამისათვის საჭირო და სასურველი გარემო. არსებობს საფუძველი იმისათვის, რომ ქვეყანაში ჯანსაღი პოლიტიკური გარემო შეიქმნას“,-განაცხადა ნინო ბურჯანაძემ და დასძინა, რომ ჯანსაღ პოლიტიკურ გარემოში თავად მოსახლეობა წყვეტს, ვინ იქნება მეორე, მესამე ან მეთხუთმეტე პოლიტიკური ძალა.

მისივე თქმით, ხელისუფლებას შეუძლია გადადგას კონკრეტული ნაბიჯები ამ მიმართულებით საკანონმდებლო თვალსაზრისითაც. ბურჯანაძისთვის გაუგებარია რატომ არ განიხილება პარტიების დაფინანსებისთვის კანონი. მისივე თქმით, ნაციონალურმა მოძრაობამ 2003 წელს დამღუპველი შეცდომა დაუშვა, როდესაც ხელი არ შეუწყო ოპოზიციური პარტიების განვითარებას.

„მიუხედავად იმისა, რომ კეთილგანწყობილი ვართ „ქართული ოცნებისადმი“, ჩვენ არ დავხუჭავთ თვალს იმაზე, რაც გვგონია, რომ არასწორად კეთდება. რაც შეეხება პარტიის გაძლიერებაზე მითითებას, ჩვენ ამაზე მითითება არ გვჭირდება“,- განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

**მედიანიუსი**

# პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე ცხრა პირს ჩამორთმეული უფლებები აღუდგინეს

გუშინ პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმებისა და ნასამართლეობის მოხსნის საკითხთა განმხილველმა მუდმივმოქმედმა კომისიამ პოლიტპატიმრის სტატუსის მქონე ცხრა პირს, „ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ჩამორთმეული უფლებები აღუდგინა.

„ამნისტიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობისგან და სასჯელისგან გათავისუფლდნენ პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული პირები, თუმცა აღნიშნულ სამართლებრივ აქტს „ნარკოტიკული დანაშაულის შესახებ“ კანონის საფუძველზე მათთვის ჩამორთმეული უფლებები არ აღუდგენია. ამიტომ, პოლიტიკური პატიმრის სტატუსის მქონე ცხრა პირმა, ამ უფლებების აღსადგენად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველ მუდმივმოქმედ კომისიას მიმართა, რომელმაც მათი განცხადებები დააკმაყოფილა. პრობაციის ეროვნული სააგენტოს პირობითი მსჯავრის გაუქმების საკითხთა განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის შემადგენლობაში შედიან: სასჯელაღსრულების, პრობაციის და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს გენერალური ინსპექციის, პრობაციის ეროვნული სააგენტოს, იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

**მედიანიუსი**

# „ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციამ“ საბჭოთა ანაბრების კვლევის ფარგლებში რეგიონული ტურნე დაიწყო



„ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია“ დაახლოებით 3 თვეა 1990-იან წლებში განვითარებულ ჰიპერინფლაციურ პროცესებს სწავლობს, რომლის შედეგადაც მოსახლეობამ დიდი მოცულობით ანაბრები დაკარგა.

ანაბრების პრობლემის შესწვლის მიზნით „აფბაში“ სპეციალიზებული ცენტიც შეიქმნა. „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრი“ საბჭოთა ანაბრები გაუფასურების პრობლემას სწავლობს.

ცენტრის საქმიანობის ეფექტიანობის ამაღლების და საზოგადოების ჩართულობის გაზრდის მიზნით „აფბაში“ უკვე შექმნილია ცხელი ხაზი, რომლის შესახებამ მოსახლეობას არაერთხელ ეცნობა. ცხელი ხაზის ნომერია 790 10 90 19. ცხელი ხაზი 1 მარტს ამოქმედდა და მას შემდეგ ცენტრში 200-ზე მეტმა ადამიანმა დარეკა. გარდა ამისა, დაინტერესებულ პირებს საშუალება აქვთ თვითონ ორგანიზაციის ოფისში მივიდნენ, სადაც მათ შეეძლებათ მიიღონ ინფორმაცია „საბჭოთა ანაბრების კვლევის ცენტრის“ საქმიანობის შესახებ.

საზოგადოების და მათ შორის ექსპერტული წრეების და მედიის პროცესებში აქტიური ჩართვის მიზნით „აფბა“ პერიოდულად აწყობს შეხვედრებს. რამდენიმე კვირის წინ არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა ავტორიტეტულ ექსპერტებთან და ეკონომისტებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, სადაც საბჭოთა ანაბრების და ზოგადად, შიდა ვალის თემაზე კონფერენციის მოწყობა დაიგეგმა.

თუმცა, გამომდინარე პრობლემის სიღრმიდან და მასშტაბურობიდან, „აფბამ“ რეგიონებში ტურიც დაგეგმა. ტურის ფარგლებში არასამთავრობო ორგანიზაციის წევრები საქართველოს 11 ქალაქში გამართავენ შეხვედრებს, სადაც ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია-საშუალებები და სამეცნიერო წრეები იქნებიან მოწვეული.

11 აპრილს „აფბას“ წამომადგენლებმა უკვე გამართეს ორი შეხვედრა გორში და ახალციხეში. შეხვედრები „დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში“ გაიმართა. შეხვედრებზე არასამთავრობო ორგანიზაციამ სტუდია „7დ“-ის მიერ მომზადებული დოკუმენტური ტელეფილმის – „თავისუფლების ხარკი“ ჩვენებაც მოაწყვეს.

„აფბას“ მიერ ორგანიზებულ შეხვედრებს ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წევრები და მედია-საშუალებები დაესწრნენ.

შეხვედრები რეგიონებში 2 კვირა გაგრძელდება.

# ქეთი ციხელაშვილი: „კანონი ოკუპაციის შესახებ არ უქმდება“

შორენა გონგლაძე

რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე ქეთი ციხელაშვილის განცხადებით, „კანონი ოკუპაციის შესახებ არ უქმდება“.

როგორც ციხელაშვილმა „პრაიმ ტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე ჟურნალისტებს განუცხადა, პოლიტიკოსები მიზანმიმართულად ახდენენ კანონის არასწორ ინტერპრეტაციას, რითიც საზოგადოება შეცდომაში შეჰყავთ.

— სამწუხაროდ, პოლიტიკოსები ახდენენ ოკუპაციის შესახებ კანონის არასწორ ინტერპრეტირებას. მინდა ვთქვა, რომ კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ არ უქმდება და არც მისი ძირითადი პრინციპები გადაიხედება. არასწორია ინფორმაცია, რომ ეს ცვლილება ეხება ადმინისტრაციის ხაზის კვეთას, რაც არის მცდარი ინფორმაცია. ეს ეხება საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს. გარდა ამისა, ეს არ არის კანონის რევიზია, ეს არის კანონში ცვლილება“, — აცხადებს ციხელაშვილი.

ოპონენტების მხრიდან ხშირია არასწორი ინფორმაციის გავრცელება, ხოლო პოლიტიკური შეფასებებისას, ფაქტობრივად, იქმნება რაღაც მითები. შეიძლება ეს იყოს კონკრეტული პარტიული ინტერესებიდან გამომდინარე, მაგრამ არის თემები, რაც არის საფრთხილო. მე მინდა, საზოგადოებას ჰქონდეს სწორი და ამომწურავი ინფორმაცია ამ ცვლილებებთან დაკავშირებით. არის ასეთი ინფორმაცია, რომ თითქოს კანონი ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ უქმდება. ეს კანონი არ უქმდება, არ იცვლება არც მისი სათაური და არც მისი ძირითადი პრინციპები. არის კიდევ ერთი ასეთი მითი, რომ თითქოს, პირისათვის რომელიც დადგენილი წესის დარღვევით შემოვა ოკუპირებულ ტერიტორიებზე, პასუხისმგებლობა უქმდება. ეს ასე არ არის, ასეთი ქმედება იქნება დასჯადი. კიდევ ერთი არასწორი ინფორმაცია, რომელმაც განსაკუთრებით გამოიწვია აჟიოტაჟი, გახლავთ ის, რომ თითქოს ეს ცვლილებები ეხება ადმინისტრაციული ხაზის კვეთას. ეს გახლავთ მცდარი ინფორმაცია. ეს შეზღუდვები ეხებოდა და ახლაც ეხება მხოლოდ საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარს ოკუპირებული ტერიტორიების მიდამოებში და ვრცელდება უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. კიდევ ერთი მცდარი ინფორმაცია, რომელიც პოლიტიკურ კონტექსტში გაჟღერდა, გახლავთ ის, თითქოს ის გახლავთ კანონის პირველი რევიზია. ეს არ არის შესაბამისი სიტყვა, ეს არის კანონში ცვლილება, მაგრამ რატომღაც ძალიან მოკლე მეხსიერება აქვთ იმ პოლიტიკოსებს, რომლებიც თვითონ იყვნენ ხელისუფლებაში და დაავიწყდათ, რომ ამ კანონში ხუთი ცვლილებაა შესული, — აცხადებს ციხელაშვილი.

— ცვლილება, რომელიც ჩვენ გვაქვს წარდგენილი, გულისხმობს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას. ჩვენი ოპონენტები ამბობენ ასევე, რომ თითქოს ჩვენ ვახდენთ ამ კანონის დეკრიმინალიზაციას, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ იხსნება, მაგრამ ამ ქმედების გამეორების შემთხვევაში დაეკისრებათ ეს პასუხისმგებლობა. დღეს კანონი ამბობს, რომ პირი (უცხო ქვეყნის მოქალაქე), მაგალითად, გადმოდის როკზე, პუნქტზე, რომელსაც გააჩნია სასაზღვრო ატრიბუტები, რომელსაც ჩვენ ვერ ვაკონტროლებთ, გადმოდის და ის აჩვენებს თავის პასპორტს, ამ პასპორტში ურტყამენ ბეჭედს, მერე თავისი ნებით მოდის ენგურზე, ჩვენს სამართალდამცავებს აჩვენებს ამ პასპორტს, სადაც აღმოუჩენენ ბეჭედს და ამ ბეჭდის საფუძველზე დგინდება, რომ მან დაარღვია წესი. ჩვენ ვაპატიმრებთ ამ პირს, ვუსჯით ორიდან ოთხ წლამდე პატიმრობას ან ვაკისრებთ ძალიან დიდ ჯარიმას. თქვენ როგორ ფიქრობთ, ის სამასამდე ადამიანი, რომელიც თავისი ნებით იმ პუნქტების გამოვლით შემოვიდა საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე და თავისით მიადგა სამართალდამცავებს, ჩაბარდა, რომ წავიდეს ციხეში. ეს ხომ სრული აბსურდია. ფაქტობრივად, ჩვენ არაადეკვატური სისხლისსამართლებრივი სასჯელით ვსჯით უდანაშაულო ადამიანებს, რომლებმაც არ იციან, რომ ისინი ჩადიან აკრძალულ ქმედებას და არც შეიძლება იცოდნენ, რადგანაც აქ საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე. ამიტომ ჩვენი გადაწყვეტილება, რომ პირი, რომელიც ასეთ ქმედებას ჩაიდენს, პირველად მიეცეს ადმინისტრაციულ პასუხისგებაში ჯარიმით, გაფრთხილდება იმის შესახებ, რომ საქართველოში არსებობს ასეთი კანონი და, თუკი ისევ გაიმეორებს, ცხადია, მას განზრახ ექნება ჩადენილი და დგება ამ პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ეს არის ჰუმანური, ევროპული ღირებულებების მქონე სახელმწიფოსათვის სრულიად მისაღები, რომელიც წაადგება ჩვენი ქვეყნის ინტერესებს, — აცხადებს ციხელაშვილი.

# გიორგი აბაშიძის გარდაცვალების გამო სერგეენკომ სოფლის ექიმი მოხსნა

მერი ნამორაძე

ერთი წლის გოგიტა აბაშიძის გარდაცვალებას სოფლის ექიმის კარიერა „შეეწირა“. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ უკვე შეისწავლა აღნიშნული ფაქტი და დაასკვნა, რომ ბავშვი დაუბალანსებელი კვების შედეგად გარდაიცვალა. ამის შესახებ განცხადება გუშინ ჯანდაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ გააკეთა. პასუხისმგებლობა დაეკისრა სოფლის ექიმს, რომელსაც 4 თვით შეუჩერდა ექიმის ლიცენზია და ასევე დაეკისრა კვალიფიკაციის ამაღლება. დავით სერგეენკომ სოციალურ მუშაკებზეც ისაუბრა და განაცხადა, რომ სოციალური მუშაკები კანონის ფარგლებში მოქმედებდნენ, თუმცა გოგიტა აბაშიძის ფაქტთან დაკავშირებით გარდაცვალებამდე განგაში არ აუტეხიათ. ჯანდაცვის მინისტრის განცხადებით, ქაღალდზე კარგად არის დაწერილი სოფლის ექიმის პროექტი, თუმცა რაც ქაღალდზეა დაწერილი, იმის ნახევარი რომ სრულდებოდეს, პროექტი წარმატებული იქნებოდა.

თუმცა, გადამწყვეტი სიტყვა თუნდაც უკიდურეს გაჭირვებაში მყოფ ოჯახებში მაინც მშობელზეა ბავშვის გამოზრდისას. სათანადო უნარჩვევების და აქტიურობის გარეშე მხოლოდ სოფლის ექიმი თუ უბნის პედიატრი ვერ აიღებს პასუხისმგებლობას ბავშვის ნორმალურ ზრდა-განვითარებაზე.

როგორც გაეროს ბავშვთა ფონდში ამბობენ, საქართველოში ყოველწლიურად ხუთ წლამდე ასაკის თითქმის 300-მდე ბავშვი იღუპება ორსულთა ანემიის, დაბადებისას მცირეწონიანობის, ფოლიუმის მჟავის ნაკლებობასთან ასოცირებული თანდაყოლილი ანომალიებისა და არასრულფასოვანი ძუძუთი კვების გამო.



გაეროს ექსპერტები სისტემის ხარვეზად აღიარებენ დედათა და ბავშვთა ჯანდაცვის არსებითი მომსახურებების ფრაგმენტაციას — არ ხდება სამშობიარო კლინიკიდან გაწერილი ახალშობილის დროული მიმართვა ამბულატორიაში და შესაბამისი მომსახურებების მიმწოდებლები არ იღებენ პასუხისმგებლობას, გააკონტროლონ ჩვილის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ინფორმაცია მიაწოდონ მშობლებს ბავშვის მოვლის სათანადო პრაქტიკის, მათ შორის სრულფასოვანი კვების, შესახებ. ჯანდაცვის სისტემის ამგვარი ხარვეზები არ აძლევს გოგიტას და მის მსგავს ბავშვებს საშუალებას, ისარგებლონ უწყვეტი მომსახურებებით და მიიღონ საჭირო დახმარება სიცოცხლის განმავლობაში.

გაეროს ბავშვთა ფონდმა მოუწოდა მთავრობას, შემოიღოს ბავშვთა საყოველთაო შეღავათი ყველაზე დაუცველი ბავშვების და მათი ოჯახების დასახმარებლად. აუცილებელია დედათა, ახალშობილთა და ბავშვთა ჯანდაცვის უწყვეტი მომსახურების უზრუნველყოფა ბავშვის მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. უაღრესად მნიშვნელოვანია მოსახლეობის ინფორმირება სწორი კვების შესახებ, ძუძუთი კვების პოპულარიზაცია, ორსულებისა და ახალგაზრდა დედების დახმარება და კონსულტირება, ქვეყნის მასშტაბით ფქვილის ფორტიფიკაცია და დედებისა და ბავშვების ვიტამინებითა და მიკროელემენტებით უზრუნველყოფა. ექსპერტული გათვლებით, აღნიშნული ინტერვენციები 25 პროცენტით შეამცირებს 10 წლის მანძილზე კვების დეფიციტთან დაკავშირებულ 1,3 მილიარდი აშშ დოლარის ზარალს საქართველოში. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, თითქმის 1000 ბავშვს შეუნარჩუნდება სიცოცხლე ამავე პერიოდის განმავლობაში.

# შვეიცარია ერთ-ერთ მსხვილ დონორად რჩება

მერი ნამორაძე

იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი დევნილ მოსახლეობას განსახლების პროცესის დასრულებას 4 წელიწადში ჰპირდება. დევნილთა ნაწილი ეჭვის თვალით უყურებს ამ დაპირებას სათანადო ფინანსების არარსებობის გამო. თუმცა, სამინისტრო დონორთა დახმარებით შეეცდება პრობლემის მოგვარებას. სამინისტროს ინფორმაციით, დევნილი მოსახლეობის პრობლემების ეფექტიან მოგვარებას ეხებოდა მინისტრ დავით დარახველიძისა და საქართველოში შვეიცარიის ელჩის გიუნტერ ბეხლერის სამუშაო შეხვედრა. მხარეები თანამშრომლობის გაღრმავებაზე შეთანხმდნენ. დავით დარახველიძემ დიპლომატს დევნილთა ძირითადი საჭიროებების შესახებ ინფორმაცია მოაწოდა და გაწეული დახმარებისთვის მადლობა გადაუხადა.

დარახველიძემ განაცხადა, რომ მომდევნო 4 წლის განმავლობაში დევნილი მოსახლეობის ძირითადი საჭიროების — საცხოვრებელი ბინით უზრუნველყოფის — მიზნით, უნდა მოგროვდეს დაახლოებით 300 მილიონი ლარი. თბილისში უკვე გამოყოფილია 4 ჰექტარი მიწა, სადაც დევნილებისთვის მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები აშენდება, საპროექტო სამუშაოები კი უკვე დაწყებულია. შვეიცარიის ელჩი დაინტერესდა, რა პრინციპით მოხდება დევნილთა განსახლება, კერძოდ, წყალტუბოში მცხოვრებ დევნილებს ხომ არ მოუწევთ წყალტუბოს დატოვება. დავით დარახველიძემ აღნიშნა, რომ სამინისტრომ არ უნდა უკარნახოს დევნილებს, სად იცხოვრონ, მათ თავად უნდა გადაწყვიტონ, სად სურთ ცხოვრება. რაც შეეხება წყალტუბოს, მინისტრის თქმით, წყალტუბო არის დევნილთა განსახლების საერთო გეგმის ნაწილი.

მართალია მინისტრი აცხადებს, რომ დევნილებს არ უნდა უკარნახონ, სად იცხოვრონ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, რომ დევნილთა უმეტესობას თბილისში იმ ფართების დაკანონება სურთ, სადაც წლებია ცხოვრობენ და მცირედი „ინვესტიციებიც“ აქვთ გაღებული საცხოვრებელი ფართის მოსაწესრიგებლად. დევნილთა არასამთავრობო ორგანიზაციები აცხადებენ, რომ კვლავ ხელისუფლების ყურადღების მიღმა რჩებიან კერძო სექტორში განთავსებული დევნილები, რომლებიც წლების განმავლობაში ქირას იხდიან და საშველი არ დაადგა მათი ფართებით უზრუნველყოფას. ხელისუფლების პრიორიტეტად კვლავ კომპაქტურად ჩასახლებული დევნილები რჩებიან და კერძო სექტორში ჩასახლებულებისთვის ჯერ ვერავინ მოიცალა.

გუშინ დევნილთა მინისტრმა ელჩს დევნილთა გრძელვადიანი განსახლების კრიტერიუმებიც გააცნო, რომელიც სამინისტრომ დონორებთან და პარტნიორებთან ერთად შეიმუშავა. ასევე, ისაუბრა დევნილთა მიღების დღეებზე, რომლებიც მინისტრის ინიციატივით დაწესდა.

შვეიცარიის ელჩმა შთამბეჭდავი უწოდა იმ მიღწევებს, რაც ბოლო 5 თვეში განხორციელდა, ეს შეეხებოდა განსახლების პროექტებს, დევნილთა ფსიქო-სოციალურ რეაბილიტაციას და სხვა საკითხებს. ელჩმა მზაობა გამოთქვა თანამშრომლობის გასაგრძელებლად.

შვეიცარიის განვითარების სააგენტო ძალიან მნიშვნელოვან და მსხვილ დონორად რჩება საქართველოსთვის. დარახველიძის განცხადებით, შვეიცარია ყოველწლიურად დევნილებისა და ეკომიგრანტების დასახმარებლად სხვადასხვა პროექტს ახორციელებს.

მიმდინარე წელს იწყება 700 000 ფრანკის ღირებულების პროექტი ეკომიგრანტებისთვის. ასევე დაგეგმილია დასავლეთ საქართველოში კერძო სახლების მშენებლობა დევნილებისთვის.

# აშშ-ის მეინის შტატმა მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიარა

აშშ-ის მეინის შტატის სენატმა და წარმომადგენელთა პალატამ 10 აპრილს მთიანი ყარაბა-



ღის დამოუკიდებლობის აღიარების ერთობლივი რეზოლუცია მიიღეს. ამის შესახებ ინფორმაციას რამდენიმე უცხოური ვებგვერდი ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, მეინის შტატის სენატი და წარმომადგენელთა პალატა მოუწოდებენ აშშ-ის პრეზიდენტსა და კონგრესს, მხარი დაუჭირონ მთიანი ყარაბაღის დემოკრატიულ დამოუკიდებლობას.

რეზოლუციის ინიციატორია კონგრესმენი სკოტ ჰამანი, პალატის წევრებთან — ენდრიუ გეტინთან და სარა გიდეონთან ერთად.

რეზოლუციაში ნათქვამია, რომ მთიანი ყარაბაღი სომხეთის ისტორიული ტერიტორიაა, რომლის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი სომხები არიან. 1921 წელს საბჭოთა დიქტატორის, იოსებ სტალინის მიერ მთიანი ყარაბაღი საბჭოთა აზერბაიჯანის დაქვემდებარებაში გადავიდა. 1988 წლის 20 თებერვალს ყარაბაღში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწო. 1991 წლის 2 სექტემბერს მთიანი ყარაბაღის არჩეულმა საკანონმდებლო ორგანომ მთიანი ყარაღახის რესპუბლიკის შექმნის თაობაზე განაცხადა. 19991 წლის 10 დეკემბერს მთიანი ყარაბაღის მოსახლეობა საერთო-სახალხო რეფერენდუმის გზით ხმა მისცა დამოუკიდებლობას და 1992 წელის 6 იანვარს მთიანი ყარაბაღის ხელისუფლებამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ამის საპასუხოდ, — ნათქვამია რეზოლუციაში, — აზერბაიჯანმა ფართომასშტაბური სამხედრო აგრესია წამოიწყო მთიანი ყარაბაღის განმათავისუფლებელი მოძრაობის ჩასახშობად.

„აგრესია დასრულდა ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმების ხელმოწერით 1994 წელს. მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკამ დემოკრატიული სახელმწიფო შექმნა, თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისა და აქტიური სამოქალაქო საზოგადოებით, გამართა რამდენიმე საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები, რომლებიც საერთაშორისო დამკვირვებლებმა სამართლიანად და დემოკრატიულად აღიარეს“, — აღნიშნულია რეზოლუციაში.

რეზოლუციის ერთხმად მიღების შემდეგ მეინის შტატი ამერიკის მესამე შტატია, როდ აილენდისა და მასაჩუსეტსის შტატების შემდეგ, რომელთაც მთიანი ყარაბაღის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა აღიარეს.

აღსანიშნავია, რომ თავად სომხეთს მთიანი ყარაბაღის დამოუკიდებლობა აღიარებული არ აქვს.

მთიანი ყარაბაღი ისტორიული რეგიონია ამიერკავკასიაში. 1923 წელს შეიქმნა ავტონომიური ოლქი აზერბაიჯანის შემადგენლობაში. 1988 წლის შემდეგ ყარაბაღის ავტონომიური ოლქის ტერიტორია და მისი მიმდებარე აზერბაიჯანის რაიონები ფაქტობრივად ოკუპირებული აქვს სომხურ სეპარატისტულ დაჯგუფებებს. ტერიტორიის სტატუსი კვლავაც გაურკვეველია.

ფართობი — 4,400 კმ .

მოსახლეობა — 146 ათასი, კონფლიქტამდე ძირითადად ცხოვრობდნენ სომხები და აზერბაიჯანელები. ამჟამად მხოლოდ სომხები არიან დარჩენილი.

დედაქალაქი — სტეპანაკერტი (აზერბაიჯანულად — ხანქენდი).

გ. მ.

# საპატრულო პოლიციამ აქციაში — „გაიღე სისხლი-გადაარჩინე სიცოცხლე,“ მიიღო მონაწილეობა

შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლები, საქველმოქმედო აქციაში — „გაიღე სისხლი — გადაარჩინე სიცოცხლე,“ ჩაერთნენ.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ „სისხლის ბანკში,“ შსს-ს საპატრულო პოლიციის 50-მდე თანამშრომელმა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ლევან მაჭავარიანმა, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი ჩააბარეს.

სამინისტროს პრესსამსახურის ინფორმაციით, აქციის მიზანი, შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით, ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის საჭირო სისხლისა და სისხლის კომპონენტების დეფიციტი შემცირებაა.

შსს-ს ინფორმაციითვე, აქცია პერმანენტულ ხასიათის მიიღებს და საპატრულო პოლიციის სხვადასხვა დანაყოფის თანამშრომლები, მთელი წლის განმავლობაში, სისხლს ყოველ კვირას ჩააბარებენ.

აქციის პარალელურად, საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა „მშობელთა სახლში,“ ლეიკემიით დაავადებული ბავშვები მოინახულეს და მათ საჩუქრები გადასცეს.

ნიუსპრესი

# მარინე მიზანდარი თურქეთში გაემგზავრა

ეკა ირემაშვილი



საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის მოადგილე მარინე მიზანდარი თურქეთში გაემგზავრა, რათა სპეციალურ დელეგაციასთან ერთად აწარმოოს მოლაპარაკებები თურქეთის მხარესთან.

– საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვისა და თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროებს შორის, ამ ეტაპზე, იშხანთან არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით, მიმდინარე მოლაპარაკებების შედეგად, რომელშიც ჩართულია ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა უწყება მიღწეულია შეთანხმება: 12 აპრილს, ანკარაში, თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის სამინისტროში შედგება ოფიციალური შეხვედრა. საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის პირველი მოადგილე მარინე მიზანდარი მოლაპარაკებებს გამართავს თურქეთის რესპუბლიკის კულტურისა და ტურიზმის მინისტრის მოადგილესთან ოზგურ ოზასლანთან. შეხვედრას ასევე თურქეთში საქართველოს საელჩოს წარმომადგენლები დაესწრებიან, – განუცხადეს „ახალ თაობას" კულტურის სამინისტროში.

იშხნის ტაძრის საკითხი პრობლემურია იმითაც, რომ ის სხვა ქვეყანაში მდებარეობს – საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის მერაბ ბოჭოიძის განცხადებით, იშხნის ტაძრის საკითხი პრობლემურია იმითაც, რომ ის სხვა ქვეყანაში მდებარეობს და შესაბამისი სარესტავრაციო სამუშაოები ვერ უტარდება.

– გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა დეკორატიულ-ფერადოვანი იატაკი, რომელსაც ზედ დაყრილი მიწა იცავდა, როგორც კი დეკორატიული იატაკი გამოჩნდა, ეს სამუშაოები უნდა შეჩერებულიყო. რთული თემაა, ვინაიდან საქმე ეხება სხვა ქვეყანაში არსებულ ტაძარს. იშხნის გაწმენდითი სამუშაოები ზედამხედველობის გარეშე ისეთი რთული პრობლემების წინაშე დადგომას იწვევს, რაც უკვე ვნახეთ. დანაკარგები დიდია. გაწმენდითი სამუშაოების დროს გამოჩნდა დეკორატიულ-ფერადოვანი იატაკი, რომელსაც ზედ დაყრილი მიწა იცავდა. ახლა კი ეს იატაკი მექანიკური და ატმოსფერული დაზიანების წინაშე დადგა, რაც ამ დასუფთავებითი სამუშაოებითაა გამოწვეული. იქაც ალბათ, დასუფთავების სამუშაოები ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიამ დაიწყო. ტენდერში კი ის იმარჯვებს, ვინც იაფად შეასრულებს ამ სამუშაოებს და ის არქიტექტორის ან ზედამხედველობის მეთვალყურეობით უნდა მომხდარიყო. როგორც კი დეკორატიული იატაკი გამოჩნდა, ეს სამუშაოები უნდა შეჩერებულიყო, – განაცხადა მერაბ ბოჭოიძემ.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი მერაბ ბოჭოიძე და მისი მოადგილე პაატა გაფრინდაშვილი აცხადებენ, რომ იშხანი საფრთხეშია. მერაბ ბოჭოიძემ და პაატა გაფრინდაშვილმა საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრს გურამ ოდიშარიას და მის პირველ მოადგილეს მარინე მიზანდარს იშხნის სამონასტრო კომპლექსში ქართული მხარის ჩართულობის გარეშე, დარღვევებით მიმდინარე სამუშაოები გააცნეს. მასალა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ძეგლთა ატრიბუციის სამსახურის კოორდინატორმა გიორგი პატაშურმა ტელეკომპანია „რუსთავი 2"-თან ურთიერთთანამშრომლობით მოამზადა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ინიციატივით, შეხვედრაზე დაიგეგმა, უახლოეს დროში თურქეთში გაიმართოს ორი ქვეყნის წარმომადგენლობითი დელეგაციების გადაუდებელი სამუშაო შეხვედრა.

ამ დროისთვის იშხანის სამონასტრო კომპლექსში წარმოებული სამუშაოები დარღვევებით მიმდინარეობს. ქართული მხარის მთავარი ამოცანაა, თურქეთის მხარემ დაიცვას საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი პრინციპები, რომელიც ყველა ქვეყანას მის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების დაცვას ავალდებულებს.

საერთაშორისო ნორმების შესაბამისად, ძეგლის დაცვა და მისი პირვანდელი სახით აღდგენა უნდა ეფუძნებოდეს ზუსტ სამეცნიერო კვლევებს, რომელთა საფუძველზე შესაძლებელი გახდება, სიძველეს შეუნარჩუნდეს ყველა ის მახასიათებელი, რომელიც ძეგლის უნიკალურობასა და მხატვრულ ისტორიულ ღირებულებას განაპირობებს.

ქართულმა მხარეს თურქულ მხარეს ოფიციალურად მოსთხოვა, შეაჩეროს ყველანაირი გაწმენდითი სამუშაოები იშხნის ტაძარზე, რადგან სამუშაოები ყველანაირი დარღვევებით მიმდინარეობს.

# მცხეთას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღებენ?

ეკა ირემაშვილი

იკომოს საქართველომ მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შესული ძეგლების მდგომარეობის საკითხებზე საგანგებო პრესკონფერენცია მოიწვია და განაცხადა, რომ მცხეთას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების საფრთხე ემუქრება.

– როგორც ცნობილია, 2009 წელს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 33-ე სესიის გადაწყვეტილებით, მცხეთის ისტორიული ძეგლები – სვეტიცხოვლის კათედრალი, სამთავროს მონასტერი და ჯვრის მონასტერი – ძირითადი ნუსხიდან გადატანილი იქნა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის საფრთხეში მყოფ ძეგლთა ნუსხაში, – განაცხადა იკომოს საქართველოს წარმომადგენელმა ნატო ცინცაბაძემ.

პრესკონფერენციას ესწრებოდნენ არქიტექტორ-რესტავრატორი ნატო ცინცაბაძე, არქიტექტორი კონსტანტინე ამირეჯიბი, ხელოვნების ისტორიკოსი ირინე ელიზბარაშვილი, არქეოლოგი გოდერძი ნარიმანიშვილი, ხელოვნების ისტორიკოსი მანანა სურამელაშვილი, ხელოვნების ისტორიკოსი ციცინო ჩაჩხუნაშვილი.

2013 წლის 16-27 ივნისს კამბოჯაში გაიმართება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესია, სადაც მოხდება მცხეთის ისტორიული ძეგლების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36-ე სესიაზე დამტკიცებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი.

პრესკონფერენციის მონაწილეებმა საზოგადოებას მიაწოდეს ინფორმაცია მცხეთის ისტორიული ძეგლების არსებული მდგომარეობის, მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36 სესიაზე მიღებული რეკომენდაციების და იმ შეუქცევადი პროცესების შესახებ, რაც მოჰყვება აღნიშნული რეკომენდაციების შეუსრულებლობას საქართველოს, როგორც წევრი სახელმწიფოს მხრიდან.

იკომოს საქართველოს წარმომადგენელთა განცხადებით, ძველ მცხეთაში თანამედროვე არქიტექტურული შენობების მშენებლობის გამო იზრდება რისკი იმისა, რომ იუნესკოს მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის სიიდან მცხეთის კულტურული მემკვიდრეობაც ამოიღონ. იკომოს საქართველოს წარმომადგენლები საქართველოს ახალ ხელისუფლებას და კულტურის სამინისტროს, მცხეთაში დაწყებული მშენებლობის მორატორიუმისა და მცხეთის კულტურული ძეგლების შენარჩუნებისთვის მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებს.

– იუნესკოს 37-ე სესიაზე შეიძლება დადგეს მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ამოღების საკითხი, რადგან ძველი მცხეთის ტერიტორიაზე თანამედროვე ტიპის შენობები შენდება და მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის იერსახე ირღვევა. 2013 წლის 16-27 ივნისს კამბოჯაში გაიმართება იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 37-ე სესია, სადაც მოხდება მცხეთის ისტორიული ძეგლების მიმდინარე მდგომარეობის შეფასება და მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის 36-ე სესიაზე დამტკიცებული რეკომენდაციების შესრულების საკითხი. ამიტომაც, თუ ამ მოკლე ვადაში არ გადაიდგა რამე ნაბიჯი იმ პრობლემების აღმოსაფხვრელად, რაც 36-ე სესიაზე იქნა მიღებული, 37-ე სესიაზე შეიძლება დადგეს საკითხი მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# საპატრიარქოს ცენტრში კონფერენცია გაიმართება

ეკა ირემაშვილი

14 აპრილს, ქართული ენის დღეს, საპატრიარქოსთან არსებულ ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრში გაიმართება საქართველოს სახელმწიფო ენის დღისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია სახელწოდებით ,,სახელმწიფო ენა – ქვეყნის ღირსების საზომი".

– ამ კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ მეცნიერები საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტებიდან. კონფერენციაზე წაკითხულ მოხსენებებში განხილული იქნება ქართული და აფხაზური ენების პრობლემები; კერძოდ: ქართული ენა, როგორც სახელმწიფო ენა; ქართული ენის ტექნოლოგიზებისთვის საჭირო გადაუდებელი ამოცანები; აფხაზური ენა, როგორც აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენა და საქართველოს მოვალეობები; ნორმირებული მეტყველება და თანამედროვე მასმედიის ენა; მშობლიური ენის მასწავლებელთა მომზადებისა და გადამზადების საკითხები; თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმები – პრობლემები და მათი გადაჭრის გზები; სახელმწიფო ენის დაცვა – ევროპული გამოცდილება; ევროპული ქარტია რეგიონული და უმცირესობის ენის შესახებ და საქართველო. ამ კონფერენციის მიზანია ქართული ენის, როგორც სახელმწიფო ენის სტატუსის გაძლიერება და მასთან დაკავშირებით დღეს არსებული პრობლემატიკის წარმოჩენა, – განაცხადა საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის წარმომადგენელმა ნათია გოგუაძემ.

კონფერენციაზე მოხსენებებს წაიკითხავენ მეცნიერები თეიმურაზ გვანცელაძე, ტარიელ ფუტკარაძე, შუქია აფრიდონიძე, მერაბ გვაზავა, ალექსი ჟორდანია, მანანა ტაბიძე, ეკატერინე დადიანი, რევაზ შეროზია, მანანა ტაბიძე, ლია ქაროსანიძე, რუსუდან საღინაძე, მანანა კვასხვაძე, მარიკა ოძელი, ნათელა მაღლაკელიძე და ნანა ლოლაძე. კონფერენციის მონაწილეები შეიმუშავებენ მიმართვას, რომელიც ქვეყნის ხელისუფლებას გაეგზავნება.

საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობის სულიერი და ინტელექტუალური განვითარების ცენტრის დარბაზში გაიმართა 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეების ღონისძიება, რომელიც დედაენის დღეს მიეძღვნა. ღონისძიება საპატრიარქოს ახალგაზრდული ცენტრის ორგანიზებით გაიმართა.

**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

თუ გსურთ, მიიღოთ მონაწილეობა მიმდინარე სამუშაოების განხორციელებაში, დარეკეთ ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ნომერზე: 0-901-900-900.

ზარის ღირებულება - 1 ლარი.

იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**
ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: LBRTGE22
ანგ. N GE28LB 0122 1802 48686 000



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● დაქვეითებული სმენის, ნევრიტის, პროსტატიტის, ხშირი შარდვის, წითელი ქარის, სხვა დაავადებების განკურნება ასაკის მიუხედავად, ბიოენერგოინფორმაციული მასაჟის უნიკალური მეთოდით, არასკეპტიკოსებისათვის. მიღება შეზღუდულია ჩაწერით. ტრადიციული სამედიცინო საქმიანობის მართვის ცენტრთან არსებული საზოგადოების წევრი, სერთიფიცირებული დამსახურებული სახალხო მკურნალი ლევან სეხნიაშვილი. ტელ: 599-97-85-46.

● ქალბატონებო! დიდუბეში, აგლაძის 67-ში შეგიძლიათ ბამბის, მატყლის გაჩეჩა საბან-ლეიბების განახლების მიზნით. საბან-ლეიბებს შეგიკერავთ პროფესიონალი მკერავი. განახლებული ლოგინი ჯანმრთელობისთვის სასარგებლოა. ტელ: 235-15-96.

● კოსმეტოლოგი ლამარა თოდუა თავის მრავალწლიანი გამოცდილებით და მამა-პაპური გამოცდილების მცენარეული რეცეპტურით კანის უამრავ დაავადებას არჩენს. სახის კანის გაწმენდა ხდება ახალი და ძველი რეცეპტურით. მყავს ათასობით მადლიერი პაციენტები. ვარჩენ გამონაყარს, მეჭეჭებს, დამწვრობას, სებორეას, ჰაიმორიტ-ფრონტიტს, თმის ცვენას, ქერტლს, ერთი პროცედურით ვაშორებ ტილებს. ვარჩენ სოკოს, ქავილს, ჩაზრუნებულ ფრჩხილებს, მაზოლებს, ძირმაგარებს, ნაიარევს. ახალნამშობიარებ დედებს მოვურჩენ მასტიტს, გამაგრებას. ნებისმიერი კანისთვის ვამზადებ მკვებავ და დამცავ კრემებს. მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ დ№1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15 ექიმი, ქ-ნი მეგი.

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● ძვალსახსართა პრობლემის მკურნალობა – ოსტეოპოროზი, ართრიტები, კოქსართროზი, დაზიანებული ხრტილის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-15-63-33 ექიმი ქ-ნი ნინო.

● ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.

● სიმაღლეში ზრდის ეფექტური, სწრაფი პროგრამა კურსით 3-5 სმ-ის მომატება 25 წლამდე, ძვლის მკვებავი მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით + ვარჯიშებით, უნებლიე შარდვის მკურნალობა მოზარდებშიც, ასაკიანებშიც, ასევე გახდომა 5-20 კგ-მდე, გასუქება 2-5 კგ-მდე თვეში, უვნებლად. ორგანიზმი სწავლობს სწორ კვებას, მადა რეგულირდება, პირიდან უსიამოვნო სუნი ქრება, ავტომატურად წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავის პრობლემები, ხდება სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან! იმუნიტეტის აღდგენა-გაძლიერება, კანის გაახალგაზრდავება. გვაქვს წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 234-02-38; 599-90-54-78 ქ-ნი ქეთევანი.

● ფირმის ოფისში გვაქვს რეალური ვაკანსიები, გვჭირდება უმაღლესგანათლებული, რუსულის მცოდნე თანამშრომლები. სამუშაო კონტრაქტითაა, მუშაობის უფლებით 98 ქვეყანაში. საუკეთესო მენეჯერებს ეძლევათ უფლება, უფასოდ იმოგზაურონ ტრენინგებისათვის. ანაზღაურება მაღალი, სტაბილური, მზარდი. გვაქვს 33-წლიანი წარმატებული მუშაობის გამოცდილება. 247-58-83, 577-29-37-41 დირექტორი.

# საქართველოს თასზე სენსაციებმა იმატა

**დინამო (თბ) – გურია 3:2**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0, 2:0 მერებაშვილი (3პ, 8), 2:1 კაკალძე (10), 2:2 კვერენჩხილაძე (82), 3:2 ძაძამია (87სკ)

**დინამო:** ლორია, გ.კვარაცხელია, შაშიაშვილი, მენდი (ჩისკო 86), პაპავა, გლიშიჩი, გრაიციარი, ალვარო, კოტო (სეთურიძე 62), მერებაშვილი (ტატანაშვილი 72), დვალი

**გურია:** ძაძამია, მაისაშვილი, თოდუა, ჩუენსუ, სალარიძე, შალამბერიძე, გოგობერიშვილი, დარჩიძე, შენგელია, კვერენჩხილაძე, კაკალაძე

მიმდინარეობდა მატჩის 87 წუთი, როდესაც დინამოელმა გრაიციარმა ბურთი მეკარის ბაქანში ჩააგდო, საკმაოდ იოლად მოსახელთებელი მრგვალი სფერო ძაძამიამ ხელში ვერ შეიმაგრა და საკუთარ კარში გადაგზავნა. დინამომ 3:2 მოიგო და ნახევარფინალში გავიდა. არადა, მანამდე ანგარიში „გურიას" სასარგებლოდ ციმციმებდა ტაბლოზე, რადგან პირველი მატჩი ლანჩხუთში უგოლო ფრედ დასრულდა.

ერთია, დასაწყისი „დინამოს" ცუდს არაფერს უქადდა – უკვე მერვე წუთზე მასპინძლები მერებაშვილის დუბლით დაწინაურდნენ. 2 წუთში კაკალაძემ ერთი ბურთი გაქვითა, ხოლო 82 წუთზე კვერენჩხილაძემ ანგარიში გაათანაბრა. ლანჩხუთელები უმთავრესი სენსაციის ავტორები ხდებოდნენ, მაგრამ...

**მატჩის შემდეგ**

**თეიმურაზ ლორია:**

– ვულოცავ მეტოქეს გამარჯვებას და მადლობა მას ჩვენი გუნდის საკადრისად დაფასებისთვის. უძლიერესი შემადგენლობა დაგვიპირისპირდა და ვფიქრობ, ღირსეული წინააღმდეგობაც გავუწიეთ. მაპატიოს ყველა გუნდმა, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს თასს „დინამო" მოიპოვებს. აქვე მინდა მადლობა გადავუხადო „გურიას" თითოეულ ფეხბურთელს თავგანწირული თამაშისთვის და ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს.

**დუშან უჰრინი:**

– შემდგომ ეტაპზე გავედით, მაგრამ თამაშის ხარისხით უკმაყოფილო ვარ. რატომ არ დავაყენე ძირითად შემადგენლობაში ჩისკო და კიდევ რამდენიმე გამოცდილი ფეხბურთელი? რა თქმა უნდა, მათ დასვენების საშუალება მივეცი, მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ შესუსტებული შემადგენლობით ვითამაშეთ. გუნდში 22 ფეხბურთელი მყავს და შანსი ყველას უნდა მიეცეს. რაც შეეხება „გურიას", ძალიან კარგი ფეხბურთი ითამაშა. ამ გუნდმა უკეთესი შთაბეჭდილება დატოვა, ვიდრე ჩვენმა წინა მეტოქემ. ასე რომ, ველოდებით უმაღლეს ლიგაში.



**სიონი – ტორპედო 2:0**

**თბილისი. სანაკრებო ბაზა ბასა**

1:0 ბიბილეიშვილი (52), 2:0 უგულავა (90)

**სიონი:** ბობლიაშვილი, უგრეხელიძე, ორბელაძე (ნემსაძე 77), სვანიძე, ქემოკლიძე, ელიავა, საპირი, ჩივაძე (უგულავა 68), ისიანი (ბიბილეიშვილი 46), კლიმიაშვილი, მიკუჩაძე

**ტორპედო:** ქვილითაია, ტაბატაძე (რიგვავა 72), ონიანი, ჭელიძე, გიორგი გურული, გიორგი დათუნაიშვილი, გიგაური, ვალერი ბოლქვაძე (ფირცხალავა 9), დოლიძე (ბერიაშვილი 59), ფანცულაია, საბანაძე

რაც ვერ მოახერხეს გურულებმა, შესძლეს ბოლნისელებმა. „ტორპედოს" პირველი მატჩი 3:1 ჰქონდა მოგებული და თითქოს შემდეგ ეტაპზე გასვლაც არ უნდა გასჭირვებოდათ, მაგრამ რიონისპირელმა ფეხბურთელებმა ძალიან უნიათოდ ითამაშეს და „სიონიც" დამსახურებულად გავიდა. თუმცა, იღბალიც მათ მხარეს იყო – მეორე გოლის გატანა და მატჩის საფინალო სასტვენის ხმა ერთდროულად გაისმა.

52-ე წუთზე კლიმიაშვილმა დაბალი ბურთი ჩააწოდა, მიკუჩაძემ ვერ დაარტყა, თუმცა შეცვლაზე შესულმა გიორგი ბიბილეიშვილმა შესძლო ახლოდან ზუსტად დარტყმა და ანგარიში გახსნა. „სიონისთვის" სასურველი გოლი კი კუთხურს მოჰყვა – მართალია, ის ბოლნისელებმა ცუდად მოაწოდეს, მაგრამ მოპირდაპირე მხარეს მიკუჩაძე დაუხვდა, რომლის ჩაწოდებულს თავი უგულავამ შეაგება და...

...სანამ მეორე გოლი გავიდოდა, გიორგი ონიანი უგონოდ დაეცა მინდორზე. პირით ხაზთან შეჯახებისას იდაყვი მოხვდა და ექიმები დასტრიალებდნენ. გოლიც იმ ეპიზოდში გავიდა, როცა ონიანს მკურნალობდნენ. ამ დროს „ტორპედოს" ცვლილებათა ლიმიტი ამოწურული ჰქონდა.

**დილა – ჩიხურა 1:2**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

0:1 ჭელიძე (24), 0:2 გოცირიძე (71), 1:2 კახელიშვილი (90)

ამ წყვილის გამარჯვებული პირველი მატჩისას გაირკვა, როდესაც „დილამ" 0:3 წააგო. მაშინ გორელებმა მეორე შემადგენლობა ათამაშეს. იგივე განმეორდა საპასუხო მატჩიც – ისევ სათადარიგოები და ისევ საჩხერელთა გამარჯვება.

**სპარტაკი – მეტალურგი 1:1**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

1:0 ბურძენაძე (24), 1:1 გავაშელიშვილი (77)

**სპარტაკი:** ნადირაძე, ჭაფოძე, ქურდაძე, მგელაძე, ლემონჯავა, შონია, კილასონია (კემუხტაშვილი 85), ხიზანეიშვილი (მაქაცარია 78), ბურძენაძე (კაკაშვილი 58), ნარიმანიძე, მეტრეველი

**მეტალურგი:** ბედიაშვილი, ლობჟანიძე, სუხიაშვილი, ინწკირველი, გავაშელიშვილი, დავით საჯაია, რაზმაძე, ახალკაცი (ჯაფარიძე 86), ქავთარაძე (მენთეშაშვილი 63), ფიფია, ვ.კვარაცხელია (სიხარულიძე 68)

**გაძევება:** ხიზანეიშვილი (80)

ცოტა დააკლდა სენსაციამდე „სპარტაკსაც". ცხინვალელები 24-ე წუთზე დაწინაურდნენ, როდესაც უჩა ბურძენაძემ დაახლოებით 30 მეტრიდან არცთუ ძლიერად დაარტყა და ბედიაშვილს ბურთი იღლიის ქვეშ გაუძვრა – 1:0.

76-ე წუთზე, გოგი ფიფიამ მარცხენა ფლანგიდან კუთხური მოაწოდა, ლუკა რაზმაძის ფეხიდან ბურთი კართან ახლოს მდგომ გიორგი გავაშელიშვილს მიუვიდა, რომელმაც თავით ანგარიში გაათანაბრა და „მეტალურგი" ნახევარფინალში გაიყვანა.

# ზუგდიდი დინამოსგან ბოდიშს ითხოვს

საქართველოს ჩემპიონატი ფეხბურთში დასასრულს უახლოვდება და უკვე ატყდა დავიდარაბა. გუნდები ერთმანეთს აღებ-მიცემობაში სდებენ ბრალს და განცხადებებს ხმამაღლა აკეთებენ. გაზეთ „ლელოში" გამოქვეყნდა თბილისის „დინამოს" პრეზიდენტის, რომან ფიფიას ინტერვიუ, სადაც დინამოელთა შეფი ღიად ადებს ხელს საფეხბურთო კლუბ „ზუგდიდს" გორის „დილასთან" კავშირში. გეტყვით, რომ „დინამო" და „დილა" ჩემპიონობისთვის იბრძვიან.

ფიფიას განცხადებამ შეურაცხყოფილი დატოვა ზუგდიდური მხარე და „ზუგდიდის" დირექტორმა მალხაზ ჭეჟიამ უმალ უპასუხა, თბილისის „დინამოს" პრეზიდენტს რომან ფიფიას ბრალდებას და მისგან ბოდიშის მოხდას ითხოვს.

**მალხაზ ჭეჟია:**

– ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია რომან ფიფიას ბრალდება და საერთოდ მისი ცინიკური დამოკიდებულება ზოგადად ს.კ. „ზუგდიდის" მიმართ. ფიფიამ ეს ბრალდება ჯერ კიდევ 10 დღის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში გამართულ თორმეტთა შეკრებაზე დასვა და მაშინ ჩემგან მან საკადრისი პასუხი მიიღო, თუმცა ეტყობა სახელოვანი კლუბის პრეზიდენტი არ კმაყოფილდება ამით და ხელს ისევ ზუგდიდისკენ იშვერს. გორის „დილასთან" ჩვენი გუნდის მატჩისას, იგივე კითხვა გაჟღერდა „დილას" ხელმძღვანელების მხრიდან, როცა ზუგდიდი 2:0 აგებდა, თითქოს ჩვენ დავკარგეთ თბილისის „დინამოსგან" შეპირებული პრემიალური თანხები, რაზეც გორის სტადიონზე შელაპარაკება მოგვიხდა „დილას" წარმომადგენელთან და ამის მომსწრეები ჟურნალისტებიც იყვნენ. ხსენებულ თორმეტთა შეკრებაზე, როცა რომან ფიფიამ ეჭვქვეშ დააყენა დილა-ზუგდიდის მატჩის სამართლიანობა. ამავე შეხვედრაზე ეს თემა წამოვწიე და პირდაპირ მოვახსენე „დინამოს" პრეზიდენტს, რომ „დილას" მესვეურები სწორედ მისკენ იშვერდნენ ხელს, თითქოს „ზუგდიდმა" გორში წაგებით, „დინამოსგან" ბოძებული პრემიალური თანხები დაკარგა და კითხვაც დავუსვი მაშინ ფიფიას – მისცა თუ არ პირობა მან „ზუგდიდს" პრემიალური თანხებზე... ამაზე „დილას" წარმომადგენლებმა სხდომაზევე ბოდიში მოგვიხადეს, რომ მათ გაარკვიეს ყველაფერი და შეცდომაში იყვნენ შეყვანილი. კიდევ ერთი ფაქტი, რომელიც ფიფიას მოჰყავს, თითქოს ზუგდიდურ გუნდს „გამყიდველები" ჰყავს – მას ასე ვუპასუხებდი. იმ ფეხბურთელების მიმართ, ვისაც ფიფია ასახელებს ამ კონკრეტულ შემთხვევაში, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ თავის დროზე დაუწესა სანქციები და იმავე ფეხბურთის ფედერაციამ მათ მიმართ სანქციები გარკვეული პერიოდის შემდეგ მოხსნა. თუ ძალიან დიდი სურვილი აქვს რომან ფიფიას წესიერებაზე და პატიოსნებაზე, საზოგადოებას ღიად ესაუბროს, თანახმა ვარ, მასთან დებატებზე ნებისმიერ სატელევიზიო ეთერში. მე, მალხაზ ჭეჟია, ს.კ. „ზუგდიდის" დირექტორი, კატეგორიულად მოვითხოვ თბილისის „დინამოს" პრეზიდენტ რომან ფიფიასგან, ხსენებულ ბრალდებას, ჩვენი კლუბის მიმართ მისცეს ოფიციალური სახე, ან ბოდიში მოუხადოს ს.კ. „ზუგდიდს" ყოვლად დაუსაბუთებელი ბრალდების გამო, წინააღმდეგ შემთხვევაში, უკვე ს.კ. „ზუგდიდი" თავად მიმართავს კანონით დადგენილ ზომებს.

# სოხუმმა თავისი მაინც მოიგო

**სოხუმი – დინამო 74:62**

**(21:17; 19:13; 16:21; 18:11)**

მაგიდის მსაჯების შეცდომის გამო გადათამაშებული მატჩი გაიმართა. ის შეხვედრა „სოხუმმა" 1 ქულით მოიგო, თუმცა ვიდეო-ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ დინამოელებს 1 ქულა აკლდათ და გადათამაშებაც ამიტომ დაინიშნა. თუმცა, სოხუმელებმა მეორე მატჩიც მოიგეს – ამჯერად ისე, რომ ეჭვქვეშ არაფერი დამდგარა.

სოხუმელებმა თავიდანვე მოიპოვეს უპირატესობა და მთელი თამაშის განმავლობაში ლიდერობა ხელიდან არ გაუშვიათ. შესანიშნავად ირჯებოდნენ სოხუმელთა როგორც უკანახაზელები, ისე მეფარეები. ბოშკო სტოიაკოვიჩის ორგანიზებით ვაჟა კვარაცხელიას გუნდი შედეგიანად უტევდა. სოხუმელთა ტანმაღალი ცენტრი სერგო ათუაშვილი ფარქვეშაც სარგებლიანი იყო და 2 სამქულიანიც მიითვალა.

მესამე მეოთხედში ზღვისპირელებმა 18-ქულიანი უპირატესობა მოიპოვეს, რასაც დინამოელთა გამოფხიზლება მოჰყვა. ირაკლი ხოშტარიას გუნდმა ბოლო მეოთხედის ახალდაწყებულზე ანგარიშის გათანაბრება (53:53) მოახერხა. მიუხედავად ამისა, სოხუმელები მაინც არ გატყდნენ. შეცვლაზე შემოსულმა 19 წლის კარლის მუიჟნიეკსმა შესანიშნავად გაართვა თავი თანაგუნდელთა პასებით მომარაგებას და უმნიშვნელოვანესი სამქულიანიც ჩააგდო. სერბმა ბოშკო სტოიაკოვიჩმაც გაისწორა შორი სამიზნე, რის შემდეგაც „დინამო" წასაგებად გაიწირა. საბოლოოდ, კვარაცხელიას გუნდმა 74:62 მოიგო.

გამარჯვებულებს 20 ქულით ათუაშვილმა ულიდერა, ხოლო სტოიაკოვიჩის ანგარიშზე 18 ქულაა. ორმაგი დუბლი მიითვალა ვახტანგ ქადარიამ – 12 ქულა, 15 მოხსნა. დინამოელთაგან 13-13 ქულა დააგროვეს ლამარ კარიმმა და მილან ოულიჩმა, ხოლო ჩიკვილაძემ შეხვედრა 10 ქულით, 7 მოხსნითა და 6 პასით დაასრულა.

**მატჩის შემდეგ**

**ვაჟა კვარაცხელია (სოხუმი):**

– ძალიან კმაყოფილი და ნასიამოვნები ვარ დღევანდელი შეხვედრით, რომელშიც კალათბურთმა გაიმარჯვა. ბევრი სკეპტიკურად უყურებდა გადათამაშებულ მატჩს, მაგრამ ვფიქრობ ეს აუცილებელი იყო, რათა დაგვემტკიცებინა ჩვენი გუნდის სიძლიერე. რაც შეეხება ირაკლი ჩლაიძეს, ჯერჯერობით თამაში უჭირს, თუმცა პლეიოფებისთვის სათანადო ფორმაში იქნება.

**ირაკლი ხოშტარია (დინამო):**

– გადადებული შეხვედრა იყო და გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტი გვქონდა. ამასთან, მოგებული თამაშების შემდეგ ზედმეტად თავდაჯერებულნი ვიყავით. სამწუხაროა რომ წაუგებელი სერიის შემდეგ მარცხი განვიცადეთ. ძალიან ბევრი ხარვეზი გვქონდა, განსაკუთრებით პირველ და მეორე მეოთხედებში. თუმცა პლეიოფებისთვის ეს ჩვენთვის კარგი გაკვეთილი იქნება. გამოცდილი მოთამაშეები გვყავს, რომლებთანაც ხვალ გვექნება საუბარი, გავარჩევთ თამაშს და სწორ ანალიზს გავაკეთებთ.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.ოლიმპი | 19 | 16 | 3 | 1693:1362 | 35 |
| 2.შსს | 19 | 16 | 3 | 1551:1268 | 35 |
| 3.არმია | 19 | 14 | 5 | 1688:1281 | 33 |
| 4.რუსთავი | 19 | 13 | 6 | 1627:1408 | 32 |
| 5.დინამო | 19 | 12 | 7 | 1472:1410 | 31 |
| 6.ქუთაისი | 19 | 11 | 8 | 1506:1375 | 30 |
| 7.სოხუმი | 19 | 9 | 10 | 1489:1524 | 28 |
| 8.თსუ | 20 | 6 | 14 | 1392:1601 | 26 |
| 9.ბათუმი | 19 | 5 | 14 | 1318:1561 | 24 |
| 10.თსსუ | 19 | 2 | 17 | 1236:1725 | 21 |
| 11.სტუ | 19 | 1 | 18 | 1254:1711 | 20 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# პსჟ ჩემპიონთა ლიგას თავაწეული ტოვებს

**ბარსელონა – პსჟ 1:1**

0:1 პასტორე (50), 1:1 პედრო (71)

**ბარსელონა:** ვალდესი, ალვესი, პიკე, ადრიანო (ბარტრა 62), ალბა, ბუსკეტსი, ჩავი, ინიესტა, პედრო, ფაბრეგასი (მესი 62), ვილია (სონგი 83)

**პსჟ:** სირიგუ, ჟალე (ვან დერ ვილი 88), ალექსი, სილვა, მაქსველი, მოურა, ვერატი (ბექჰემი 83), მოტა, პასტორე, იბრაჰიმოვიჩი, ლავესი (გამეირო 81)

ძალიან იშვიათად ხდედბა, როდესაც გუნდი ორმატჩიან დაპირისპირებაში არცერთ თამაშს არ აგებს და მაინც წაგებული რჩება. მით უფრო, თუ „ბარსელონას" ეთამაშება. ასე დაემართა პსჟ-ს, რომელიც კატალონიელებმა სტუმრად გატანილი გოლის წყალობით გამოთიშეს ასპარეზობას.

ერთია, პსჟ თავაწეული ტოვებს ჩემპიონთა ლიგას, ხოლო ფავორიტი გზას აგრძელებს.

არადა, პსჟ ახლოს იყო სენსაციასთან – სტუმართა კონტრშეტევის დროს, ზლატან იბრაჰიმოვიჩმა პასტორეს ძალიან დროული პასი მისცა და მეკარესთან პირისპირ გასულმა შემტევმა ვალდესს შანსი არ დაუტოვა.

ამის შემდეგ მოედანზე ლიონელ მესი გამოჩნდა, რომელმაც გაამწვავა „ბარსას" შეტევები. 72-ე წუთზე მესიმ 2 ფეხბურთელი მოატყუა და საჯარიმოსკენ დაძრული ვილია მოძებნა, რომელმაც თავის მხრივ საჯარიმოს წინა ხაზთან ახლოს მდგომი პედრო მოძებნა და მანაც ბურთი სირიგუს კარში ერთი შეხებით დარტყმით მოათავსა

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ჩავი**

პსჟ-სთან მატჩში, „ბარსას" მე-6 ნომერმა დაუჯერებელი შედეგი აჩვენა – მის მიერ გაკეთებული 96 გადაცემიდან ყველა ზუსტი გამოდგა. ამის გარდა ჩავი გარეშე კატალონიური კლუბის არცერთი შეტევა არ იწყებოდა და ყველა კომბინაციაში მონაწილეობდა. ერთადერთი გამონაკლისი მისი გუნდის მიერ გატანილი გოლი იყო.

**იუვენტუსი – ბაიერნი 0:2**

0:1 მანჯუკიჩი (64), 0:2 პისარო (90)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ბარძალი, ბონუჩი, კიელინი, პადოინი (ისლა 69), პოგბა, პირლო, მარკიზიო (ჯაკერინი 79), ასამოა, კვალიარელა (მატრი 66), ვუჩინიჩი

**ბაიერნი:** ნოიერი, ლამი, ვან ბუიტენი (ბოატენგი 35), დანტე, ალაბა, მარტინესი, შვაინშტაიგერი, რობენი, მიულერი, რიბერი (გუსტავო 80), მანჯუკიჩი (პისარო 83)

განმეორებითმა მატჩმაც დაამტკიცა, რომ ამ გუნდებს შორის სხვაობა კლასში ჯერ კიდევ არ არის თანაბარი. მიუნხენელები თავს კომფორტულად გრძნობდნენ, როგორც საკუთარ, ასევე მეტოქის მოედანზე.

ტურინელებს კი სურდათ მატჩი გარდატეხა პირველივე ტაიმში შეეტანათ, მაგრამ ვერ მოახერხეს, შემდეგ კი ყველაფერი ოსტატობის საკითხი იყო და ასეც მოხდა.

64-ე წუთზე შვაინშტაიგერის მარჯვნიდან ჯარიმა ჩააწოდა, ბურთს ხავი მარტინესი ურტყამდა, მართალია, ბუფონმა რეაგირება მოასწრო, მაგრამ დამატებაზე მანჯუკიჩმა ყველას დაასწრო.

მატჩის ბოლოს კი, შვაინშტაიგერის პასით დასარტყმელ პოზიციაზე გასულმა პისარომ მეოთხედფინალების ბოლო გოლი გაიტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – არიენ რობენი**

ჰოლანდიელმა ფეხბურთელმა ძალიან დიდი სამუშაო გასწია – განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როდესაც დაცვითი ფუნქციებითაც იყო დაკავებული. მეორეში კი, მიულერთან ერთად ყველაზე აქტიური იყო და სწორედ ამის გამო „იუვენტუსი" ვერ ახერხებდა მეტოქის ნახევარზე დიდი ძალებით გადასულიყო.

## შედეგები

**ფეხბურთი**

**ევროპის ჩემპიონთა ლიგა**

ბარსელონა-პსჟ ........ 1:1
იუვენტუსი-ბაიერნი ........ 0:2

**ჩეხეთი. თასი**

პლზენი-იაბლონეცი ........ 3:4
სლოვაცკო-ბოლესლავი ........ 0:1

**პოლონეთი. თასი**

შლიონსკი-ვისლა ........ 2:1

**დანია. თასი**

რანდერსი-ჰორსენსი ........ 1:0

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

ვაშინგტონი-მაიამი ........ 98:103
კლივლენდი-დეტროიტი ........ 104:111
ორლანდო-მილუოკი ........ 113:103(ოტ)
ფილადელფია-ატლანტა ........ 101:124
ბესტონი-ბრუკლინი ........ 93:101
დალასი-ფინიქსი ........ 91:102
პორტლენდი-ლეიკერსი ........ 106:113
საკრამენტო-ნიუ ორლეანი ... 121:110
დენვერი-სან ანტონიო ........ 96:86
კლიპერსი-მინესოტა ........ 111:95

**ჰოკეი**

**ნჰლ. რეგულარული სეზონი**

რეინჯერსი-ტორონტო ........ 2:2(1:0ბ)
ნიუ ჯერსი-ბოსტონი ........ 4:5
კალგარი-ვანკუვერი ........ 1:4
ედმონტონი-ფინიქსი ........ 1:3
ანაჰაიმი-კოლორადო ........ 1:4

# ზინა კვერენჩხილაძეს დედათა მონასტერში გაიხსენებენ

ეკა ირემაშვილი



რუსთაველის თეატრის მსახიობს ზინა კვერენჩხილაძეს 14 აპრილს, ქართული ენის დღეს, მის საფლავთან, მცხეთის სამთავროს დედათა მონასტერში გაიხსენებენ. ღონისძიებაში, რომელსაც მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის პედაგოგი ინესა აბესაძე ატარებს, მონაწილეობას მიიღებენ სასახლის აღსაზრდელები. ისინი მსახიობის საფლავთან მხატვრულად წაიკითხავენ იღუმენია ქეთევანის ლექსებს, რომელიც უკვე 6 წიგნის ავტორია.

– 14 აპრილი არის ქართული ენის დღე და ლაზარეს აღდგინების დღე. პირველები ჩვენ ვართ, ვინც შევდივართ მონასტერში. ანსამბლი „მირანგულა" გვყავს სასახლეში, ქეთინო შინდაგორიძეა მისი ხელმძღვანელი და ღონისძიებაში ისინიც მონაწილეობენ. ანსამბლი შეასრულებს პატრიარქის საგალობლებს. ჩემი აღსაზრდელები დიდი კელაპტრებით ხელში იტყვიან ძალიან ხმადაბლა „მამაო ჩვენოს". გოგონებს ყველას ეცმევათ კვართი თეთრი თავსაფრებით, ბიჭები მუქი ფერის ჩოხებით იქნებიან. ჩვენ ამ დღეს მონასტერში წავიკითხავთ იღუმენია ქეთევანის ლექსებს. იგი, სანამ მონაზვნად აღიკვეცებოდა, ენათმეცნიერების ინსტიტუტში მუშაობდა. იღემუნია უწმინდესმა და უნეტარესმა დიდი ღვაწლისთვის მეორე გამშვენებული ჯვრით იერუსალმურით დააჯილდოვა. საკმაოდ რთულად წერს დედა ქეთევანი, მაგრამ მესამე რეპეტიციიდან ღვთით შევძელით ამ ტექსტების დაძლევა. ღონისძიებაში ბევრი ბავშვი მონაწილეობს, დაახლოებით 47. ჩვენ ამ ღონისძიებას გადავიღებთ და მონასტერში დარჩება. იღუმენიამ მითხრა, რომ ყველა დედები დაესწრებიან, მაგრამ მე თუ კურთხევა არ მომცა პატრიარქმა, ისე ვერ დავესწრები, რადგან მძიმე მარხვააო. პატრიარქი არ იმყოფება საქართველოში, ამიტომ ვერ აიღებს კურთხევას. დედაომ მითხრა, თქვენ არ ინერვიულოთ, ჩვენ ამ ყველაფერს გადავიღებთო. მონასტრის სატრაპეზოში დიდი ტელევიზორი აქვთ და დისკების საშუალებით უყურებენ, – განაცხადა სასახლის პედაგოგმა ინესა აბესაძე.

ზინა კვერენჩხილაძის საფლავთან იღუმენია ქეთევანის ლექსებს წაიკითხავენ მარიამ ტუშური, მარიამ სანებლიძე, მარიამ გუმბერიძე, მარიამ ონიანი, ელენე მაისურაძე, ილია ქიტოშვილი, ლევან სისაური, ელენე ძნელაძე, დავით კვაჭანტირაძე, მარიამ ყაველაშვილი, მარიამ კალანდაძე, მარიამ გაგნიძე, მარიამ მირიანაშვილი, ქეთი სახვაძე, მარიამ აბაშიძე, ლუკა ბურდული, სანდრო ასკილაშვილი, გაბრიელ ჩხაიძე, დავით ლალაძე, ნიკოლოზ თათრიშვილი, თორნიკე თოდრია, ანა ყიფშიძე, თამარ ჭანტურია, მარიამ თათულაშვილი, გიორგი ფერაძე, ნინო ხეცურიანი, ნინო დანელია, ნინო ასანაშვილი, ნინო ცანავა, ლიზი კვაჭაძე, ნია დოლიძე, ანა შაფათავა, გივი ტატიშვილი, ლილე ხომასურიძე, ვახტანგ რაქვიაშვილი, ანა ბოკერია, დავით ჯოგლიძე, ავთანდილ დვალიშვილი, თამარ გიორგაძე, თამარ შანიძე, ნინი კობიაშვილი, გიორგი კვარაცხელია, ლიზი ბედოშვილი, ვალერი ჯოგლიძე, თამარ ცხელიშვილი, ნინო ტორიაშვილი. ღონისძიების კონსულტანტები არიან ფილოლოგი ქეთი ბაზაძე და პროფესორი დავით სოლომნიშვილი.

– ძალიან საინტერესო ღონისძიებაა. საოცარი ტექსტი მაქვს: „დღეს ვიხსენებთ იმ ადამიანს, ვინც ქართულ სიტყვას განუმეორებელი ჟღერადობა შესძინა და თეატრს დიდი ამაგი დასდო. უხვად აფრქვევდა შემოქმედის მიერ ნაბოძებ ღვთიურ სათნოებას, სითბოს და სიყვარულს. ის იყო ჩვენ გვერდით, როცა ეროვნულ სასახლეს, მომავლის სასახლეს, ეროვნული საფრთხე ემუქრებოდა. ეს ქალბატონი გახლავთ ზინა კვერენჩხილაძე", – განაცხადა ნინო კაპანაძემ.

– იღუმენია ქეთევანის ლექსის გარდა, ამ ღონისძიებაზე სხვა კუთხითაც ვიღებ მონაწილეობას. ძალიან შთამბეჭდავი ტექსტი მაქვს: „დღეს ვდგავართ აქ და, რამდენადაც შეგვიძლია, ვიხსენებთ დიდ მსახიობს ზინა კვერენჩხილაძეს. ჩვენში იბადება სურვილი, ვიყოთ მასავით სუფთა, კეთილი, გულისხმიერი, მოკლედ, ვიყოთ კარგი ადამიანი", – აღნიშნა ილია ქიტოშვილმა.

– უფალი სუფევს, მშვენიერება შეიმოსა. ამის დასტურია 14 აპრილი. დედა ღვთისმშობელმა შეგვახვედრა სამთავროს წმინდა ნინოს დედათა მონასტრის წინამძღვარს, უფლისა და სიტყვის მსახურს იღუმენია ქეთევანს. ამ დღეს ჩვენ ყველას თანაზიარს გავხდით დედა ქეთევანის უმშვენიერესი შემოქმედებისა, – განაცხადა დავით ლალაძემ.

როგორც პედაგოგმა ინესა აბესაძემ განაცხადა, 28 აპრილს, ბზობის დღესასწაულზე, მისი აღსაზრდელები უკვე დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში შეიკრიბებიან, სადაც ხუტა ბერულავას გაიხსენებენ.

# მურაზ მურვანიძე ოპერის თეატრის მთავარი მხატვარია

დასაწყისი მე-12 გვერდზე

ოსანი", ალექსანდრე ჩაიკოვსკის ბალეტი „ჯავშნოსანი პოტიომკინი", აგრეთვე საოპერო დადგმები ვერდის „დონ კარლოსი" და დონიცეტის „ლუჩია დი ლამერმური" , ქორეოგრაფ ოლეგ ვინოგრადოვთან ერთად რომის საოპერო თეატრში დადგმული პეტრე ჩაიკოვსკის „გედების ტბა" და ვარშავის საოპერო თეატრში დადგმული სერგეი პროკოფიევის ბალეტი „კონკია". განსაკუთრებით აღსანიშნავია ადოლფ ადანის ბალეტი „კორსარი" მარიუს პეტიპას ქორეოგრაფიით, რომელიც წარმოადგენდა მარინის თეატრისა და პარიზის გრანდ-ოპერის კო-პროდუქციას და შესაბამისად, დაიდგა პარიზსა და სანკტ-პეტერბურგში. ამავე ჩამონათვალში მოიაზრება გენუას კარლო ფელიჩეს თეატრში დადგმული სოფია გუბაიდულინას ორატორია-ბალეტი „მერწყულის ერა", რომელიც წარმოადგენდა სევილიის და ჰამბურგის კო-პროდუქციას, ასევე მოსკოვის დიდ თეატრში მსტისლავ როსტროპოვიჩის დირიჟორობით წარმოდგენილი მოდესტ მუსორგსკის „ხოვანშჩინა", ამ უკანასკნელზე მხატვარი მუშაობდა მსოფლიოს უდიდეს საოპერო რეჟისორთან ბორის პოკროვსკისთან. თეიმურაზ მურვანიძემ კიდევ მრავალი ღირსშესანიშნავი მუსიკალური დადგმა განახორციელა რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, სომხეთში, თურქეთში, იტალიაში, პოლონეთსა და საფრანგეთში. იგი სამართლიანად არის აღიარებული სოლიკო ვირსალაძის სტილის გამგრძელებლად. მხატვარი მუდამ ცდილობს არ გაემეორდეს და ყოველ ახალ მუსიკალურ კომპოზიციას შესაბამისი, მხოლოდ მისთვის გააზრებული ორიგინალური, ფერადოვანი სამყარო მიუსადაგოს, რამეთუ ხელოვნების კანონებს ეწინააღმდეგება ახალი მუსიკალურ-სცენური წარმოდგენის გააზრება ძველი მხატვრულ-სახეობრივი კატეგორიებით. ამიტომაც, თეიმურაზ მურვანიძის სტილი მუდმივად ცვალებადია, განახლებადია და ის არ დაიყვანება ერთ რომელიმე მხატვრულ სტილურ კლიშეზე. მასთან დაკავშირებით, მსოფლიო პრესა ყოველთვის გულუხვია. ჟურნალში „თეატრი", მოსკოვი „ვეფხისტყაოსნის" პრემიერის შემდეგ ცნობილი კრიტიკოსი ვადიმ გაევსკი წერს:

„მურვანიძე არის მხატვარი-ჯადოქარი. გაზეთში „ლე ფიგარო" ჟან-მარი კურრო „კორსარის" დადგმასთან დაკავშირებით წერს: „დეკორაციებისა და კოსტიუმების ფუფუნება აოცებს მაყურებელს. პირველი მოქმედება გვაგონებს დელაკრუას და ჟერიკოს ტილოებს. შემდეგ მოქმედებები უახლოვდება ოდილონ რედონის შემოქმედებას. საიდუმლოებით მოცული გამოქვაბულები, რომლებშიც გაბნეულია ლალების და საფირონების ქვები, ჯადოსნური ზღვის სანაპიროები და ორიენტალური ბაზრები, აღაფრთოვანებს მაყურებელს". „დანს მეგეზინში" იზაბელ გარნიე წერს: „როგორც კი გაიხსნება ფარდა, იცოდეთ, რომ მურვანიძის გასაოცარი დეკორაციები ჭკუიდან შეგშლიან". გაზეთში „ლე კოტიდიენ დე პარი" ჟერარ მანონი წერს: „მისი დეკორაციები გასაოცარი ფერებით და ფორმებით ბატონობენ სცენაზე. მათი ირაციონალური ექსტრავაგანტურობით გამორჩეული მშვენიერება ყოველგვარ ტრადიციულ ესთეტიკაზე უფრო მაღლა დგას". „ლიტერატურნაია გაზეტა", მოსკოვი: „პარიზში „კორსარის" პრემიერის შემდეგ მან გაიღვიძა და უკვე ცნობილი მხატვარი იყო". აქვე შემიძლია შემოგთავაზოთ დანიელ მიტერანის ინტერვიუს ფრაგმენტი (პარიზში მხატვრის პერსონალური გამოფენის გახსნასთან დაკავშირებით), რომელიც ჩაიწერა არტისტული საზოგადოების პრეს-ატაშემ ნიკოლ გონსალესმა: „ეს გამოფენა უნდა გაიხსნას გრანდ-ოპერაში, რადგან თეიმურაზ მურვანიძეს აქვს სრული უფლება, იყოს პირველი მერცხალი ორი უდიდესი თეატრის, მარინისა და გრანდ-ოპერის ურთიერთობის აღდგენის საქმეში". ფრანსუა ლეოტარი, საფრანგეთის კულტურის მინისტრი (ამავე ღონისძიებასთან დაკავშირებით): „ასეთი ფართო შემოქმედებითი დიაპაზონი დღეს იშვიათობაა".

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში სარემონტო სამუშაოები 2014 წელს დასრულდება და საზეიმოდ შემოდგომაზე გაიხსნება. ოპერის თეატრი საზეიმო გახსნისთვის ახალ სპექტაკლზე მუშაობას იწყებს, რომლის მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე იქნება.

# მცხეთას მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოიღებენ?

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ამოღების შესახებ. ჩვენი რეკომენდაციაა, გამოცხადდეს მორატორიუმი სამშენებლო საქმიანობაზე. მომზადდეს მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის ახალი პროექტი და გადაეგზავნოს ის იუნესკოს. ჩვენ გვესმის, რა რთულია ეს და ამიტომაც მოვუწოდებთ კულტურის სამინისტროს და მთავრობას, აიღოს პასუხისმგებლობა და დაიწყოს იუნესკოს რეკომენდაციების შესრულება. თავის დროზე ახალი მცხეთა ძველი მცხეთიდან რამდენიმე კილომეტრში იმიტომ აშენდა, რომ მცხეთის ისტორიული იერსახე არ დამახინჯებულიყო, ახლა კი სამთავროს ზონაში ბინათმშენებლობა და იუსტიციის სახლის მშენებლობა მიმდინარეობს, რომლის არქიტექტურაც საერთოდ არ ჯდება ისტორიულ არქიტექტურაში. ეს ფაქტი უკიდურესად სახიფათოა და გაართულებს მომავალში მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაფუძნების პროცედურას და შედეგად გაიზრდება ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების რისკი. კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტი გამოხატავს უკიდურეს შეშფოთებას იმ მშენებლობებთან დაკავშირებით, რომელსაც აწარმოებს სახელმწიფო ძეგლის მიმდებარე არეალში მდინარე არაგვის სანაპიროზე, სვეტიცხოვლის ტაძარსა და ჯვრის მონასტერს შორის და მოუწოდებს სახელმწიფოს, შეწყვიტოს სამშენებლო მოქმედებები, სანამ დაგეგმილი პროექტების დეტალები და მემკვიდრეობაზე მისი ზემოქმედების შეფასება არ წარედგინება მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს. ამასთან, იუნესკო მოითხოვს, წევრმა სახელმწიფომ წარუდგინოს მართვის გეგმის სამუშაო ვარიანტი მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს. სახელმწიფომ მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს წარუდგინა ანგარიში მცხეთის ძეგლების კონსერვაციის მდგომარეობის შესახებ და ასევე მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის მართვის გეგმის პროექტი. ახალი ზონები არათუ ითვალისწინებს მსოფლიო მემკვიდრეობის კომიტეტის რეკომენდაციებს, არამედ ამცირებს ადრე არსებული ლანდშაფტის დაცვისა და არქეოლოგიური დაცვის ზონებს. ჯერ არ შესრულდა იუნესკოს მოთხოვნა რეკომენდაციებში მითითებულ ტერიტორიებზე მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების შეწყვეტის შესახებ. თუ ამ მოკლე ვადაში არ მოიძებნა შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი, მსოფლიო მემკვიდრეობის 37-ე სესიაზე მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის შესახებ გადაწყვეტილებაში შეიძლება გაჩნდეს ჩანაწერი ძეგლის შესაძლო ამორიცხვის შესახებ. ეს უკიდურესად სახიფათოა, ართულებს მომავალში მცხეთის მსოფლიო მემკვიდრეობის ძირითად ნუსხაში დაბრუნების პროცედურას. ასევე გაიზრდება ძეგლის მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ამოღების რისკი, – აღნიშნა ნატო ცინცაბაძემ.

როგორც პრესკონფერენციაზე ითქვა, იკომოს საქართველოს რეკომენდაცია არის სახელმწიფოს მიმართ, რომ ოფიციალურად გამოცხადდეს მორატორიუმი სამშენებლო საქმიანობაზე მცხეთის ყოფილ ლანდშაფტის დაცვის ზონაში და არა მთლიანად მცხეთაში, ხოლო ამის შესახებ მოგვიანებით ეცნობოს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს.

– აუცილებელია მომზადდეს მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვითი ზონების ახალი პროექტი და გაეგზავნოს იუნესკოს მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრს განსახილველად 37-ე სესიის დაწყებამდე, ამ დრომდე ცოტა დრო რჩება, – აღნიშნა ნატო ცინცაბაძემ.

არქიტექტორი კოკა ამირეჯიბი:

– 2012 წლის 17 სექტემბრის საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგინდა ქალაქ მცხეთის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ახალი ზონებიც, რითაც დაკანონდა ძეგლების უშუალოდ მიმდებარე არეალებში აქამდე უკანონოდ განხორციელებული და მიმდინარე მშენებლობები. სამთავროს ველის ნაწილი გასხვისდა და არქეოლოგიური ზონიდან კერძო მფლობელობაში გაიცა ორი ჰექტარი ფართობი. პროცედურაში მონაწილეობდა მცხეთის მუნიციპალიტეტი, ეკონომიკის სამინისტრო, მთავრობის განკარგულებას ხელს იმდროინდელი პრემიერ-მინისტრი ივანე მერაბიშვილი აწერს. იუსტიციის სახლის აგება მცხეთაში ურბანული შეცდომა იყო. აღნიშნულ ზონაში არ უნდა აგებულიყო ასევე პოლიციის შენობა, მუზეუმი და საქსტატიც. აღნიშნულ შენობებს უნდა დაედოს შეუსაბამო შენობების სტატუსი, რაც პერსპექტივაში დემონტაჟს გულისხმობს. არ შეიძლებოდა ახალი წუთიერი დღევანდელი ობიექტების გაჩენა ამ უმნიშვნელოვანეს ობიექტებთან.

– რჩება სულ ორი თვე და ამ მიმართულებით ჯერჯერობით არ არის გადადგმული ნაბიჯები. ამ პირობებში ვშიშობთ, რომ თუ ამ მოკლე ვადაში არ გადაიდგა რამე ნაბიჯები, 37-ე სესიის გადაწყვეტილებაში შეიძლება გაჩნდეს ჩანაწერი მცხეთის შესაძლო ამოღების შესახებ მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან, – აღნიშნა ხელოვნების ისტორიკოსმა ირინე ელიზბარაშვილმა.

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. ბუნებრივი ნაკრძალი მცხეთა-მთიანეთში; 2. სამეგრელოსა და ლეჩხუმში გავრცელებული წითელყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 3. ალექსანდრე ყაზბეგის მოთხრობა; 4. სურსათ-სანოვაგის საზიდი, მხარზე გადასაკიდი ძველებური, ნაქსოვი ჩანთა; 5. სავაჭრო ობიექტი; 10. კუთხე საქართველოში; 11. ქართველი მხატვარი ქალი; 12. მოხარშული კვერცხისგულიანი ხაჭაპური; 15. კონცერტი ჩეხეთში; 16. საკურორტო ცენტრი ფლორიდაში; 17. ისტორიული სოფელი თეთრიწყაროს რაიონში; 20. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში.

**თარაზულად:** 6. ქართველი მეღვინე, კონიაკის წარმოების ფუძემდებელი საქართველოში; 7. პირი, რომელიც პირველი სინჯავდა მეფის საჭმელს უსაფრთხოებისათვის; 8. ზღვის სიღრმის საზომი ჰიდროაკუსტიკური ხელსაწყო; 9. ქალაქის თვითმმართველობის შენობა ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში; 13. ყველაზე დიდი ზომის აფრიკული ანტილოპა; 14. ქართული ნაციონალური კერძი; 18. იურისპრუდენციაში, სხვისი ქონების სამუდამო გამოყენება, სარგებლობა, მისი დანიშნულებისა და მთლიანობის დაურღვევლად; 19. გერმანელი ფილოსოფოსი; 21. ღვინის სასმისი; 22. საოლქო ცენტრი ურალიაში; 23. იტალიური ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 24. ეკოლოგთა და მწვანეთა საერთაშორისო ორგანიზაცია.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქსენონი; 2. პოლიგონი; 3. ფილატელია; 4. ხმალაძე; 5. გიბრალტარი; 10. შეკელი; 11. ჰამბურგი; 12. სალხინო; 13. პრომილე; 16. ეკლიპტიკა; 17. სხვიტორი; 19. ესტანსია; 21. სუფსა; 23. მრუშე.

**თარაზულად:** 6. ქსეროფონი; 7. ამტყული; 8. ბოტკა; 9. სტენდალი; 14. ღრმაღელე; 15. მილენიუმი; 18. მეგრე; 20. თხუნელა; 22. მემფისი; 24. ტულუზა; 25. ვილნიუსი; 26. ლემური.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. მაშრელი; 2. პასტელი; 3. ასადი; 4. თაკვერი; 5. გუდაუტა; 10. ტაბლოიდი; 11. მინგეჩაური; 12. ახალუხი; 15. ტრიოლეტი; 16. ზღარბი; 17. სახიობა; 20. ბიგლი.

**თარაზულად:** 6. მანსანარესი; 7. თაფლუჭი; 8. ქლიბაძე; 9. ხახული; 13. ქამა; 14. ჩიბუხი; 18. ალიგატორი; 19. პარმა; 21. ხიხვი; 22. სინუსი; 23. ხაზიზგინა; 24. პრიშტინა.

# ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტა საბრძოლო მოქმედებაში მოიყვანა

ჩრდილოეთ კორეული რაკეტა „მუსუდანის“ გასაშვები მობილური დანადგარი საბრძოლო მზადყოფნაშია მოყვანილი. შესაბამის ინფორმაციას იაპონიის სააგენტო კიოდო ქვეყნის თავდაცვის უწყების წარმომადგენელზე დაყრდნობით ავრცელებს.

იაპონიის სამხედრო უწყების წარმომადგენელთა განცხადებით, ინფორმაცია მიღებულია თანამგზავრიდან გადაღებული ფოტოების საფუძველზე. სპეციალისტები აცხადებენ, რომ სხვა დანადგარები შესაძლოა შენიღბულ მდგომარეობაში იყოს.



ჯერ კიდევ გუშინ გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ჩრდილეთ კორელმა სპეციალისტებმა რაკეტების საწვავით შევსება დაასრულეს.

სამხრეთ კორეამ კი ოფიციალურად განაცხადა, რომ ფხენიანს ნებისმიერ დროს შუძლია გაუშვას ბალისტიკური რაკეტები.

არის ვარაუდები, რომ პარალელურ რეჟიმში ფხენიანს შეუძლია „სკადისა“ და „ნოდონის“ ტიპის რამდენიმე რაკეტის გაშვებაც, ქვეყნის სხვადასხვა ტერიტორებიდან. აღნიშნული ქმედება შესაძლოა მას შემდეგ განხორციელდეს თუ „მუსუდანის“ ტიპის რაკეტის გაშვება წარუმატებელი აღმოჩნდება.

უნდა აღინიშნოს, რომ „მუსუდანის“ რაკეტის მოქმედების დიაპაზონი 3-4 ათას კილომეტს აღწევს.

კორეის ნახევარკუნძულზე არსებული დაძაბული ვითარება ლონდონში მიმდინარე დიდი რვიანის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების სამიტის განხილვის მთავარი თემა იქნება.

ბი-ბი-სის ინფორმაციით, შეხვედრის დასრულების შემდეგ, სავარაუდოდ, გამოქვეყნდება საგარეო მინისტრების ერთობლივი მიმართვა ჩრდილოიეთ კორეისადმი, რათა ფხენიანმა არ განახორციელოს ბალისტიკური რაკეტების გაშვება, რომელიც შესაძლოა, ახალი დაძაბულობის მიზეზი გახდეს.

„დიდი რვიანის“ შემადგენლობაში შედიან აშშ, იაპონია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, კანადა და რუსეთი.

ევროკავშირის განცხადებით კი, ჯერ არ მიაჩნიათ, რომ ჩრდილოეთ კორეიდან დიპლომატების გამოწვევა აუცილებლობას წარმოადგენს. შეგახსენებთ, ცოტა ხნის წინ ჩრდილოეთ კორეამ მის ქვეყანაში და ასევე სამხრეთ კორეაში მყოფი დიპლომატები გააფრთხილა, რომ ამ ქვეყნების დატოვებაზე იფიქრონ.

ცოტა ხნის წინ სამხრეთ კორეამ განაცხადა, რომ მეზობელი ქვეყნიდან მომავალი საფრთხის გამო, ჯარები გაძლიერებულ სამხედრო მზადყოფნაზე გადაჰყავს.

„ჩვენ მიგვაჩნია რომ ამ დროისათვის, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, დიპლომატების ევაკუაციის აუცილებობა არ არსებობს“, – განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

ავსტრიული პრესა კი ცოტა ხნის წინ წერდა, რომ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა მიხელ შპიდელზგერმა ავსტრიელებს სამხრეთ კორეის დატოვება ურჩია.

# ჩერჩილის ლექსი აუქციონზე გაიყიდება

დიდი ბრიტანეთის ყოფილი პრემიერ მინისტრის, უინსტონ ჩერჩილის, მიერ მოწიფულ ასაკში დაწერილი ერთადერთი ლექსის ხელნაწერი ლონდონში აუქციონზე არანაკლებ 15 ათას ფუნტად გაიყიდება.



40 პწკარიანი ლექსი სახელწოდებით „ჩვენი თანამედროვე ლოზუნგები“ 1899 ან 1900 -იან წლებში დაიწერა, როცა ჩერჩილი საზღვარგარეთ ჯარში მსახურობდა. იმ დროს ჩერჩილი 20 წელზე მეტის იყო.

ბავშვობაში, სკოლაში სწავლის დროს ჩერჩილი წერდა ლექსებს, მან პოეზიის კონკურსზე ჯილდოც მიიღო.

ლექსი რომელიც ჩაქუჩის დარტყმით აუქციონზე გაიყიდება დაწერილია ჰუსართა მე-4 პოლკის საფოსტო ბლანკზე, ლურჯი ფანქრით, შედგება ოთხი სტროფის 10 პწკარისგან და თითოეული მთავრდება ქალაქის სახელებით, რომლებიც ბრიტანეთის იმპერიაში შედიოდა.

1953 წელს უისტონ ჩერჩილმა ლიტერატურის დარგში ნობელის პრემია მიიღო, მისი ნაშრომისთვის, რომელიც მეორე მსოფლიო ომს ეძღვნებოდა.

უინსტონ ჩერჩილი, გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრი 1940–1945 და 1951–1955 წლებში, „დიდი სამეულის“ ერთ-ერთი წევრი.

ჩერჩილი გაერთიანებული სამეფოს ისტორიაში შევიდა, როგორც მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკოსი, რომელიც ხელისუფლებაში 6 მონარქის მმართველობის პერიოდში მოღვაწეობდა, დაწყებული დედოფალი ვიქტორიიდან დამთავრებული ელისაბედ მეორით. მონაწილეობდა ანგლო-სუდანის ომში. პერიოდულად მისი ნახატები სამეფო აკადემიის დარბაზებში იფინებოდა. ჩერჩილი იყო თავისი დროის უდიდესი ორატორი.

# სტამბოლში სირიის მომავალს განიხილავენ

„სირიის მეგობრების“ მომდევნო შეხვედრაზე, რომელიც სტამბულში 20 აპრილს გაიმართება, სირის მომავალს და ქვეყანაში სიტუაციის სტაბილიზაციის შესაძლო ზომებს განიხილავენ. ამის შესახებ, თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ახმედ დავითოღლუმ განაცხადა.

HUMAN RIGHTS WATCH

მისი თქმით, შევხედრაზე მონაწილეობას ამერიკის სახემლწიფო მდივანი ჯონ კერიც მიიღებს.

წინასწარი ინფომრაციით, „სირიის მეგობრების“ შევხედრაზე მონაწილეობას 11 ქვეყნის წარმომადგენელი მიიღებს, კერძოდ: ამერიკა. თურქეთი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია, გერმანია, ეგვიპტე, საუდის არაბეთი, გაერთიანებული არაბეთის ემირატები და იორდანია.

ამ ფონზე, საერთაშორისო უფლებათადამცველი ორგანიზაცია „ჰუმან რაითს უოჩი“ სირიის ხელისუფლებას სამოქალაქო, მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ გამიზნული დარტყმების განხორციელებაში ადანაშაულებს. ორგანიზაციის მიერ შედგენილ ანგარიშში ყოველივე ეს „სამხედრო დანაშაულადაა“ აღიარებული. ინფორმაციას ამის შესახებ „ბი-ბი-სი“ ავრცელებს.

„ჰუმან რაითს უოჩის“ მიერ შედგენილ ანგარიშში მოყვანილია 50 -ზე მეტი ფაქტი იმისა, თუ როგორ ხორციელდებოდა სირიის სხვა და სხვა დასახლებულ რაიონებში გამიზნული დარტყმები მოსახლების მიმართ.

ამასთან ერთად, ანგარიშში ასევე გაკრიტიკებულია ამბოხებულებიც იმის გამო, რომ ისინი მჭირდროდსახლებულ რაიონებს საკმარისად არ დასცილდნენ ბრძოლების წარმოების დროს. გაკრიტიკებულია ასევე რუსეთის და ჩინეთის პოზიცია, გაეროს იმ რეზოლუციების დაბლოკვების გამო, რომლებშიც სირიის მთავრობის ქმედებებია დაგმობილი.

2011 წლის ოქტომბრიდან 2012 წლის ავლისამდე მოსკოვსა და პეკინს დაბლოკი აქვთ სამი ამგვარი რეზოლუცია.

„ჰუმან რაითს უოჩი“ მოუწოდებს გაეროს მიიღოს სასწრაფო ზომები, რომლებიც სირიისათვის იარაღის მიწოდების შეწყვეტასა და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოსადმი მიმართვას გულისხმობს.

საერთაშორისო ორგანიზაციის ბოლო ანგარიშის სახელწოდებაა „სიკვდილი ციდან“ და მასში საუბარია იმაზე, რომ 2012 ივლისიდან სირიის საჰაერო შეიარაღებული ძალები გამუდმებულ ავიადარტყმებს ახორციელებენ იმ ქალაქებსა და დაახლებულ პუნქტებზე, რომლებიც ოპოზიციის კონტროლის ქვეშ იმყოფებიან.

ანგარიშში ნათქვამია, რომ სირიის ავიაცია გამიზნულად, წეტრილოვან დარტყმებს ახორციელებს და ბომბავს მაგალითაც პურის საცხობებს და იქ პურის საყიდლად მისულ ხალხს. იბომბება ასევე საავადმყოფოები.

*მოამზადა ვერა მამულაშვილმა*

# ლუვრის მუზეუმის თანამშრომლები გაიფიცნენ

პარიზში ლუვრის მუზეუმის თანამშროლლები გაიფიცნენ. მუზეუმი ოთხშაბათს დახრული იყო. გაფიცვის მიზეზი მომრავლებული ჯიბის ქურდები გახდნენ.

მუზეუმის თანამშრომლების თქმით, ქურდები, რომელთა შორის ბავშვებიც არიან, მნახველების გარდა, მუზეუმის თანამშორმლებსაც ძარცვავენ.



საპროტესტო აქციაში მონაწილეობა, რომლის ორგანიზატორიც პროფკავშირი იყო, მუზეუმის ორასმა თანამშრომელმა მიიღო. ლუვრის ხელმძღვანელობის განცხადებით, დახმარებისათვის პოლიციას მიმართეს.

„ისინი პირისპირ რჩებიან ქურდების ორგანიზებული ჯგუფების წინააღმდეგ, რომლებიც უფრო და უფრო აგრესიულები ხდებიან და მათ შორის ბავშვებიც არიან“,-აღნიშნავს პროფკავშირების წარმომადგენელი კრისტელ გიუიადერი.

ლუვრის მუზეუმი უდიდესი და ყველაზე განთქმული მუზეუმია მსოფლიოში, რომელსაც 8.5 მილიონი დამთვალიერებელი ჰყავდა 2008 წელს. მდებარეობს პარიზში, საფრანგეთი. შენობა, ყოფილი სამეფო სასახლე, პარიზის ცენტრში მდებარეობს, მდინარე სენასა და რუ-დე-რივოლის შორის. მისი მთავარი მოედანი, რომელზეც ამჟამად ლუვრის პირამიდაა აღმართული, ერთ ხაზზეა შანზ-ელიზეს გასწვრივ და ამგვარად ქმნის ისტორიულ მონაკვეთს, რომელზეც პარიზის მრავალი ისტორიული მონუმენტია განლაგებული. ლუვრის სამეფო სასახლის ნაწილი საზოგადოებისთვის პირველად გაიხსნა 1793 წლის 8 ნოემბერს, საფრანგეთის რევოლუციის დროს.

# სამგლოვიარო განცხადებები

## გურიელ ბერულავას ხსოვნას



დაგვაკლდი... ძალზე ძნელია

ეგ უკვე მერამდენე მეგობარი გავაცილეთ მარადიულ ნავსაყუდელში...

მოულოდნელად განგვეშორა... ეს უფრო ძნელი ყოფილა, რადგან ვერ მოვასწარით მეგობრისთვის ხელის შეშველება...

გურიელ ბერულავა – კაცი, რომლის გულსა და სულში ერთად იყო დავანებული მომეტებული სიყვარული ოჯახის, მეგობრების, ნათესავების, სამეგრელოს სოფელ ჩხორიისა, სადაც დაიბადა და აღიზარდა, სოფლისა, რომელიც სიკვდილის წინ კიდევ ერთხელ მოინახულა და მოესიყვარულა... ზუგდიდში უკანასკნელ გზაზე კაცს არ გააცილებდნენ ისე, გურიელი რომ არ ყოფილიყო, მთავარ ჭირისუფლად მოიაზრებდნენ მას...

გურიელი მადლიანი და სიკეთით სავსე კაცი იყო. ცნობილი მშობლების შვილს ვინაობა ეამაყებოდა. არასდროს განდგომია არავის, ოღონდ თავად განუდგა იღბალი, როცა ნალოლიავები შვილიშვილი დაეღუპა ტრაგიკულად...

გაუსაძლისმა ტკივილმა დააჩოქა მხნე, გულადი და ვაჟკაცი ბაბუა, სწორედ მაშინ ჩაუწყდა გულის მთავარი ძარღვი... სული თან გაატანა შვილიშვილს, მხოლოდ მისი სხეული ცოცხლობდა ამქვეყნად დაღდასმული გულით, გულმაც ვერ შეძლო მეტი და უმტყუნა კიდეც...

ორმოცი დღე გავიდა გურიელის გარეშე... ძნელია, გვიჭირს, რადგან იგი ჩვენი ყოველდღიურობის ნაწილი იყო...

ნათელში იყავ, ჩვენო ძვირფასო ადამიანო!

*მეგობრები*



სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მათემატიკისა და კომპიუტერულ მეცნიერებათა ფაკულტეტის თანამშრომლები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა პროფესორი

**დავით როგავა**

და თანაგრძნობას უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.

გივი ჭყოიძის ოჯახი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ მათ უახლოეს მეგობარს, პროფესორ გივი რამიშვილს გარდაეცვალა მეუღლე, სათნო მანდილოსანი

**ლუბა ქაშიაშვილი-რამიშვილი**

თამაზ გოგავას ოჯახი, ნუნუ ნიბლაძე, იკა, გია გოგავები ოჯახებით, ზურაბ გუდავაძის ოჯახი იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ღრმად პატივცემული

**დავით საბაშვილი**

და თანაგრძნობას უცხადებენ მის დიდ ოჯახს.

უახლოესი მეგობრები გიორგი ახმეტელი, ანზორ ბურჯანაძე, გურამ გუნავა, ნოდარ კოხრეიძე, ამირან მექვაბიშვილი, ნუგზარ ნადარეიშვილი, ნოე ჩაგუნავა, ნოდარ ჭითანავა მწუხარებით იუწყებიან ძვირფასი მეგობრის, დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის

**დავით ხარიტონის ძე საბაშვილის**

გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ გარდაცვლილის ოჯახს.

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

## TV პროგრამა

**პარასკევი 12 აპრილი**

06.30 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ ენებზე) 07.30 „ჩვენი დილა“ (პ/ე) 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.00 „მოამბე“ 11.00 „სამოთხის ვაშლები“ (პ/ე) 12.45 „პირადი ექიმი“ — მარი მალაზონია (პ/ე) 13.30 „დღეს ორის ნახევარზე“ (პ/ე) 15.00 ტ/სერ „როსელა“ 17.00 დ/ფ „მუზეუმის საიდუმლოებანი“ 18.00 „პეპე და მეგობრები“ 19.05 ტ/სერ „დავქორწინდეთ“ 21.00 „ქართული დოკუმენტალისტიკა“ — ზ. ანჯაფარიძე 22.00 „აქცენტები“ 23.30 „წითელი ზონა“ 00.30 ქართ. მხ/ფ „ფიროსმანი“ 02.20 ტ/სერ „ნაფიცი მსაჯულები“ (ტიტ.)

08.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე) 09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00 „ბრიფინგის დრო“ 11.00 დ/ფ „პროფესორ ომიშენის წარმოუდგენელი მფრინავი მანქანები“ 14.00 დ/ფ „დრაკონების მუზეუმი/ 16.00 დ/ფ „პოლვირილიო-სიჩქარის ფილოსოფოსი“ 19.00 ტ/სერ „საიდუმლო გამოძიებანი“ 14 სერ. 00.00 „მოამბე“ (აფხაზურ“ ოსურ“ სომხურ“ აზერბაიჯანულ“ რუსულ ენებზე)

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 00.00 ქრონიკა 09.10 იმედის დილა (გაგრძელება) 10.00 სერ. „დაუვიწყარი“ 8 სერ. 11.20 სერ. „მაფიის ქვრივი“ 13.00 სერ. „24 – 6“ 14.40 ახალი საბავშვო ხმა (გ/ჩ) 16.00 სერ. „დამალული სიმართლე“ 17.50 სერ. „თილისმა“ 18.50 სერ. „აკრძალული სიყვარული“ 4 სერ. 21.00 სერ. „მარტოსული“ 22.00 თოქ შოუ – ღია ეთერი (პ/ე) 00.15 მხ/ფ „შავი ორქიდეა“ (ს.იოჰანსონი) 02.10 მუსიკა

07.30 დილამშვიდობისა საქართველო 10.00 სერ. „სიყვარული მშვენიერია“ 11.00 სერ. „იდუმალი ქალი“ 12.00, 15.00, 18.00, 21.00 კურიერი 12.30 „შუა დღე“ 15.30 ეკი ვოკი (გ/ჩ) 17.00 სერ. „ვნების უფსკრული“ 18.45 სერ. „ცრემლების გვირგვინი“ 20.05 სერ „ერთგულების ძალა“ 20.50 ეროვნული ლატარეა 22.00 პოზიცია 23.00 ვანოს შოუ 01.00, 03.30 მხ/ფ 03.00 კურიერი დაიჯესტი კლიპები

06.00, 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 06.05, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00 საეკლესიო კალენდარი 06.10 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 06.35 მხ/ფ „ამისტადი“ II ნაწ. 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.30 „განთიადი“ 10.00, 18.05, 21.20 ერთსულოვნების ვერნისაჟი 10.05, 12.10, 18.55, 21.55, 00.25 ისტორიის დღიური 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.40, 21.25 ლექსით ქებათა ქება 10.45 შაბათის სახარების განმარტება 11.10 დოკ/ფ „კვართიდან ქართველთა გოლგოთამდე“ II ნაწ. 11.40 ქრისტიანული სწავლება 12.05 ამინდი 12.10 მხ/ფ „როცა აყვავდა ნუში“ 13.30 კონცერტი - ალიოშა იურინიჩი 14.50 მართლმადიდებლური კატეხიზმო 15.05 განთიადის სტუმარი 15.30 დოკ/ფ „ველური ბუნება“ 15.55 დეკორატიული ფლორა 16.05 დიდი მარხვის სამოციქულო სახარების განმარტება - გ. სარია 16.20 მხ/ფ „მობიდიკი“ IV სერია 17.00 დოკ/ფ „იელოვას მოწმეები“ 18.10 დიდ ხარ შენ,უფალო 18.35, 23.15 ფოტოგალერეა 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 მხ/ფ „თვალი პატიოსანი“ 20.40 ძილი ნებისა 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.30 მოგზაურობა სამშობლოში 22.25 ქრისტიანული ხელოვნება 22.55 მართლმადიდებლური კატეხიზმო 23.00 საღამოს ლოცვა 22.20 დიდი მარხვა 00.35 განთიადის სტუმარი 01.00 კვირიაკე 02.00 ირაო

მაესტრო 7.00, 5.35, 6.00 ახალი ამბების კოლაჟი 7.30, 12.30, 15.30, 17.10, 18.45, 5.55, 6.35 უცხოეთის ამბები 7.55, 10.55, 11.55, 12.55, 14.55, 15.55, 16.55, 18.55, 6.55 უკომენტაროდ+ამინდი 8.00, 9.00, 10.00, 11.00, 13.00, 14.00, 16.00, 17.00, 0.00 ახალი ამბები 8.10, 9.10, 10.15 მაღვიძარა(დილის პროგრამა) 11.30, 22.00, 0.55 ყოველდღიური აბები (გამ) 12.00 ახალი ამბები 12 საათზე 13.15, 14.15, 4.00 თავისუფალი დრო (შუადღის პროგრამა) 15.00 ახალი ამბები 3 საათზე 16.10 მაესტროს პრესკლუბი 18.00 ახალი ამბები 6 საათზე 19.00 ახალი ამბები ინგლისურ ენაზე 19.05, 0.30 თოქ-შოუ „სუბიექტური აზრი“ 19.30, 1.20 თოქ—შოუ - „არგუმენტები“ 21.00 ახალი ამბები 9 საათზე 22.20, 2.30 თოქ-შოუ „პოლიტმეტრი“

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


12 აპრილი

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6477 |
| ევრო | 2,1583 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,5235 |
| 100 რუსული რუბლი | 5,3145 |

**ამინდის პროგნოზი 12 აპრილისთვის**





# 23 აპრილიდან „ახალ თაობასთან“ ერთად




მსოფლიოს ხალხთა ზღაპრები

ტომი 2

ჩეხური ზღაპრები


# ავთო ვარსიმაშვილის სპექტაკლს სანკტ-პეტერბურგში ითამაშებენ

ეკა ირემაშვილი

ქართველი რეჟისორის ავთო ვარსიმაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ სანკტ-პეტერბურგში რუსულენოვანი თეატრების მე-15 საერთაშორისო ფესტივალზე იქნება წარმოდგენილი.

გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური რუსული დრამატული თეატრი თავის სპექტაკლს სანკტ-პეტერბურგში 12 აპრილს ითამაშებს. „შეხვედრები რუსეთში“ – ასე ეწოდება ფესტივალს, რომელშიც ქართული თეატრიც მიიღებს მონაწილეობას.

„ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ ავთო ვარსიმაშვილმა ლევ ტოლსტოის მოთხრობის მიხედვით დადგა. სპექტაკლის დამდგმელი რეჟისორი და ინსცენირების ავტორია თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ავთანდილ ვარსიმაშვილი. სპექტაკლში მონაწილეობენ ვალერი ხარიუტჩენკო, ლუდმილა არტიომოვა-მღებრიშვილი (საქართველოს დამსახურებული არტისტი), აპოლონ კუბლაშვილი, მარიამ კიტია, სანდრო მარგალიტაშვილი, ნინა კალატოზიშვილი, მედეა მუმლაძე, ვასილ გაბაშვილი, დიმიტრი მერაბიშვილი და სხვები. სპექტაკლის პრემიერა თბილისში 2012 წლის 14 აპრილს გაიმართა.

ინფორმაცია ქართული თეატრის რუსულ ფესტივალში მონაწილეობის შესახებ საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირმა „რუსულმა კლუბმა“ გაავრცელა.

– რუსულენოვანი თეატრების მე-15 საერთაშორისო ფესტივალი „შეხვედრები რუსეთში“ 9-14 აპრილს იმართება. ფესტივალის ორგანიზატორები რუსეთის კულტურის სამინისტრო, სანკტ-პეტერბურგის კულტურის კომიტეტი და რუსეთის თეატრის მოღვაწეთა კავშირი არიან. ფესტივალის მუდმივი მხარდამჭერი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროა. ამ ფესტივალის მიზანია საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირების განვითარება. ფესტივალი ემსახურება რუსული სცენური ხელოვნების განვითარებასა და პოპულარიზაციას, – განაცხადა „რუსული კლუბის“ პრეზიდენტმა ნიკოლაი სვენტისცკიმ.

გრიბოედოვის თეატრის დასი უკვე რუსეთშია და მაყურებელთან შესახვედრად ემზადება. გრიბოედოვის თეატრი ამ ფესტივალის საკმაოდ ხშირი სტუმარია. წელს ფესტივალი საიუბილეოა და უკვე მე-15-ედ ტარდება.

– 2011 წელს ავთო ვარსიმაშვილი მონაწილეობდა ამ ფესტივალში და წარადგინა სპექტაკლი „გეტო“, – განაცხადა „რუსული კლუბის“ წარმომადგენელმა ნინო წითლანაძემ.



ავთო ვარსიმაშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „ფეხმარდი. ცხენის ამბავი“ ფესტივალზე პრესტიჟული ჯილდოსთვის იბრძოლებს. გრიბოედოვის თეატრის დასი და რეჟისორი საქართველოში 14 აპრილს დაბრუნდებიან.


# ასტროპროგნოზი 12 აპრილისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

წარმატებული დღეა

**ვერძი** – სახლში საჩუქარი და დიდი სიხარული გელით. **კურო** – ფული გაქვთ, პრობლემები არ გაწუხებთ. **ტყუპები** – შემოქმედებითი დღეა, თავს საუკეთესო კუთხით წარმოაჩენთ. **კირჩხიბი** – სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ლომი** – ყურადღების ცენტრში ხართ და ეს ძალიან გსიამოვნებთ. **ქალწული** – გზიდან ფულსა და საჩუქარს მიიღებთ. **სასწორი** – სამსახურში სიახლე გელოდებათ, უფროსობას მოსწონხართ. **ღრიანკალი** – თქვენი საქმე წინ მიდის, დაჯილდოვდებით. **მშვილდოსანი** – არავის ენდოთ, საკუთარი თავის გარდა. **თხის რქა** – პატარა პრობლემას ადვილად გადალახავთ, მთავარია არ შეშინდეთ. **მერწყული** – საკითხის შესწავლის შემდეგ გადაწყვეტილებას თავად მიიღებთ. **თევზები** – ფული გაქვთ, ახლობლებს საჩუქრებს უმზადებთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!


# კროსვორდი

**შვეულად:** 1. ზიარებისთვის განკუთვნილი ღვინის შესანახი ვერცხლის ან ოქროს ჭურჭელი ეკლესიაში; 2. დუქნის დახლიდარი; 3. კოსმონავტის ჰერმეტული კოსტუმი; 4. ფრანგი ფილოსოფოსის, მარი ფრანსუა არუეს ფსევდონიმი; 5. ოპტიკური ხელსაწყო; 10. ბოშათა მომთაბარე ბანაკი; 11. მსჯელობის საგანი; 12. გოეთეს მშობლიური ქალაქი გერმანიაში; 13. მონასტრის მსახური; 16. პოპულარული კაფე ძველ თბილისში, ხელოვანთა თავშეყრის ადგილი; 17. ყოველდღიური გაზეთი იტალიაში; 19. გონებასუსტი ადამიანი; 21. საფრანგეთის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ძვირფასი ლითონის რაოდენობა შენადნობში.

**თარაზულად:** 6. ყალბი ან საეჭვო დებულების მტკიცება სხვადასხვა ხრიკებით; 7. რაიონული ცენტრი ქვემო ქართლში; 8. ადენის ყურეში მდებარე აფრიკის სახელმწიფო; 9. ძველებური ქართული კაჟიანი თოფი; 14. კატისებრთა ოჯახის მტაცებელი ცხოველი; 15. მეუღლის მოტყუება, ღალატი; 18. სიგრძის საზომი ერთეული; 20. კუთხე საქართველოში; 22. ბედ-იღბალი არაბულად: 24. ქართულ ბალეტ „გორდა“-ს მუსიკის ავტორი; 25. კინოცენტრი ინდოეთში; 26. კლიმატური კურორტი თბილისის მახლობლად.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*



# მურაზ მურვანიძე ოპერის თეატრის მთავარი მხატვარია

ეკა ირემაშვილი

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის მთავარი მხატვრის თანამდებობაზე გამოჩენილი ქართველი მხატვარი თეიმურაზ მურვანიძე დაინიშნა.

**ოპერის თეატრის წარმომადგენელმა ზურაბ ოიკაშვილმა განაცხადა:**

– თეიმურაზ მურვანიძე არის საქართველოს სახალხო მხატვარი, სახელმწიფო და საერთაშორისო პრემიების ლაურეატი, რუსეთის სამხატვრო აკადემიის აკადემიკოსი, თბილისისა და დუბლინის საპატიო მოქალაქე. იგი არის მრავალი ჯილდოს, პრემიისა თუ ორდენის მფლობელი, მათ შორის, ბულგარეთის უმაღლესი ჯილდოს – კირილესა და მეთოდეს ორდენის, პიკასოს პრემიის, ლინკოლნ-ცენტრის პრემიის, ჩიკაგოს პრემიისა და ოქროს მედლის, ვანკუვერის მუსიკალური თეატრების ფესტივალის ოქროს მედლის და პირველი პრემიის მფლობელი. თეიმურაზ მურვანიძემ დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია, მისმა შემოქმედებამ და განვლილმა პროფესიულმა გზამ დაამტკიცა, რომ იგი არის თავისი მასწავლებლების ფარნაოზ ლაპიაშვილის, სოლიკო ვირსალაძის, სერგო ქობულაძის, ვასილ შუხაევის ღირსეული მოსწავლე და მათი საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელი. თეიმურაზ მურვანიძე არაერთგზის დასახელდა წლის საუკეთესო მხატვრად სხვადასხვა ქვეყანაში – საქართველოში, პოლონეთში, საფრანგეთში, კანადაში, ამერიკაში. მას გამართული აქვს პერსონალური გამოფენები ლონდონში, ნიუ იორკში, სანკტ-პეტერბურგში, პარიზში. მხატვრის ნამუშევრები ინახება მსოფლიოს პრესტიჟულ კერძო კოლექციებში, მათ შორის, ამერიკის ყოფილი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის, ინგლისის პრინცესა მარგარეტის კოლექციებში, კენედების ოჯახის საგვარეულო კოლექციაში, ამერიკის კინოაკადემიის – „ოსკარის“ ოფისში. სალვადორ დალის მუზეუმის მუდმივ კოლექციაში პაბლო პიკასოს, ჟან კოქტოს, ჯორჯიო ბეკირიკოს ნამუშევრების გვერდით თავად სალვადორ დალის თანხმობით შეტანილია თეიმურაზ მურვანიძის ნამუშევრები. უკვე 25 წელია თეიმურაზ მურვანიძე არის სანკტ-პეტერბურგის მარინის თეატრის მთავარი მხატვარი. იგი მონტე-კარლოში გახდა ფირმა „სამი კარაველას“ დირექტორატის წევრი, მთავარი მხატვარი. ფირმის დირექტორატის წევრებს შორის იყვნენ ფირმის პრეზიდენტი იეგუდი მენუხინი, მუსიკალური ხელმძღვანელი მსტისლავ როსტროპოვიჩი, დირიჟორები ლორინ მააზელი, ზუბინ მეტა, სერ ჯორჯ შოლტი, ჟორჟ პრეტრი, ტენორი პლასიდო დომინგო, ბარიტონი რუჯერო რაიმონდი. ფირმა, რომლის საქმიანობა ეძღვნებოდა ქრისტეფორე კოლუმბის მიერ ამერიკის აღმოჩენის 500 წლისთავს და ამერიკის ევანგელიზაციას, სამი წლის ფუნქციონირების მანძილზე ახორციელებდა ბრწყინვალე დადგმებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში. ამ ფირმის პარალელურად მხატვარი მონტე-კარლოში აქტიურად მოღვაწეობდა კიდევ ერთ ფირმაში – „ძველი და ახალი მონტე-კარლო“, რომელიც ითვალისწინებდა მონტე-კარლოში სხვადასხვა სანახაობების და ღონისძიებების დადგმას, მხატვრულ გაფორმებას და კულტურის პოლიტიკის ორიენტირების განსაზღვრას. მას გაფორმებული აქვს 150-მდე მუსიკალური სპექტაკლი საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის განსაკუთრებით საგულისხმოა თბილისის ოპერის თეატრში ვახტანგ ჭაბუკიანთან ერთად დადგმული რევაზ გაბიჩვაძის „ჰამლეტი“, ჯორჯ გერშვინის ოპერის საფუძველზე შექმნილი ბალეტი „პორგი და ბესი“ მიხეილ ლავროვსკის ქორეოგრაფიით, მარინის თეატრში ქორეოგრაფ ოლეგ ვინოგრადოვთან ერთად დადგმულ ალექსი მაჭავარიანის ბალეტი „ვეფხისტყა-




გაგრძელება მე-10 გვერდზე


# გიორგი ონიანი დაინვალიდებას გადაურჩა



ბოლნისის „სიონთან“ სათასო მეოთხედფინალური შეხვედრის ბოლო წუთზე სერიოზული ტრავმა მიიღო ქუთაისის „ტორპედოს“ ცენტრალურმა მცველმა გიორგი ონიანმა, რომელიც მეტოქესთან ორთაბრძოლისას მოედნის უკან მდებარე დამცავ კონსტრუქციას შეეტაკა. ონიანი მაშინვე იქნა გადაყვანილი თბილისის პირველ კლინიკურ საავადმყოფოში. გამოკვლევის საფუძველზე, დადგინდა კისრის მეხუთე მალის მოტეხილობა-ამოვარდნილობა და ზურგის ტვინის დახურული ტრავმა.

29 წლის ონიანს ოპერაცია გაუკეთეს. ექიმების თქმით, ოპერაციამ კარგად ჩაიარა და მას თავისუფლად გადაადგილების საფრთხე აღარ შეექმნება. ოპერაცია საკმაოდ რთული იყო. გიორგის ხერხემალში ფირფიტები ჩაუდგეს. შეიძლება ითქვას, ფეხბურთელი ინვალიდობას გადაურჩა.

ამჟამად იგი რეანიმაციული განყოფილებიდან გადაყვანილია ნეიროქირურგიულ განყოფილებაში. მდგომარეობა სტაბილურია და დგინდება დადებითი ნევროლოგიური დინამიკა. თუმცა ჯერ კიდევ ეჭვის ქვეშ დგას კარიერის გაგრძელების საკითხი.

ერთიც: საქართველოს ფეხბურთის ფედერაციამ მატჩის ჩატარება ნაკრების ბაზაზე გადაწყვიტა, მაგრამ როგორც გაირკვა, იქ უსაფრთხოება არცთუ კარგად არის დაცული. კარგი იქნებოდა, პირითი ხაზიდან ამ ბადეშემოვლებულ ბოძებამდე დაშორება მეტი ყოფილიყო.

მ. ჟ.


ლურჯი წითელი ყვითელი შავი